# დროშა

№ 1 იანვარი 1968



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სახალხო სიმღერა. ფოტო თარხან არჩვაძისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 1 (374) იანვარი, 1968 წ.

გამოცემის წელი 46-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „...და სიმტკიცე ნაჭედისა“

რუსთაველი... განუზომელია ის სითბო და სიხარული, რომელსაც ეს სახელი აღძრავს ჩვენს გულში.

რუსთაველი — საქართველოს სიამაყეა, მისი დიდება და მისი უკვდავებაა.

სადაურია შოთა, რომელ რუსთავში დაიბადა იგი, ეს საკითხი დაე მკვლევარებმა გადაწყვიტონ, ხოლო თუ იმ შოთას იკითხავთ, რომელიც 1966 წლის 25 ოქტომბერს მთელი თავისი ბრწყინვალებით აღიმართა მოსკოვში, ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე, მისი დაბადების ადგილი ჭეშმარიტად ჭერეთის რუსთავია, მეორედ დაბადებული ქალაქი, ჩვენი ინდუსტრიის სიამაყე.

„რუსთაველის ეს ძეგლი აიგო ცნობილი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილისა და მოსკოველი არქიტექტორის ი. ლოვეიკოს პროექტით“, ამ სიტყვებით მთავრდებოდა საქღესის სპეციალური კორესპონდენტის რეპორტაჟი, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთებში რუსთაველის ძეგლის გახსნის მეორე დღეს.

დიახ, ასე მთავრდებოდა ეს რეპორტაჟი, მაგრამ ჩვენ გვინდა გაგაცნოთ კიდევ ერთი ადამიანი, რომელმაც ცოტა ამაგი როდი დასდო ამ საშვილიშვილო საქმეს.

ძეგლის გახსნის საზეიმო წუთებში მისი ავტორის—მერაბ ბერძენიშვილის გვერდით ამ ძეგლის ჩამომსხმელი იდგა და სახეგაბრწყინებული შესცქეროდა ბრინჯაოში ამეტყველებული მგოსნის სახეს.

ეს ადამიანი—ალექსანდრე ხადურია. მე ხშირად მინახავს იგი ლითონის სადნობ ღუმელთან, მოელვარე ცეცხლის ენები თითქოს მოუშინაურებიაო, ისე ლაღად გრძნობს თავს იგი.

თბილისის მეტროპოლიტენის გახსნის დღეს კვლავ შევხვდი მას; მარჯანიშვილის სადგურის ბაქანზე იდგა და კოტეს ბიუსტს მთელი გულისყურით მისჩერებოდა, ხან ერთი, ხან მეორე კუთხიდან უყურებდა ლითონის ბიუსტს. მერე შემეკითხა:

— მოგწონთ?

— შესანიშნავია,—ვუპასუხე გულწრფელად.

— ჩემი ჩამოსხმულია. მინდოდა მენახა როგორ გამოიყურება აქ. ჩემი ნახელავი ბევრი ქანდაკება დგას მიწის ზემოთ, მიწის ქვეშ კი ეს პირველია.

ალექსანდრე მიმზიდველი მოსაუბრეა, ჩვენი ცხოვრების წარსულსა და დღევანდელობაში ღრმად ჩახედული ადამიანი.

ჩვენ მალე დავმეგობრდით.

საინტერესო და ღრმად შინაარსიანი გზა გაუვლია ამ შესანიშნავ ადამიანს.

ალექსანდრე ქსნის ნაპირებზე იზრდებოდა, სოფელ ლამისყანაში. 1927 წელს იგი თბილისში ჩამოვიდა და სწავლა დაიწყო საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში. აქ იგი ლითონის ჩამომსხმელის რთულ პროფესიას დაეუფლა.

*საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა მოაწყო საიუბილეო კონკურსი საუკეთესო ნარკვევზე. თ. ლეკვეიშვილის ნარკვევს, რომელსაც აქ ვბეჭდავთ, ჟიურიმ რეკომენდაცია მისცა პრესაში გამოსაქვეყნებლად.



ალექსანდრე ხადური.

საწარმოო სწავლების ოსტატს—მიხეილ ვაზაკაშვილს ძლიერ მოსწონდა სიცოცხლით სავსე, კუნთმაგარი, შავტუხა ბიჭი, ლითონში სულის ჩადგმას რომ ცდილობდა.

—თუ ასეთი გულმოდგინება გაგყვა, სახელმოხვეჭილი ოსტატი გახდები და ვინძლო შენი პირველი მასწავლებელი არ დაივიწყო,—სიყვარულით ეტყოდა ხოლმე აღმზრდელი ოსტატი.

ახლა მასწავლებლის სიტყვები. ალექსანდრე ხადური თავისი საქმის უებრო ოსტატია. არანაკლებ პოპულარულია მისი სახელი როგორც სპორტსმენისა; თავის დროზე იგი გატაცებული იყო ქართული ჭიდაობით.

სწორედ იმ ხანებში მას ფრიად პასუხსაგები საქმე დაავალეს. იმის გამო, რომ ნიკოლაევის გემთმშენებელი ქარხანა შეკეთების პროცესში იყო, გემის ძრავის ცილინდრების ჩამოსხმის საქმე შეფერხდა. თბომავალი „საქართველო“ კი ნავსადგურში იდგა, ძრავადაზიანებული. ალექსანდრე ხადურს მიეცა დავალება ჩამოესხა ორი ცილინდრი. თითოეულის წონა ოცდახუთი ტონა უნდა ყოფილიყო.

დავალება მან უმოკლეს ვადაში შეასრულა. ავჭალაში ჩამოსხმულმა ცილინდრებმა ფრიადზე ჩააბარეს გამოცდა.

ამას მოჰყვა კიდევ უფრო რთული და საპატიო დავალებანი.

მერე ომიც დაიწყო. ფოლადის ოსტატი ახლა ყველაზე მეტად დასჭირდა სამშობლოს, მისი წვლილი მცირე როდი იყო იმ საბრძოლო მანქანების აგებაში, რომლებითაც შეიარაღებული იყვნენ ჩვენი სახელოვანი ჯარები.

ომის შემდეგ ალექსანდრე ხადურმა ლითონის მხატვრულ ჩამოსხმაზე დაიწყო ფიქრი.

1946 წელი იყო. ალექსანდრე ხადური საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამოიძახეს. აქ, ცენტრალური კომიტეტის მდივნის კაბინეტში ხადური გაეცნო დიდ მოქანდაკეს იაკობ ნიკოლაძეს.

იმ დღეს ალექსანდრე ხადურს ფრიად სერიოზული დავალება მისცეს.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის დაარსების 800 წლისთავი ახლოვდებოდა. ამ საიუბილეო დღის აღსანიშნავად იაკობ ნიკოლაძემ ახალგაზრდა ლენინის ბიუსტი გამოაქანდაკა. განზრახული იყო ამ ბიუსტის ბრინჯაოში ჩამოსხმა, რაც ალექსანდრე ხადურს უნდა შეესრულებინა.

მოქანდაკეც და ოსტატიც აქედან პირდაპირ სახელოსნოში წავიდნენ.

— ჩემო სანდრო—უთხრა დიდმა ხელოვანმა ლითონის ოსტატს,—მე ვნახე ერთი შენი მხატვრული ნამუშევარი და მომეწონა, თუმცა იგი მიწის წესითაა ჩამოსხმული. სანთლის წესით რომ ჩამოგესხა, უფრო სუფთა იქნებოდა.

— ლენინგრადში მიწის წესით აკეთებენ,—უპასუხა ოსტატმა.

—ჩვენი წინაპრები ამ საქმის დიდი ოსტატები იყვნენ, ისინი სწორედ სანთლის, დიახ, ცვილის მოდელებს აკეთებდნენ და ისე აწარმოებდნენ ჩამოსხმას.

ხადური კვლავ არა ერთხელ ესტუმრა მოქანდაკის სახელოსნოს, ყურადღებით ისმენდა დიდი ხელოვანის შენიშვნებსა და რჩევა-დარიგებებს.

სულ მალე ხადურმა შესანიშნავად შეასრულა საპატიო დავალება და საყვარელი ბელადის სახე ბრინჯაოში აამეტყველა. ქანდაკება საჩუქრად გადაეცა მოსკოვის მშრომელებს.

მრავალი საუკუნის შემდეგ ლითონის მხატვრული ჩამოსხმის ძველი ქართული წესი კვლავ აღსდგა, მისი განმაახლებელი ალექსანდრე ხადური იყო.

კვლავ გავყვეთ ამ შესანიშნავი ოსტატის ცხოვრების გზას: 1947 წელს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობა დაიწყო ლითონის მხატვრული ჩამოსხმის საამქრომ, რომლის უფროს ოსტატად ალექსანდრე ხადური დაინიშნა. ქარხნისათვის საჭირო რთული დეტალების გარდა ოსტატი აქ აწარმოებს ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი მოქან-

ჩამომსხმელთა ბრიგადა.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. საქ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

დაკეების ნამუშევრების ლითონში ჩამოსხმას. მან ბრინჯაოსაგან ჩამოასხა ილია ჭავჭავაძის (ავტორი ვ. თოფურიძე), აკაკი წერეთლის (ავტორი ვ. თოფურიძე), ვაჟა-ფშაველას (ავტორი რ. დავლიანიძე), აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის (ავტორი თ. ღვინიაშვილი), ნ. ნიკოლაძის (ავტორი კ. მერაბიშვილი), ი. გოგებაშვილის (ავტორი ო. ფარულავა), იაკობ ნიკოლაძის (ავტორი ირ. ოქროპირიძე), ვახუშტი ბატონიშვილის (ავტორი ვ. თოფურიძე), ლესია უკრაინკას (ავტორი თ. აბაკელია), მირზა ფათალი ახუნდოვის (ავტორი კ. მერაბიშვილი), მარშალ ტოლბუხინის (ავტორი ნ. კანდელაკი), ზოია რუხაძის (ავტორი მ. ბერძენიშვილი) და სხვათა ძეგლები.

ზაფხულის ცხელი საღამო იყო. გადავწყვიტე ალექსანდრესთან წავსულიყავი სტუმრად. დიდი შოთას საიუბილეო დღეები ახლოვდებოდა და ვიცოდი სახელმოხვეჭილ ოსტატს ფრიად საპასუხისმგებლო დავალება ჰქონდა მიღებული.

სახელოსნოში გახურებული მუშაობა იყო. საქმე რომ მოითავეს, ალექსანდრემ ამიხსნა, თუ რა უპირატესობა აქვს სანთლით ჩამოსხმის წესს. მთელ ტექნოლოგიას აქ აღარ აგიწერთ, მხოლოდ იმ სიტყვებს გადმოგცემთ, რომლითაც ოსტატმა თავისი საუბარი დაამთავრა:

— მართალია სანთლის წესით ჩამოსხმა რთულია, მაგრამ იგი საშუალებას იძლევა მთლიანად გადმოსცე ავტორის ჩანაფიქრი, უკლებლივ გადმოიტანო ლითონში ავტორისეული ყველა შტრიხი, ყველაზე უმცირესი დეტალიც კი.

ბოლოს ღიმილით დაუმატა: — სანთელი ძალიან ნაზია და ეს სინაზე მან უმტკიცეს ლითონს უნდა გადასცეს. ხომ გახსოვთ თვითონ შოთას სიტყვები —„სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა“.

ამ ლაპარაკით დავტოვეთ ქარხნის ტერიტორია.

სულ მალე, რუსი და ქართველი ხალხების ძმური მეგობრობის ნიშნად სამარადჟამოდ აღიმართა ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე ხალხთა შორის მეგობრობის შთამაგონებელი მომღერალი, ძმობისა და ჰუმანიზმის დიდი მეხოტბე.

არ ცხრება ვაჟკაცის დაუღალავი მარჯვენა. კვლავ ადრე დილით იწყება და გვიან საღამოთი მთავრდება მისი სამუშაო დღე. ოსტატის გვერდით ფუსფუსებენ მისი დამხმარეები: იოსებ გოჩიტაშვილი, გივი პატარიძე, უშანგი თიბილოვი, შოთა ღუღუნაშვილი, იასონ სახლთხუციშვილი და გოგი ხელაშვილი.

არც თუ ისე დიდ საამქროში ტევა აღარ არის: თაბაშირის უამრავი ფიგურები აწყვია ყველგან, რომლებიც ბრინჯაოში ჩამოსასხმელად თავის რიგს ელიან.

რახან საამქროზე ჩამოვარდა საუბარი, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად ალ. ხადური ახლად გამართულ სახელოსნოში მუშაობს, მხატვრული ჩამოსხმის განყოფილება საქართველოს მხატვართა კავშირის საწარმოო კომბინატს დაუქვემდებარდა.

ეს ფაქტი დიდად ახარებს ღვაწლმოსილ ოსტატს. ახლა მას საშუალება ეძლევა ჰყავდეს მოწაფეები და ლითონის მხატვრული ჩამოსხმის მომავალ ოსტებად აღზარდოს ისინი. მართალია ამ საქმეს კარგად არიან დაუფლებული მისი ყოფილი მოსწავლეები— თბილისელი ანზორ ლელაშვილი, სოხუმელი. ლევან ტანია, რუსთაველი არონ ქვარცხავა, მაგრამ ისინი იმ ქარხნების საჭიროებებზე მუშაობენ, რომლებსაც ემსახურებიან.

რუსთავის მხატვრული ჩამოსხმის პატარა საამქრო ერთადერთია მთელს რესპუბლიკაში და სასურველია ის იყოს უფრო კეთილმოწყობილი, უფრო დიდი, აღჭურვილი საჭირო ტექნიკით.

ამჟამად ოსტატი დიდი ილიას მონუმენტის ჩამოსხმაზე მუშაობს. ამ ვეებერთელა ძეგლის სიმაღლე თერთმეტი მეტრია. ყვარლელმა მშრომელებმა გადაწყვიტეს ძეგლი დადგან „ილიას მთაზე“.

ამის გარდა, ალექსანდრე ხადური მუშაობს კურორტ ბიჭვინთის სასტუმრო-პანსიონატების გასაფორმებლად გამიზნული მხატვრული ორნამენტებისა და ბარელიეფების ჩამოსხმაზე.

სულ მალე ყვარლის ლამაზ მთებს მხარს დაუმშვენებს ბუმბერაზი პოეტის ფიგურა და თითქოს კვლავ გავიგონებთ ილიას ხმას:

აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
თქვენს შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენი ვარ შვილი.

ეს დღე დიდი ზეიმის დღე იქნება არა მარტო ყვარელში, მთელს საქართველოში, მთელს ჩვენს ქვეყანაში, კვლავ დაიწერება რეპორტაჟი, რომელიც ალბათ ასე დამთავრდება:

„ილია ჭავჭავაძის ძეგლი აიგო ნიჭიერი ქართველი მოქანდაკის თ. ღვინიაშვილისა და ამა და ამ არქიტექტორის პროექტით“.

დიახ, ალბათ ასე დამთავრდება ის რეპორტაჟი, მაგრამ ეცოდინება კი ბევრს იმ ოსტატის სახელი, რომელმაც ვინ მოსთვლის რამდენი დღისა და ღამის შრომა ჩააქსოვა, რომ ბრინჯაოს ამ მონუმენტში დიდი ილიას სახე ესოდენ შესანიშნავად ამეტყველებულიყო:

თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შედუღებული!

დგას ალექსანდრე ხადური ლითონის სადნობ ღუმელთან. მოელვარე ცეცხლის ენები თითქოს მოუშინაურებიაო, ისე ლაღად გრძნობს თავს მათს სიახლოვეს.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲚᲔᲙᲕᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

---

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲕᲔᲢᲚᲝᲕᲘ

# ცოცხალი გმირები

გოროზი ტარასი
არავისინდობდა...
კარიდან მომესმის
ამ შუაღამისას:
— ანდრია!
ამ ქვეყნად მე გაგაჩინე და...
შორიდან ქარს მოაქვს
ბოხი ხმა მამისა.

ლამაზი პანა
მკრთალი და წყნარია,
უხდება ღალალი,
სათუთად დაწნული...
და აი, უსულოდ
ეცემა ანდრია,
ვით ფიჭვი
ქარისგან მიწაზე გართხმული.

პოლტავის ღამე დგას
კიდიდან კიდემდე...
კაცი კი
შეიპყრო მძვინვარე აზრებმა —
აღვსილა
რუსეთთან ლაშქრობის იმედით
მოღალატე და ორგული მაზეპა.

კოჩუბეი კი
ზის ვიწრო დილეგში
და ღამეს გაქცევის
ფიქრებში ათენებს, —
და მისი სიკვდილით დასჯის წინ,
ონეგინს
ძაძილი გულისა
ზე წამოაყენებს:

— შიში მკლავს, პეჩორინ!
ბნელა და მაყრუოლებს,
მერე და ამ ბნელში
გზას როგორ იპოვი!
ვიდრე დოსტოევსკი
კაზინოს დასტოვებს,
დედაბრებს ნაჯახით
ჰკლავს რასკოლნიკოვი!

ვარსკვლავნი ტოვებენ
ფანჯრის ბნელ ჩარჩოს და
თანდათან ნისლიდან
ამოდის აისი...
ორთქლმავლის ბორბლებქვეშ
სიცოცხლეს განშორდა
ანა კარენინა.
მისი ხმა არ ისმის.

ჰეი, თქვენ, —
მივმართავ ამხანაგ კლასიკოსთ, —
რისთვის აიხირეთ
სიკვდილი მზებნელი,
რად მიგყავთ
რელსებზე,
დუელში გმირები —
ამ ქვეყნად ნიადაგ
სიცოცხლის მძებნელი!

მე თვითონ ვაპირებ
დავწერო რომანი —
ვეება! და მისი გვერდივე პირველი
ჩემს გმირებს ასწავლის
ხელობას და შრომას,
ცოტ-ცოტას ვისწავლი
მეც მათი მხილველი.

თუკი ვერ დავძლიე
ნერვების ხლართები
და გმირის უნაღვლოდ
გართობას ვერ შევძლებ, —
ორთქლმავალს ბორბლებქვეშ
მე შევუვარდები,
რომ გმირს არ ვარგუნო
სიკვდილი რელსებზე.

და თუ მე
კუბოში ჩაწოლა მომიწევს, —
ვიცი, რომ გულს დარდი
აუვსებთ მაშინვე
და სასაფლაოსკენ
კუბოს გაჰყვებიან
გმირები,
რომლებიც მე გადავარჩინე.

— ძმობილო, ვინ მოკვდა?
შედგება გამვლელი
და თბილად იკითხავს,
სულ ჩემსკენ მზირალი.
გმირები ეტყვიან:
— აღარ გვყავს სვეტლოვი!
ის იყო
ნამდვილი მწერალი!

თარგმანი
ᲕᲐᲡᲘᲚ ᲚᲐᲤᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ



# ხიდისთავს შევკრათ პირობა



ალ.. სანადირაძე

დარეჯანს ვინ არ იცნობს ჩოხატაურში, დაუცხრომელი და მოუსვენარი ქალია; პროფკავშირის საქმეები აბარია, კარგადაც უძღვება ამ საქმეს, მაგრამ ეტყობა დროც რჩება და ენერგიაც, რათა ბევრ სხვა რამესაც მიაწვდინოს თვალი. ისეთ რამეს მოიფიქრებს, სხვასაც წაახალისებს, აიყოლიებს და საერთო საქმე ამით მხოლოდ მოიგებს ხოლმე; ახალ რამეს რომ მოიფიქრებს, აღარც რაიკომს მოასვენებს, აღარც რაისაბჭოს, ვიდრე თავისას არ გაიტანს.

ახლაც ასე მოხდა: ამოიჩემა—ჩვენი რაიონის სოფლებს სეხნიები როგორ არ ეყოლებათ საქართველოში, მოვნახოთ და შევაჯიბროთ ერთი-მეორეს, ვნახოთ ვინ ვის აჯობებსო. რაიონში ჯერ გაიცინეს, მერე ჩაუფიქრდნენ, შემდეგ მოეწონათ და საქმესაც შეუდგნენ. ძნელი არ იყო სეხნიების მონახვა. ორი სოფელი აღმოჩნდა ასეთი: ჩაისუბანი—ბათუმის რაიონში და ხიდისთავი —გორის რაიონში. ბედმა გაუღიმათ ჩოხატაურელებს— ჩაისუბანი და ხიდისთავი ყველაზე მოწინავე და მდიდარი სოფლებია მათს რაიონში.

საქართველოში დღეს არა ერთ სახელგამოცვლილ სოფელს შეხვდებით. ჩოხატაურის ჩაისუბანსაც ადრე ჯვარცმა ერქვა. მართლაც ჯვარცმული იყო აქაური გლეხკაცი. აქ წებოვან, წითელ მიწაზე მხოლოდ გვიმრა ხარობდა. ჩვენს დროში კი ჩაის უძვირფასესი კულტურის გავრცელებამ ძირფესვიანად გარდაქმნა სოფელი, ამიტომ აღარ შეჰფეროდა ძველი სახელი.

ბათუმის ჩაისუბანსაც უწინ სხვა სახელი რქმევია — ორთაბათუმი. „მწვანე ოქროს“ აქაც დაუბერტყავს თავისი მადლიანი და ხვავიანი კალთა.

გაჩაღდა მიწერ-მოწერა და აი, აპრილის ერთ ხასხასა დილით ჩოხატაურის ჩაისუბნელთა დელეგაცია ბათუმის ჩაისუბანში გაემგზავრა. ყოროლისწყლის ხეობაშია ეს სოფელი. სასურველ სტუმრებს აჭარელები გულღიად და ხელგაშლილნი შეეგებნენ. კოლმეურნეობის ორმა თავმჯდომარემ — ჩოხატაურელმა ოქროპირ შარაშენიძემ და ბათუმელმა ნოდარ ქიქავამ მაშინვე საქმიანი საუბარი გააბეს; მეჩაიეებს პლანტაციებისაკენ გაექცათ თვალი, მეცხოველემ მეცხოველე მონახა და ფერმებისაკენ გასწიეს. სოფლის ინტელიგენტებმაც ჩქარა გამონახეს საერთო ენა.

მიხვდნენ ჩოხატაურელები, რომ ასე ადვილად ვერ აჯობებდნენ ბათუმელებს. ეკონომიურად თითქმის ერთნაირი სიძლიერისაა ორივე კოლმეურნეობა. აქაც მეჩაიეობისა და მეცხოველეობის დარგებია წამყვანი. ბრიგადა ბრიგადას შეეჯიბრება, რგოლი—რგოლს, კოლმეურნე—კოლმეურნეს. ერთი დამთხვევაც მოხდა—ორივე ჩაისუბანს საქართველოს უმაღლეს საბჭოში დეპუტატებად მოწინავე მეჩაიეები ჰყოლიათ წარგზავნილი: ბათუმის ჩაისუბანს —ნაზი ფალავანდიშვილი, ხოლო ჩოხატაურისას—ლამარა ჩხიკვაძე (ამ პირველი შეხვედრისას ორივე თბილისში იყვნენ, სესიაზე); რასაკვირველია, სოფლის კეთილმოწყობა და კულტურული მომსახურებაც არ დაივიწყეს თავკაცებმა.

ჩოხატაურელები ახლოს გაეცვნენ აჭარის ჩაისუბნის მოწინავე ადამიანებსა და მათ წარმატებებს. სასახელოდ შრომობენ ვახტანგ დიასამიძე და ნაზი გორგილაძე, ისმაილ ბერიძე და შალვა სეიდიშვილი, ჯემალ ფალავა და ალი ჩახვაძე, ილიას ჩოლაქოღლი და ოსმან დიასამიძე; კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი იბრაიმ მაჰუტაძე, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები გურამ დოლიძე და ალბერტ უკლება, მთავარი ბუღალტერი მოედინ კვირიკაძე, ზოოტექნიკოსი დავით ბაკურაძე, თავმჯდომარესთან ერთად, მარჯვედ ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობას.

ჩოხატაურელები დაემშვიდობნენ კეთილ მასპინძლებს და ნახულ-განცდილით აღფრთოვანებულნი დაბრუნდნენ თავიანთ სოფელში.

***

ზუსტად ერთი კვირის შემდეგ აჭარელები ეწვივნენ გურულებს. მრავალფეროვანი იყო მათი დელეგაცია: კოლმეურნეობის თავკაცთა და მოწინავეთა გარდა მის შემადგენლობაში იყო რაიონული გაზეთის რედაქტორი, სკოლის დირექტორი, სასოფლო საბჭოს მდივანი. სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ჩაის პლანტაციები, საყანე, ფერმა... შემდეგ მათ ჩოხატაურის რაიონის სიამაყე—გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ინახულეს. ისინი მოხიბლა ერისთავების ყოფილ სასახლესა და მამულში მოთავსებულმა ტექნიკუმმა, რომელიც მისი აღზრდილის, საბჭოთა კავშირის გმირის ჭიჭიკო ბენდელიანის სახელს ატარებს. დიდხანს ვერ მოაშორეს თვალი საქართველოში უძველეს ჩაის ბუჩქს, რომელიც დარგულია 120 წლის წინ.

ჩაისუბნის საკოლმეურნეო კლუბში ჩატარებულ კრებაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სეხნია სოფლების კოლმეურნეები და ახალ-ახალ ვალდებულებებს იღებდნენ; აქ, ამ კრებაზე შეხვდნენ ერთმანეთს ორი სახელოვანი მეჩაიე, ორი დეპუტატი— ნაზი ფალავანდიშვილი და ლამარა ჩხიკვაძე. მათ პირადად გამოიწვიეს ერთმანეთი შეჯიბრებაში 7,5 ტონა „მწვანე ოქროსათვის“ საბრძოლველად.

ასე გაინასკვა ორი სოფლის მეგობრობისა და ძმობის კიდევ ერთი მძლავრი კვანძი. ზეიმის დასასრულს დარეჯანმა, ამ მოუსვენარმა ქალმა დელეგაციის თითოეულ წევრს საჩუქრად უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურული გამოცემა გადასცა, ხოლო კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს — მაგიდის ძვირფასი საათები.

კარგი წამოწყების ერთი საფეხური—ჩაისუბანი და ჩაისუბანი დამთავრებული იყო. იწყებოდა მეორე საფეხური—ხიდისთავი და ხიდისთავი. „აქ უფრო მეტი დაკვირვება გვმართებს,—ამბობდა დარეჯანი,—ქართლის ხიდისთაველებს სულ სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები მოჰყავთ, ამიტომ შეჯიბრების მუხლებიც განსხვავებული იქნება“.

***

დილით ადრე ჩოხატაურის ხიდისთავიდან სამი „ვოლგა“ გაემგზავრა გორისაკენ, გაზაფხული იყო, უმშვენიერესი სანახავია ამ დროს იმერეთის მიდამოები. შემდეგ უღელტეხილის აღმართები დაიწყო და უკვე ქართლის გადაშლილი მინდვრებიც გამოჩნდა.

ხიდისთავი თითქმის გადაბმულია გორთან, ეს მჭიდროდ დასახლებული სოფელია; სოფლის შესასვლელთან, ტრანსპარანტებზე წარწერილია: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ ქუჩებში გამოფენილი ხალხი გულთბილად ხვდება დელეგაციას. გორელი ხიდისთაველების თავმჯდომარე, ბრგე და ახოვანი ვაჟკაცი ალექსანდრე ვანიშვილი სიყვარულით ეხვევა ჩოხატაურელი ხიდისთაველების თავმჯდომარეს ბენო სიხარულიძეს.

მალე საქმიანი საუბარი გაჩაღდა. გორის ხიდისთავი ამაყობს თავისი მოწინავე ადამიანებით. ესენი ძირითადად მევენახეები არიან—ეთერ დაღელაშვილი, ტუხა ნონიკაშვილი, მიხეილ ტლაშაძე, ივანე დაღელაშვილი, ილია ტლაშაძე, ნინო ნოზაძე, მელო სვიანაძე, მიხეილ ნინიკაშვილი და სხვ. ხიდისთაური ჩინური და თავკვერი განთქმულია ჩვენს რესპუბლიკაში და მის გარეთაც. აქვეა ღვინის ქარხანაც. როგორ გაუხარდათ ჩოხატაურელ ხიდისთაველებს, როცა გაიგეს, რომ ამ ქარხნის დირექტორი მათი თანასოფლელი ირაკლი გეგეჭკორი აღმოჩნდა. „ხიდისთაველი მაინც ხიდისთაველად დარჩენილაო“—ხუმრობდნენ.

სტუმრებმა დაათვალიერეს კოლმეურნეობის ზვრები, ბაღები, ფერმა. შემდეგ გაემგზავრნენ კლდეში გამოკვეთილი ქალაქის—უფლისციხისა და მე-7 საუკუნეში აგებული ატენის სიონის სანახავად. იქიდან გორში დაბრუნდნენ და ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმს ესტუმრნენ. აქ გურულებმა გაიხსენეს, რომ პირველი რევოლუციის წლებში სოსო ჯუღაშვილმა ერთი მიტინგი სწორედ მათ სოფელში, ხიდისთავში მოაწყო. იმ ადგილას ახლა ობელისკია აღმართული.

იმავე დღეს აპირებდნენ დაბრუნებას სტუმრები, მაგრამ მასპინძლებმა ეს ძალიან იწყინეს. გურულები მაინც ჯიუტობდნენ. მაშინ ალექსანდრე ვანიშვილმა ხელები გაშალა და დინჯად თქვა: „კარგი, წაბრძანდით, მაგრამ ხომ იცით ეს რის ნიშანია, აქაო და, თქვენ რომ ჩამოხვალთ, მალევე წადითო“. რაღა ეთქმოდათ ენამახვილობითა და სტუმართმოყვარეობით განთქმულ გურულებს, მათ ხომ გზაც მოუჭრეს და სიტყვაც!

სტუმრებს არასოდეს დაავიწყდებათ ტანას ულამაზესი ხეობა, უფლისციხე და სიონი, ატენი და გორი, დინჯი და გამრჯე, გულმართალი და ალალი ადამიანები.

სულ მალე გორელი ხიდისთაველები ჩავიდნენ გურიაში. თვალი ვერ ძღებოდა ხუჭუჭა გორაკებისა, გიჟმაჟი მდინარეებისა და ახასხასებული ჩაის ბუჩქების ხილვით.

ორი ხიდისთავის შეჯიბრებისადმი მიძღვნილ კრებაზე და შემდეგაც ხშირად გაიგონებდით ძველი ქართული სიმღერის სიტყვებს:

ხიდისთავს შევკრათ პირობა,
ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანია...

ლექსის ეს პირველი სტრიქონები მათ ნამდვილად შეასრულეს, პირობა შეჰკრეს, მაგრამ „ჩახტომით“ არავის ჩახტომიან და არც აპირებენ...

***

მაშ ასე, ორი ჩაისუბანი და ორი ხიდისთავი. ოთხი თანამედროვე ქართული სოფელი; ისინი წარმატებით ეჯიბრებიან ერთმანეთს. უკვე შეაჯამეს შეჯიბრების პირველი, საიუბილეო წლის შედეგები. ამ შეჯიბრებაში არავინ დამარცხებულა, ყველამ გაიმარჯვა, ოთხივემ გადაჭარბებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი და ახალი სამეურნეო წლისათვის ემზადებიან.

აი, ასეთი ლამაზი საქმე წამოიწყო დარეჯან მიქაბერიძემ.

ჩვენი ტოპონიმიკა ამბობს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არის 24 ახალსოფელი, 13 ახალშენი, 9 ახალდაბა, 8 ეწერი, 6 აგარა, 6 ვარდისუბანი, 6 ვაშლოვანი, 6 ჭალა, 5 შრომა, 5 ვანი, 4 გომი და ა. შ.

რა კარგი იქნებოდა, რომ ჩაისუბნებისა და ხიდისთავების მაგალითს საქართველოს სხვა სეხნია სოფლებიც მიჰბაძავდნენ.



# ჩვენი სახელოვანი რექტორი

სულ ახლახანს ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ ფართოდ და გულთბილად აღნიშნა სახელოვანი ქართველი მეცნიერის, სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატის, აკადემიკოს ილია ნესტორის ძე ვეკუას დაბადების 60 წლისთავის შესრულება. ეს იუბილე ქართული მეცნიერების დიდი დღესასწაული იყო.

ილია ვეკუა თანამედროვეობის იმ გამოჩენილ მათემატიკოსთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა სამეცნიერო მოღვაწეობის სარბიელი მეტად ფართო და მრავალფეროვანია. დიფერენციალურ განტოლებათა თეორია, ინტეგრალური განტოლებები, კომპლექსური ცვლადის თეორია, დრეკადობის თეორია, გეომეტრია—აი, მათემატიკის ის კლასიკური დარგები, რომელთა ბევრი რთული და საინტერესო ამოცანის შესწავლას მან ფუნდამენტური გამოკვლევები უძღვნა.

იმისათვის, რომ „დროშის" მკითხველებს შევუქმნათ გარკვეული წარმოდგენა ამ გამოკვლევებისა და მათი ადგილის შესახებ თანამედროვე მათემატიკური მეცნიერების საგანძურში, ჩვენ მოვიყვანთ ცალკეულ გამოჩენილ მათემატიკოსთა აზრს ილია ვეკუას აღნიშნული გამოკვლევების შესახებ.

ილია ვეკუას სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის პრობლემატიკის ჩამოყალიბებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მის მასწავლებელს — აკად. ნ. მუსხელიშვილს, რომელიც აღნიშნავს, რომ „ილია ვეკუას შრომებმა ე. წ. სინგულარული ინტეგრალური განტოლებების სფეროში დიდი გავლენა მოახდინა ჩემი საკუთარი შრომების მიმართულებაზე".

საიუბილეო კომისიის სახელზე მოვიდა უამრავი დეპეშები და წერილები როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებებისა და გამოჩენილი მათემატიკოსებისაგან. აი ამონაწერები ამ დოკუმენტებიდან: „ილია ვეკუას მიერ აგებული განზოგადებული ანალიზური ფუნქციების თეორია წარმოადგენს თანამედროვე მათემატიკური ფიზიკის ერთ-ერთ საფუძველს"; „ეს სავსებით ახალი თეორიაა, რომელიც მეცნიერებაში წარმოადგენს არსებით ნაბიჯს წინ"; „ილია ვეკუას მიერ შექმნილი განზოგადებულ ფუნქციათა თეორია, ელიფსურ განტოლებათა ამოხსნის ახალი მეთოდები საბჭოთა მათემატიკის სიამაყეს წარმოადგენს"; „ილია ვეკუას შესანიშნავი გამოკვლევები მათემატიკური ფიზიკის განტოლებათა თეორიაში, სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში და მექანიკაში სამუდამოდ შევიდა მსოფლიო მეცნიერების საგანძურში".

ილია ვეკუას მეცნიერული დამსახურების ამ შეფასებებს ხელს აწერენ გამოჩენილი საბჭოთა მათემატიკოსები, კერძოდ, აკადემიკოსები: ი. ვინოგრადოვი, მ. კელდიში, ს. სობოლევი, ლ. სედოვი, ნ. ბოგოლიუბოვი, ა. იშლინსკი, პ. ნოვიკოვი, ა. მალცევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: ი. გელფანდი, ა. ბიწაძე, ა. ბოროვკოვი, დ. შირკოვი და სხვები.

იუბილარის სამეცნიერო მოღვაწეობის ანალოგიური შეფასებანი მოცემულია იმ მრავალრიცხოვან წერილებში, რომლებიც მოვიდა საზღვარგარეთიდან და რომელთაც ხელს აწერენ გამოჩენილი უცხოელი მათემატიკოსები— კურანტი, ფრიდრიხი, ალფორსი, მოზერი, ჯონი, ნირენბერგი, ლაქსი, ბერსი, ბერგმანი, ფინი, რაისნერი (ამერიკის შეერთებული შტატები); ლანჟუა, როა, ლერე (საფრანგეთი); მირანდა, პიკონე, ფიკერა (იტალია); გრინი, სნედონი (ინგლისი); ბაბუშკა, ნოვაკი (ჩეხოსლოვაკია); ნიკოლესკუ, ტეოდორესკუ, იაკობი (რუმინეთი); კურატოვსკი, ოლშაკი (პოლონეთი); კოიტერი (ჰოლანდია) და მრავალი სხვები.

ამრიგად, ილია ვეკუას სამეცნიერო ნაშრომებს დიდი მსოფლიო რეზონანსი აქვთ. ვეკუას მონოგრაფიამ „ელიფსურ განტოლებათა ამოხსნის ახალი მეთოდები", სახელმწიფო პრემია დაიმსახურა; მეორე, ასევე ფუნდამენტური მონოგრაფიისათვის — „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები" — ავტორს ლენინური პრემია მიენიჭა. ორივე მოხსენებული მონოგრაფიის თარგმანები გამოცემულია უცხოეთში და ისინი იქ დამსახურებული პოპულარობით სარგებლობენ.

დიდია იუბილარის დამსახურება როგორც პედაგოგისა და სამეცნიერო კადრების აღმზრდელისა. სხვადასხვა დროს იგი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის, მოსკოვის, ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტებში და ჩვენი კავშირის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. როგორც ლექტორი, იგი მსმენელებს იზიდავს თავისი შესანიშნავი და ღრმააზროვანი ლექციებით, თემის ორიგინალური გადმოცემით, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა ტრადიციულს და მსმენელებს აჩვევს შემოქმედებით აზროვნებას.

ილია ვეკუა იმ გამოჩენილ მეცნიერთა რიცხს ეკუთვნის, რომელთაც შესწევთ არაჩვეულებრივი უნარი უმალ ამოიცნონ ახალგაზრდის ტალანტი და მისცენ სწორი მიმართულება მის სამეცნიერო მუშაობას; იუბილარის მოწაფეებზე მუდამ დიდად შთამაგონებელ გავლენას ახდენს პირადი მაგალითი მათი მასწავლებლისა, რომელსაც ახასიათებს პრინციპულობა, თავისი თავისადმი დიდი მომთხოვნელობა და ასევე დიდი შრომისმოყვარეობა. ილია ვეკუას სემინარები ყოველთვის შემოქმედებითი სულითაა გამსჭვალული და მის მონაწილეთა შორის აღვივებს შემოქმედებითი ძიების დიდ წყურვილს. იუბილარს ამჟამად მრავალი მადლიერი მოწაფე ჰყავს როგორც ჩვენი კავშირის სხვადასხვა კუთხეში, ასევე უცხოეთში; მათ შორის არა ერთი და ორი უკვე გამოჩენილი მეცნიერია, რომლებიც დამოუკიდებლად ავითარებენ თავიანთი მასწავლებლის იდეებს.

ილია ვეკუას მრავალმხრივი მოღვაწეობის სარბიელი არაა შემოფარგლული მხოლოდ მეცნიერებითა და პედაგოგიური მოღვაწეობით. მან თავი გამოიჩინა აგრეთვე როგორც სამეცნიერო კოლექტივებისა და სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების ნიჭიერმა და შესანიშნავმა ხელმძღვანელმა და ორგანიზატორმა. ამჟამად ილია ვეკუა ჩვენი რესპუბლიკის უდიდესი კულტურული ცენტრის — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია. იგი, ამავე დროს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის განყოფილების ბიუროს წევრი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრია.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის დიდი ამაგი, რომელიც იუბილარმა დასდო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის ფილიალის ჩამოყალიბებას. იგი უშუალო მონაწილეა ამ ფილიალის პროექტის შედგენისა. ასევე მისი უშუალო ხელმძღვანელობით აიდგა ფეხი ნოვოსიბირსკის ამჟამად უკვე სახელგანთქმულმა უნივერსიტეტმა; ილია ვეკუა მისი პირველი რექტორი იყო. კარგად არის ცნობილი თუ რაოდენი ახალი უმნიშვნელოვანესი წამოწყების მოთავე გახდა ჩვენს ქვეყანაში ეს უნივერსიტეტი ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ხელმძღვანელობით. ციმბირელი მეგობრები დიდად აფასებენ ილია ვეკუას ამ დამსახურებას. ეს აშკარად ჩანს იმ მრავალრიცხოვან ადრესებში და წერილებში, რომლებიც იუბილარმა მიიღო ციმბირიდან.

1964 წლის ნოემბერში ილია ვეკუა დაბრუნდა თბილისში (იგი მოსკოვში მიწვეული იყო სამუშაოდ 1951 წ.). დაბრუნებისთანავე მან მისთვის ჩვეული ენერგიით და გატაცებით წამოიწყო მთელი რიგი სერიოზული სამუშაოები. ასე, მაგალითად, მისი ინიციატივით ა. რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა მექანიკის სექტორი, რომელსაც თვითვე უწევს მეცნიერულ ხელმძღვანელობას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მისი ხელმძღვანელობით და მეთაურობით დაარსდა გამოყენებითი მათემატიკის ლაბორატორია, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფლებით. სულ მოკლე დროში ამ ლაბორატორიამ მეტად სერიოზული მუშაობა ჩაატარა და უკვე ჩანს ყველა ნიშანი იმისა, რომ იგი გადაიქცევა ჩვენს კავშირში გამოყენებითი მათემატიკის სფეროში კვლევის ერთ-ერთ მოწინავე ცენტრად.

ყველას გვახარებს, რომ იუბილარი თავისი სამეცნიერო და ორგანიზატორული მოღვაწეობის აღმავლობის პერიოდში იმყოფება. ვუსურვოთ ქართველი ხალხის გამოჩენილ შვილს ხანგრძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლე ჩვენი ხალხისა და ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**ბორის ხვედელიძე**

საქართველოს მათემატიკური საზოგადოების ვიცეპრეზიდენტი, პროფესორი.

# სტუმრად გერმანელ მეგობრებთან

ზურაბ ახვლედიანი

## გამარჯობა, ბერლინო!

ბერლინის აეროპორტის საკონტროლო-საშვები პუნქტის ახალგაზრდა ლეიტენანტმა მომღიმარი ცისფერი თვალებით შემომხედა და თავაზიანად მკითხა: „Bitte, Familie?“ მე ხმამაღლა, მარცვალ-მარცვალ წარმოვთქვი ჩემი გვარი და მაშინვე ზურგს უკან ქალის სასიამოვნო ხმამ სუფთა რუსულ ენაზე წამოიძახა:

— ო, ახვლედიანი? თქვენ ელიჩკას ძმა ხართ?

„სტარტი“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიწაზე სასიამოვნო გამოდგა...

...ყველა ფორმალობა რამდენიმე წუთში დამთავრდა, და ჩვენ აღმოვჩნდით გდრ-ს ტელევიზიიდან შესახვედრად მოსული ამხანაგების რკალში. აქ იყვნენ თავმჯდომარის პირველი მოადგილე ადამეკი, ერთ-ერთი განყოფილების რედაქტორი კარლ კენიგე, თარჯიმანი ურსულა შვარცი და კომიტეტის სხვა თანამშრომლები. ხოლო სასიამოვნო ხმის პატრონი, ჩემი სახელოვანი თანამოგვარის მხატვარ ელენე ახვლედიანის ძმა რომ ვეგონე, აღმოჩნდა გდრ-ს ტელევიზიის საერთაშორისო განყოფილების თანამშრომელი ლიზა ვარნკე. აქვე, აეროდრომზე მან გაიხსენა საქართველო. გდრ-ს ტელევიზიის თანამშრომელთა ჯგუფთან ერთად ლიზა ორჯერ ყოფილა ჩვენს რესპუბლიკაში და ახლა აღტაცებით იგონებდა თელავსა და ბორჯომში სტუმრობას, შეხვედრებს ჩვენს მხატვრებთან, მწერლებთან, მსახიობებთან.

ურსულა ძლივს ასწრებდა ლიზას სიტყვების გადათარგმნას მისი კოლეგებისათვის. ისინი, თანხმობის ნიშნად, მოწონებით აქნევდნენ თავებს. ადამეკმა კი პირდაპირ გაგვაოგნა ყველა, როცა უცებ განგვიცხადა, რომ ისიც ნამყოფია საქართველოში და... ქარხანასაც კი აშენებდა რუსთავში. თურმე ტყვეობაში ყოფნისას, იგი ცხოვრობდა და მუშაობდა საქართველოში და ჩვენი ქვეყნის შესახებ მეტად თბილი მოგონებები დარჩა (შემდეგში დავრწმუნდით, რომ საქართველოს ასეთი ქება თავაზიანობით არ იყო გამოწვეული — გერმანელ ამხანაგებს უყვართ ჩვენი ხალხი, ბევრი რამ იციან ჩვენს რესპუბლიკაზე და სურთ კიდევ უფრო მეტი იცოდნენ).

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ უკვე მივემგზავრებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრისაკენ.

რა შეიძლება ითქვას აღმოსავლეთ ბერლინის გარეგნულ სახეზე? რა თქმა უნდა, გადაჭარბებული იქნებოდა გვემტკიცებინა, თითქოს ქალაქი მთლიანად აღდგენილია. აქ შეხვდებით ჯერ კიდევ აუღებელ ნანგრევებს, რომელთა აღდგენას აზრი არა აქვს, დანგრეულ შენობებს, რომლებსაც ახლა იღებენ — მათ ადგილას აშენდება ახალი სახლები, არის არც თუ ისე ძალიან დაზიანებული ნაგებობებიც — მიმდინარეობს მათი რესტავრაცია.

მაგრამ იმან, რაც უკვე აშენებული და აღდგენილია — ესე იგი, აღმოსავლეთ ბერლინის დიდმა ნაწილმა — არ შეიძლება აღტაცება არ გამოიწვიოს.

ძველი ტრადიციული გოთიკისა, უფრო გვიანდელი ბაროკოსა და მკაცრი კლასიციზმისაგან, პრეტენზიული მოდერნისა და ფაშისტური დიქტატურისდროინდელი პირქუში, მძიმე ცრუკლასიციზმისაგან კვალიც არ არის დარჩენილი. ყველა ახალი შენობა აგებულია ულტრათანამედროვე სტილით, სადაც გამოყენებულია ტიპიური, სტანდარტული ელემენტები — ბლოკები, დიდი და პატარა ფილები და ა. შ. მაგრამ კონსტრუქციული ელემენტების ტიპიზაცია და სტანდარტიზაცია აქ მეტად ხელსაყრელად ერწყმის მრავალნაირ არქიტექტურულ ფორმას. გდრ-ს დედაქალაქის მთავარი მაგისტრალის — მრავალკილომეტრიანი „კარლ-მარქს-ალეეს“ მთელს სიგრძეზე ჩვენ ვერ ვნახეთ ვერც ერთი წყვილი „ტყუპი“ სახლებისა: თვითეულ მათგანს აქვს თავისი ინდივიდუალური „სახე“. დემოკრატიული გერმანიის ხუროთმოძღვრებისა და ინჟინრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი დიდი წარმატებებით ეძებენ თავიანთი დედაქალაქის შემკობისა თუ გამშვენების ახალ გზებსა და საშუალებებს. რაც შეეხება სამშენებლო სამუშაოთა ხარისხს, გერმანელმა მეგობრებმა აქაც დაამტკიცეს, რომ ღირსი არიან დიდი ქების.

აი „ბეროლინაც“ — ახალი თორმეტსართულიანი სასტუმრო ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, რომელშიც ჩვენ რამდენიმე დღე გავატარეთ. ვრცელი ჰოლი სავსეა ხალხით. ისმის ლაპარაკი სხვადასხვა ენაზე — გერმანულად, ინგლისურად, ფრანგულად, რუსულად... ჩვენი მასპინძლების მიერ წინდაწინ შედგენილი პროგრამის მიხედვით ჩვენ ნახევარი საათის შემდეგ რესტორანში სადილი მოგველის.

— თქვენ ათი წუთი დრო გაქვთ, — გვეუბნება ჩვენი თარჯიმანი ურსულა, — პირი დაიბანეთ, ტანსაცმელი გამოიცვალეთ, ჩვენ აქ დაგელოდებით.

მადლობას ვუხდით და საუბარს განვაგრძობთ.

— ამხანაგებო! — ურსულას ხმაში ლითონი რეკავს, — სამი წუთი გავიდა. დაგრჩათ შვიდი წუთი!

ოჰო! აი ეს მესმის! აი ეს არის ნამდვილი გერმანული სიზუსტე!



ბრანდენბურგის ჭიშკარი.

## ტრეპტოვ-პარკი

მეორე დღეს ჩვენი დელეგაცია ესტუმრა საბჭოთა ელჩს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — პეტრე ანდრიას ძე აბრასიმოვს.

საღამოს რვა საათი იყო. სამუშაო დღე დიდი ხნის დამთავრებული გახლდათ. ეტყობოდა, ელჩი ძალიან დაღლილი იყო. მიუხედავად ამისა, მან მეტად გულთბილად მიგვიღო, დიდხანს და დაწვრილებით გვეკითხებოდა რესპუბლიკის სიახლეებისა და ქართული რადიოსა და ტელევიზიის მუშაობაზე. საუბრის დამთავრებისას მან მიგვიწვია დალუპულ საბჭოთა მეომრების ძეგლის გვირგვინით შემკობის ცერემონიალზე, რაც ყოველწლიურად ეწყობა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

...ადვილად გასაგებია, როგორი მღელვარებით გავემართეთ 28 თებერვალს დილით სახელგანთქმულ ტრეპტოვ-პარკისაკენ. შორიდანვე ჩანს მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი სკულპტურული ფიგურა საბჭოთა მეომრისა, რომელსაც მკერდზე მიხუტებული ჰყავს გერმანელი გოგონა. ცხრა საათისათვის ტრეპტოვ-პარკის შესასვლელთან შეიკრიბნენ გდრ-ს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, ეროვნული სახალხო არმიის სარდლობა, დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები, სამხედრო და პრეს-ატაშეები, ჩვენი საელჩოს თანამშრომლები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტები. პ. ა. აბრასიმოვმა ჩვენი თავი გააცნო გდრ-ში საბჭოთა ჯარების მთავარსარდალს არმიის გენერალ კოშევოის.

ტრეპტოვ-პარკის წინ გაშლილი მოედანი ძლივს იტევდა გდრ-ს დედაქალაქის მშრომელთა კოლონებს, ადამიანები კი მოდიოდნენ და მოდიოდნენ, მოჰქონდათ ცოცხალი ყვავილების გვირგვინები, თაიგულები.

ზუსტად ცხრა საათზე გაიღო პარკის ფართო ჭიშკარი. უცებ ჩამომდგარ სიჩუმეში განსაკუთრებით მკაფიოდ გაისმა სამხედრო ბრძანება. მკვეთრი ნაბიჯით დაიძრა წინ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის ჯარისკაცთა ნაკრები რაზმის უზადოდ გამართული მწყობრი... აგუგუნდა სამგლოვიარო მარშის მელოდია... ქუდმოხდილნი მდუმარედ, ნელ-ნელა მივყევით კოლონას...

რამდენიმე წუთს გრძელდება მსვლელობა ძეგლისკენ. წითელი ქვისაგან გამოკვეთილ, ოდნავ დახრილ დროშებთან, თავისებურ თაღს რომ ქმნიან, უძრავად დგას საბჭოთა არმიის ორი გრანიტის ჯარისკაცი. აი უკვე ოცი წელია აქ დგანან ისინი და იდგებიან საუკუნეებით, რათა დაიცვან მებრძოლ ძმათა მარადიული სიმშვიდე, იდგებიან როგორც სიმბოლო დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანის უსაზღვრო სიყვარულის და პატივისცემისა მათ მიმართ, ვინც თავისი სიკვდილით გაიმარჯვა სიკვდილზე...

9 საათი და 15 წუთია... ჩვენ ვდგავართ კიბესთან, რომელიც მიემართება ბორცვის მწვერვალისაკენ. აქ დგას იგი, შვილი რუსეთისა, განმათავისუფლებელი საბჭოთა არმიის მეომარი... მიწყდა რექვიემის უკანასკნელი აკორდები, წამიერი მდუმარება ჩამოდგა— და უცებ შრიალი მოისმა: ძეგლის ორივე მხარეს ჩამწკრივებულმა ჯარისკაცთა კოლონებმა მისალმების ნიშნად შემართეს შაშხანები. კიდევ წამი და უღრესად დაძაბულ სიჩუმეში აგუგუნდნენ დოლები, აგუგუნდნენ შეუწყვეტლად, სისხლისა და სულის ამაფორიაქებლად... ეროვნული სახალხო არმიის ჯარისკაცთა ოცეული უზარმაზარი გვირგვინებით ხელში მძიმედ ამყვა კიბეს. არასოდეს არ განმიცდია იმაზე უფრო ამაღელვებელი და შთამბეჭდავი რამ, რაც ამ გვირგვინებით შემკობის სურათმა განმაცდევინა. ძნელია ამის სიტყვებით გადმოცემა — სამგლოვიარო-საზეიმო ვითარებაში, მღელვარებაში, რამაც მე ასე ამიტანა, უცებ ერთად მოიყარა თავი ყველაფერმა — მოგონებამ წარსული ომის ცეცხლოვანი წლების შესახებ, მეხსიერებაში ამოტივტივებულმა ამ ომში დაღუპულ ბავშვობის მეგობართა სახეებმა, სინანულმა სამუდამოდ განვლილი სიყმაწვილის შესახებ, რომელიც ომი რომ არა, შეიძლება მხიარული და ბედნიერი ყოფილიყო,. და სიამაყის უღრესად დიდმა, ყოვლისმომცველმა გრძნობამ, გამოწვეულმა ჩემი სამშობლოთი, ჩემი არმიით, იმ უსახელო გმირებით, რომელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად იქნა აღმართული ეს შესანიშნავი ძეგლი, და ბევრმა სხვამ, რასაც სახელსაც ვერ მოუძებნი...

...ცერემონიალი დამთავრდა. აუჩქარებლად, მდუმარედ იშლება ხალხი. ჩვენ რამდენიმე წუთი ვიდექით „მწუხარე დედის“ ქვის ქანდაკების წინ და შემდეგ გასასვლელისაკენ გავემართეთ. ჭიშკართან ჩვენი ყურადღება მიიპყრო საბჭოთა ოფიცრების ჯგუფმა — ჭაღარა, ულვაშებიანმა გენერალმა, ორმა ხანშიშესულმა პოლკოვნიკმა და რამდენიმე უფრო დაბალი წოდების სამხედრო პირმა. ისინი თავდახრილები იდგნენ, ხელში ქუდები ეჭირათ და სდუმდნენ. მე განცვიფრებული შევცქეროდი მათ მოღუშულ სახეებს, და უცებ დავინახე: გენერლის სავსე, სუფთად გაპარსულ ლოყებზე ცრემლები მოცურავდნენ... დიახ, ომი ომია, და კიდევ დიდხანს მოაგონებს იგი თავს ადამიანებს: დანაკარგით გამოწვეული ტკივილის დახშობა არ ძალუძთ არც ტრადიციულ ცერემონიებს, არც გვირგვინებს, არც იმის შეგრძნობას, რომ სამართლიანობამ გაიმარჯვა. და გენერალიც, ბოლოს და ბოლოს, ჩვეულებრივი ადამიანი იყო... და უფლება ჰქონდა დაეღვარა ჩვეულებრივი ადამიანური ცრემლები...

## წარსულის შავი აჩრდილი

...ახალთახალი სალათისფერი „ვოლგა“ მიქრის ბეტონის ფართო ავტომაგისტრალზე. გზა ტყის მასივებზე გადის. ეს ქალაქგარე მწვანე ზონა, ანუ როგორც აქ ეძახიან, „ბერლინის ფილტვები“ გახლავთ. მაგისტრალის გაყოლებით ელავენ გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნები — გაქცეული ირმის სილუეტი მრგვალ ფარებზე. შოფერი გვიხსნის: აქაურ ტყეებში ბინადრობენ ირმები, გარეული ღორები, მელიები, კურდღლები. მათ იცავს კანონი და ისინიც თავისუფლად დასეირნობენ თავიანთ სამფლობელოებში და ზოგჯერ გზატკეცილზეც კი გამოდიან.

შეუმჩნევლად გადის ნახევარი საათი. შევდივართ ქალაქის ტიპის პატარა დასახლებაში — ლენიცში.



ბერლინი — გდრ-ის დედაქალაქი.

ქვის და აგურის ლამაზი ერთ, ორ და სამსართულიანი სახლები, კრამიტის მაღალი, წოპ-წოპა სახურავები. სუფთა ეზოები. ქუჩებში ცოტაა გამვლელ-გამომვლელი და ვისაც ნახავთ, ყველა — ბავშვები, მამაკაცები და მოხუცი ქალებიც კი, ყველა ველოსიპედზე ზის... ხუთიოდე წუთი ვიარეთ ამ პატარა ქალაქში. ვეძებდით ჩემთვის საჭირო სახლს, აი ისიც. ეზოს კარებთან თითს ვაჭერ ელექტროზარის ღილს. სახლიდან გამოდის მისი პატრონი. ეს არის გუნთერ შტაინი, ჟურნალისტი და მწერალი. გუნთერი ორჯერ ეწვია ჩვენს ქვეყანას. იყო მრავალ ქალაქში, მოიარა გორკისეული ადგილები, და ბუნებრივია, ამ „გორკის მარშრუტმა“ იგი თბილისშიც ჩამოიყვანა. ჩვენს რესპუბლიკაში მან რამდენიმე დღე დაჰყო და ამ მცირე ხნის მანძილზე მოასწრო გასცნობოდა ბევრ ქართველ პოეტს, მწერალს, დაეთვალიერებინა არქიტექტურის ძეგლები, მუზეუმები, ახალმშენებლობანი. თავის შთაბეჭდილებებზე შტაინმა აღფრთოვანებით, დიდი სითბოთი და სიყვარულით მოუთხრო თავის თანამემამულეებს ნარკვევების სერიაში...

ჩვენ გუნთერის კაბინეტში ვსხედვართ. იგი გვეკითხება ქართველ კოლეგებზე; აინტერესებს რა შექმნეს მათ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, რაზე მუშაობენ ახლა, საწერ მაგიდაზე მე ვხედავ „რომან-გაზეტას“ ნომერს, რომელშიც გამოქვეყნებულია ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „მე ვხედავ მზეს“. გდრ-ს ერთ-ერთი გამომცემლობის დავალებით გუნთერი და მისი მეუღლე თრაუთე ამ მოთხრობას თარგმნიან გერმანულ ენაზე...

მერე გუნთერი მოხერხებულად სწორდება სავარძელში, სიგარას უკიდებს და მეუბნება:

— ახლა კი მომიყევი დიდი შოთას იუბილეზე. ეს ჩემი დიდი დარდია, რომ ვერ მოვახერხე რუსთაველის ზეიმზე დასწრება!

...საუზმის შემდეგ გუნთერმა და თრაუთემ წინადადება მოგვცეს დაგვეთვალიერებინა ლენიციდან სამ-ოთხ კილომეტრზე მდებარე ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკი.

— ზაქსენჰაუზენი... გაგიგონია ასეთი საკონცენტრაციო ბანაკი?

— ო, როგორ არ გამიგონია... მეტისმეტად ცნობილია მისი სახელი...

საკონცენტრაციო ბანაკი.., ჩემი თაობის ადამიანებს ახსოვთ არეული, დაძაბული დრო, როცა თვითეულ ოჯახში შეშფოთებითა და რაღაცნაირი იდუმალებით წარმოთქვამდნენ ჩვენთვის უცხო, გაუგებარ სიტყვებს: „ფაშიზმი“, „მემარჯვენე სოციალისტები“, „აბისინია“, „ნაცისტები“... სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა გაზეთებში, ისმოდა რადიოგადაცემებში ჰიტლერის, მუსოლინის სახელები... მაშინ გამოჩნდა პირველად ეს მანამდე გაუგონარი სიტყვაც — „საკონცენტრაციო ბანაკი“.

ევროპის თავზე ბობოქრობდნენ კლასობრივი ბრძოლების ქარიშხლები. ევროპის ცაზე თავს იყრიდნენ ომის ავბედითი ღრუბლები. ჩვენ, ვინც მაშინ ათი-თორმეტი წლისანი ვიყავით, მაინცდამაინც არ გვადარდებდა ევროპის ბედი. ბავშვურ წარმოდგენებს ჩვენ გადავყავდით სულ სხვა მხარეში, თვალწინ გვეხატებოდა სულ სხვა სურათები, რომლებიც სუნთქვას გვიკრავდნენ და თავბრუს გვახვევდნენ: სადღაც იქ, დიდი თეთრი მდუმარების ცენტრში შებმოდა სტიქიონს ყინულებში ჩაჭედილი „ჩელუსკინის“ ეკიპაჟი. შმიდტი, მოლოკოვი, სლეპნევი, ბაბუშკინი... საბჭოთა კავშირის პირველი გმირები... ჩვენ ზეპირად ვიცოდით ამ ადამიანების ბიოგრაფიები.

შემდეგ ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრა მბრძანებლურად, ბენზინის სუნით, მოტორების გრუხუნით ახალი სახელი, სახელი დიდი მფრინავისა, რომელიც გადაიქცა ჩვენთვის სიმამაცის, ვაჟკაცობის, მომხიბვლელობის სიმბოლოდ — ჩკალოვი.

შემდეგ იყო ესპანეთი. კინოქრონიკის კადრები... აფეთქებები... რესპუბლიკური არმიის ჯარისკაცების მოკლე გადარბენები... „ნო პასარან!“... „პასიონარია“, პირველი პატარა ესპანელი გოგონები და ბიჭუნები ჩვენი ქვეყნის ქალაქებში.

ასე დამთავრდა ბავშვობა.

როცა ჩვენს სახლს ხიფათი დაატყდა თავს, როცა ჩვენს მიწას შემოუტიეს ფაშისტურმა ურდოებმა, სიტყვა „საკონცენტრაციო ბანაკი“, აქამდე რომ თვლემდა მეხსიერების შორეულ კუნჭულში, კვლავ ამოტივტივდა ჩვენს შეგნებაში მთელი თავისი ავისმომასწავებელი მნიშვნელობით.

...მრავალმა წელმა გაიარა მას შემდეგ. უღრესად დაწვრილებით არის აღწერილი ლიტერატურაში — ისტორიულსა თუ მხატვრულში, სამამულოსა თუ უცხოურში ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში ჩადენილი შემზარავი ბოროტმოქმედებანი. კინოფირზე აღბეჭდილი უტყუარი მტკიცებებით არის მხილებული ჰიტლერელი ბარბაროსების ჯოჯოხეთური საქმეები. ყველაფერი ეს იყო. ყველაფერი ეს ცნობილია. მე პრეტენზიას არ ვაცხადებ იმაზე, რომ ახალი სიტყვა ვთქვა წარსული ომის ისტორიაზე, არც ვაპირებ რაიმე დღემდე უცნობი რამ შევატყობინო მკითხველს. მე მინდა გიამბოთ იმაზე, რამაც განსაკუთრებით შემაძრწუნა ყოფილ საკონცენტრაციო ბანაკ ზაქსენჰაუზენში.

...დილით, როცა ბერლინიდან გამოვემგზავრე, შესანიშნავი ამინდი იდგა. იმ ათი წუთის განმავლობაში, სანამ გუნთერის „ვარტბურგით“ ზაქსენჰაუზენს მივაღწევდით, ამინდი მკვეთრად შეიცვალა. ცა ავისმომასწავებლად დაიფარა ტყვიასავით მძიმე, შავი ღრუბლებით. დაბინდდა. სულ უფრო მზარდი მოლოდინით დაძაბულმა გავიარე ორმაგი რკინის ჭიშკარი და მაშინვე დაგვეძგერა ძლიერი ქარი, მიწაზე დაეცნენ წვიმის პირველი წვეთები. ბანაკს უსიამოვნო ყრანტალით დასტრიალებდა საიდანღაც მოფრენილი ყვავების გუნდი... დამთრგუნველი გრძნობა, რომელმაც მე მომიცვა, კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა ქარმა საიდანღაც მოიტანა (ხდება ასეთი უცნაური დამთხვევებიც!) დამწვრის მძაფრი, გულისამრევი სუნი...

ფრთხილად მივაბიჯებ ქვის ფილებით მოკირწყლულ ბილიკზე, რომელსაც ბანაკის პატიმართა ძეგლისკენ მივყევართ, მაღლა ცაში ატყორცნილა

გრანიტის მონუმენტის შპილი. ძეგლის ფუძესთან ნაციონალური პრემიის ლაურეატის რენე გრეიცის სკულპტურული ჯგუფია: ორი პატიმარი და საბჭოთა ჯარისკაცი-განმათავისუფლებელი, რომელიც მათ გადახვევია. ქვის კვარცხლბეკზე კი ამოკვეთილია ოცი ქვეყნის სახელწოდება, რომელთა შვილები იტანჯებოდნენ და იღუპებოდნენ ამ ღვთისა და ადამიანის მიერ დაწყევლილ ადგილზე.

1941 წლის შემოდგომაზე ზაქსენჰაუზენში ფაშისტებმა დახვრიტეს და გაზით მოახრჩვეს 18 ათასი საბჭოთა სამხედრო ტყვე. მაგრამ მათ მოეჩვენათ, რომ ადამიანების მოსპობის „სამუშაოები“ მეტად ნელა ხორციელდებოდა. მაშინ გადაწყვიტეს შეექმნათ მასობრივი მოსპობის კომბინატი... ასე გაჩნდა აქ 1942 წლის გაზაფხულზე სპეციალური ნაგებობა პირობითი სახელწოდებით „სადგური Z.“ სიკვდილის ფაბრიკის „ტექნოლოგია“ აქ ბარბაროსულად მარტივი იყო: შესასვლელი—გასახდელი—ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის საწყობი — საშხაპე, სადაც ადამიანებს ხოცავდნენ გაზით, — ოთახი, სადაც კეფაში ტყვიის დახლით ხვრეტდნენ, — კრემატორიუმი... ერთ რიგად ჩამწკრივებული ოთხი ვეებერთელა ღუმელი — აკურატულად — სიმივით სწორად დალაგებული, აგურით ნაგები; ლითონის სწორი კარკასები. მტკიცე, საიმედო ანჯამები ლითონის მასიურ კარებზე. ამ ღუმელებში წვავდნენ გვამებს... აქამდე შემონახულია საკაცე: ბრეზენტის ნაჭერი, გადაჭიმული ლითონის ორ მილზე. შევიწროებული ბოლოთი, ეს საკაცეები იდგმებოდნენ კარის ღრმულში და ადამიანის გვამი სწრაფად შეცურდებოდა ღუმელში...

200 ათას პატიმარზე — 20 ეროვნების წარმომადგენელზე მეტმა გაიარა ზაქსენჰაუზენის ჰიშკარი. განწირულთა ამ არმიის ნახევარს არ ეწერა ბანაკიდან გამოსვლა — ისინი დახვრიტეს, ჩამოახრჩვეს, გაზით გაგუდეს. სიკვდილის პირამდე მიიყვანეს ცემით...

„სადგურ Z“-ის შორიახლოს — „დახვრეტის არხია“. ფართო, ნელ-ნელა სიღრმისკენ წასული ტრანშეა თავდება ბაქანით, რომლის უკანა კედელი მოპირკეთებულია ხის მორებით. ამ კედელთან აყენებდნენ მსხვერპლს, მათ წინ, სასროლო მიწაყრილის უკან, როგორც ტირის დახლთან, მოხერხებულად მოიკალათებდნენ ხოლმე ჯალათები ავტომატებით ხელში, დანარჩენი უბრალოდ კეთდებოდა... აქვე გვერდით ამართულია ოთხ კაცზე გათვალისწინებული მექანიკური სახრჩობელა. სახრჩობელის ძირას მიწაში დამაგრებულია ყუთი. მასზე ამაგრებდნენ პატიმრის ფეხებს, მერე ავტომატურად იჭიმებოდა კისერზე მოგდებული ყულფი. ადამიანს ნაწილ-ნაწილ ჰგლეჯდნენ.

...პატარა ერთსართულიანი შენობა გვაგონებს კარგად აღჭურვილ ქირურგიულ კაბინეტს: თეთრი ფილებით მოპირკეთებული კედლები, კაფელის იატაკი, საოპერაციო მაგიდები. ამ შენობის სახელწოდებაშიც იყო რაღაც მედიცინური „პათოლოგია“. დიახ, აქ ნამდვილად აკეთებდნენ ოპერაციებს, მაგრამ არა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად: აქედან ფაშისტური გერმანიის ბევრი ანატომიური დაწესებულება მარაგდებოდა ჩონჩხებით, თავისქალებით, ადამიანის სხეულის სხვა ნაწილებით. განსაკუთრებით „ფასობდნენ“ ის პატიმრები, რომლებსაც სვირინგები ჰქონდათ ტანზე: მათი კანი გულმოდგინედ მუშავდებოდა, მერე კი იგზავნებოდა სახელოსნოებში აბაჟურების, ქალის ჩანთების, ხელთათმანებისა და ა. შ. დასამზადებლად.

1942-1948 წლებში ჰიტლერელები განიცდიდნენ ჯარისკაცის ფეხსაცმლის მწვავე ნაკლებობას. მაშინ მათ მიმართეს ტყავის შემცვლელებს. მათგან შეკერილი ფეხსაცმლების პარტიები გამოსაცდელად მოჰქონდათ ბანაკში. აი ისინი — გზის გამოსაცდელი ზოლები, დაფარული მსხვილი ხრეშით, წიდის, ბეტონის, მძიმე, წებოვანი თიხის წვეტიანი ლოდები. საექსპერიმენტო ფეხსაცმელში გამოწყობილი 150 პატიმარი ამ ზოლებზე ყოველდღიურად გადიოდნენ 40 კილომეტრიან გზას — ნაბიჯით, სირბილით, ნაბიჯით, სირბილით. შეუსვენებლად, სულის მოუთქმელად... მოსიარულეთა ეს მარში წამებად იქცეოდა. ბევრი ვერ უძლებდა და უსულოდ ეცემოდა მიწაზე. ავადმყოფობით, გამუდმებული უჭმელობითა და კატორღული შრომით გამოფიტული ადამიანები, ერთი-ორი ასეთი „მარშის“ შემდეგ განუკურნებელი ხეიბრები ხდებოდნენ, მაგრამ ეს სულაც არ აწუხებდა ბანაკის ხელმძღვანელობას — ცოცხალ „საცდელ მასალაში“ ნაკლებობა არ იგრძნობოდა.

ყველაფერი ეს უკან დარჩა, ყველაფერი ეს ახლა მხოლოდ მოგონებაა. მაგრამ ახლაც, ოცზე მეტი წლის შემდეგ, არ შეიძლება შეუძრწუნებლად უყურო ადამიანთა ტრაგედიის ამ მუნჯ მოწმეებს, ტრაგედიისა, რომელიც დღიდან დღემდე, წლიდან წლამდე გრძელდებოდა აქ, სიკვდილის ამ ბანაკში, რომლის სახელიც ისევე საშინლად ჟღერს, როგორც ბუხენვალდი. ყოველი ნაბიჯი, გადადგმული ზაქსენჰაუზენის მიწაზე, ტკივილს ბადებს გულში: ეს წმინდა მიწაა, იგი გაჟღენთილია ათასობით უდანაშაულო ადამიანის სისხლითა და ცრემლით, აღსავსეა მათი ფერფლით.

ნახულით დათრგუნვილები, მოგონებებით მოცულნი, ჩვენ მთელი გზა ვდუმდით. ქარმა გრიგალის ძალას მიაღწია, იგი მძლავრად უბიძგებდა მანქანას, აქეთ-იქით აქანავებდა. და დიდხანს ჟღერდა ყურებში ამას წინათ ზაქსენჰაუზენის ნანგრევებში ნაპოვნი უბის წიგნაკიდან ამოკითხული ლექსის სტრიქონები:

მე კვლავ დაგიბრუნდები შენ, ჩემო რუსეთო,
რომ კვლავ მოვისმინო შრიალი შენი ტყეებისა,
კვლავ ვიხილო შენი ცისფერი მდინარეები,
ვიარო წინაპართა ბილიკებით,
მე კვლავ დაგიბრუნდები შენ, ჩემო რუსეთო!

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# მწერალი და მისი გმირები



„მოთხრობები ნამდვილ ადამიანებზე“—ასე ეწოდება ვლ. თორდუას ახალ წიგნს.

მოთხრობების პერსონაჟები მართლაც ნამდვილი ადამიანები არიან, აღსავსენი ყოველგვარი ადამიანური სიკეთით, უჭკნობი და წარუშლელი სულიერი სილამაზით; ისინი ეკუთვნიან იმ სახელოვან თაობებს, რომლებმაც ფაშისტურ ბნელეთთან ბრძოლის წლებში არ დაზოგეს არც თავიანთი ძალღონე და არც სიცოცხლე, რათა სამშობლო და კაცობრიობა ეხსნათ უდიდესი განსაცდელისაგან.

მაგრამ მარტო ეს აზრი როდი აქვს წიგნის სათაურს. ამ მოთხრობების გმირები ნამდვილნი არიან ჩვეულებრივი აზრითაც; მწერალი აქ მათ მისამართებსაც გვისახელებს, რაიონებსა თუ სოფლებს, სადაც ისინი ცხოვრობენ, ომიდან შინ მობრუნებულნი. ან საიდანაც ისინი წავიდნენ ბრძოლის ველზე კეთილშობილური იდეალების დასაცავად, მაგრამ შინ კი ველარ დაბრუნდნენ.

ეს წიგნი მოგვითხრობს ომზე, მოგვითხრობს უბრალოდ, სადად და სწორედ ამიტომ აქ ყველა სიტყვას კაცის გულის სითბო და ტკივილი აქვს გამოყოლილი; აქ ჩვენ ვეცნობით ჩვენს სასახელო ადამიანებს, ჩვენს გმირებს, მათს მშობლებს, მათ შვილებს, ვხედავთ მთელ გარემოს, დიდ ბრძოლებს საქვეყნო სიმართლის დასაცავად.

ვლადიმერ • თორდუას, როგორც მწერალსა და ჟურნალისტს, ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს. მან არა ერთი ამაღელვებელი მოთხრობა უძღვნა სამამულო ომის გმირულ ეპოპეას; თავის ახალ წიგნშიც ავტორი გვიამბობს იმაზე, რაც თვითონ უნახავს, თვითონ განუცდია ბრძოლის ველზე თუ მშვიდობიანი ცხოვრების წლებში მწერალმა თავისი ფეხით გაიარა ფრონტის დიდი გზები შავი ზღვიდან ბალტიის ზღვამდე, როგორც რიგითმა მებრძოლმა-მეტყვიამფრქვევემ, ოფიცერმა-პოლიტმუშაკმა.

წიგნი იხსნება საკმაოდ ვრცელი მოთხრობით „ნამეხარი მუხა“. თბილისელი მოსწავლე ოტია ჩლაიძე სამამულო ომის წლებში, როგორც პატრიოტი ჭაბუკი, მოხალისედ წავიდა ფრონტზე. აქ მან თავი ისახელა, როგორც გაბედულმა და მამაცმა მზვერავმა. ერთ ბრძოლაში ჭაბუკმა მძიმე ჭრილობები მიიღო. და აი, ოტია ვენის ჰოსპიტალში წევს, მან დაკარგა ორივე ხელი, დაკარგა თვალის სინათლე; წევს უსინათლო ჭაბუკი შორეულ ავსტრიაში და ფიქრით ხედავს თავის თბილისს, თავის ქუჩას, დედას, მამას, მეგობრებს. მწერალს ყოველივე ეს გადმოცემული აქვს დიდი დრამატიზმით; ბოლოს ნაჩვენებია როგორ ჩამოჰყავთ ოტია სამშობლოში, ამ მოგზაურობაში მას თან ახლავან თავისი ფრონტელი მეგობრები, ისინი მარტო არ სტოვებენ მას...

ამ მოთხრობების ციკლიდან ჩვენს წინაშე წარმოსდგება მთელი გალერეა სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცებისა, ასეთები არიან ანაკლიელი სანდრო საჯაია („ომის ნაკვალევზე“), ტიტე მშვიდობაძე („კეთილმან სძლია“), გრიგოლ ჯიქია („გმირი და დედა“), ვანო ქვანია („ლეგენდა სინამდვილისა“) და მრავალი სხვები. აგერ ევგენია ქვანია, რომელსაც ფრონტზე „ასეულის დედას“ ეძახდნენ. ის შვილის სანახავად ჩავიდა ფრონტზე, და მოხდა ისე, რომ თვითონაც ჩაება ბრძოლაში, „ტყვიაწამალს აწვდიდა მეომრებს, ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების დისკოებს უვსებდა, ჭრილობებს უხვევდა, საჭმელს უხარშავდა, უკერავდა. ურეცხავდა“ („ლეგენდა სინამდვილისა“). ასეთი მაგალითები ბევრია სამამულო ომის ისტორიაში.

მკითხველზე უძლიერეს შთაბეჭდილებას ახდენს მამაცი მეომრის გრიგოლ ჯიქიას მშობლების ამბავი. „ომი დავიწყებული არ არის არც ერთ ოჯახში, მაგრამ ომის შედეგები არა მგონია ისე ცხადლივ სადმე მძვინვარებდეს, როგორც ყარამან ჯიქიას და ფაჩა კიკალეიშვილის ძველებურ ოდაში. ომი უხილავად დაბოტებს აქ“ („გმირი და დედა“).

მკითხველი ნათლად ხედავს, თუ რა საშინელი ნაკვალევი დასტოვა ომმა ამ ადამიანების ცხოვრებაში; აქ ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია ომისადმი სიძულვილით, ადამიანებისადმი ულრმესი და ფაქიზი სიყვარულით.

**ალ. სიგუა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ კეკელიძე

მოთხრობა

გიორგიმ მძიმედ გაახილა თვალები და ჭერს მიაპყრო. მის გარდა, პალატაში კიდევ ორი დაჭრილი იწვა. მათ თავები წამოეყოთ და ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ თავიდან ფეხებამდის თეთრ ბანდებში გახვეულ კაცს.

— როგორ ხარ, ძმობილო? — ჰკითხა მეზობელმა.

გიორგიმ პასუხის ნაცვლად თვალები აახამხამა.

— ნუ გეშინია, ახლა ყველაფერი რიგზეა! — არ ისვენებდა მეზობელი. — ბედი გქონია, ბეწვზე გადარჩი!

„მე კი არაფერი მახსოვს! — გაიფიქრა გიორგიმ, — ის კი ჩამრჩა გონებაში, ვიღაცამ გამომათრია ცეცხლის ხაზიდან, ტყის პირას ფარაჯაზე მიმაწვინა და მითხრა, ნუ გეშინიაო! მერე აღარაფერი მახსოვს!"

დაჭრილმა სარკმელს გახედა. მინებს გამხმარი აკაციის ტოტები მობჯენოდა. ზედ ბეღურები შემომსხდარიყვნენ და ერთი ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ. მერე აკაციის მიღმა ზეცას შეავლო თვალი. ტყვიისფერი ღრუბლები მძიმედ მიიზლაზნებოდნენ სადღაც შორს, აღმოსავლეთისაკენ.

„ჩემს სოფელში, შემოდგომობით იცის ასეთი ღრუბლები! — გაიფიქრა გიორგიმ, — ეეჰ, ნეტა ერთი თვალით ჩამახედა ჩემს ეზოში. როგორ არიან, რას ფიქრობენ. ალბათ, ჩემი ბიჭი ახლა ვაჟკაცია; ბოლო წერილში ქეთო მწერდა ბიჭს მოენატრეო, სულ შენს ხსენებაშიაო მე კიდევ ღამეები აღარ მძინავს, ჩემთვის უშენოდ ქვეყანა ცარიელიაო.

არა, ყველაფერს გავუძლებ, უნდა გავუძლო... თქვენს უნახავად არ წავალ ამ ქვეყნიდან.

ჩემო კარგო ქეთო, ნეტავ თუ გახსოვს ყველაფერი. ჯერ ისევ სკოლაში ვიყავით, როცა ჩუმად ვუთვალთვალებდით ერთი-მეორეს, თურმე ერთმანეთი გვიყვარდა, მინდოდა ერთთავად შენთან ვყოფილიყავ, შენს გვერდით მევლო, შენთან მესაუბრა!"

დაჭრილს ახლა თავისი სიმამრი გაახსენდა.

• • •

— ქეთოს მამას, ჩვენს თავმჯდომარეს უჟმურ თედოს ეძახოდნენ, თუმცა გულით კეთილი კაცი იყო. მწარე ლაპარაკი იცოდა და ამიტომ თუ შეარქვეს ეს მეტსახელი. თუ კაცს ცუღლუტობას შენიშნავდა, არ დაერიდებოდა არაფერს, ან სასიკეთო გზაზე გამოაბრუნებდა, ან არა და იმ კაცს ერჩივნა თედოს გზაზე არ შეხვედროდა.

არ ვიცი საიდან გაიგო, ვინ უთხრა, რომ მე მისი ქალიშვილი მომწონდა. ქუჩაში რომ შემხვდა, ასეთი გადაკრული რამ მითხრა:

— შენზე თუ კიდევ გავიგე რამე, იცოდე არ გადამირჩები!

— რაზე მეუბნები-მეთქი, ძია თედო?

— კარგად იცი რასაც გეუბნები, — ესა თქვა და ზურგი შემაქცია.

სოფლიდან რომ მოედიოდი, ქეთოს შევხვდი.

საღამო ხანი იყო. ტყიდან სათონე ფიჩხი მომქონდა ურმით. სოფლის წყაროსთან გოგოები შეყრილიყვნენ და ერთი ქოთქოთი ჰქონდათ, მათ შორის ქეთოსაც მოვკარი თვალი. გოგოებმა კოკები აავსეს და სოფლის გზას დაადგნენ. ქეთომ ის-ის იყო შეუდგა თავისი კოკა. კამეჩები წყალთან მივუშვი და ჩამოვქვეითდი.

— გამარჯობა ქეთევან! — ჩავილაპარაკე.

ქეთო შეკრთა, სახეაწითლებულმა სალამზე მორცხვად მიპასუხა. არ შემოუხედავს... ასეთი მშვენიერი იგი არასოდეს მენახა: სახის სწორი ნაკვთები, სქელი ვნებიანი ტუჩები და შავი ნუშისებური თვალები. თხელი კაბა ტანზე მჭიდროდ შემოტმასნოდა.

— რა იყო გოგო, რამ შეგაშინა?

— ნუ გაჩერდები გიორგი, ხომ იცი ხალხს ათასი თვალი და ყური აქვს.

— რა მოხდა მერე? ორ სიტყვას გეტყვი და წავალ

— ახლა, არა, არ გინდა!

— მერე რომ ვეღარ გნახავ?

— სად მიდიხარ?

— ქალაქს, უნდა ვისწავლო.

ქეთომ ქვემოდან ამომხედა და ამათვალ-ჩამათვალიერა.

— მერე და დედაშენს მარტოდ ტოვებ?

— რა უჭირს? ჩამოვხედავ ხოლმე! შენ რატომ არ მოდიხარ?

— მამაჩემმა, დაიცადეო!

— როდემდისო?

— რა ვიცი? — აიჩეჩა ქალიშვილმა მხრები.

შორს მოსახვევში მსუბუქი მანქანა გამოჩნდა, სოფლის ოღროჩოღრო გზაზე თხასავით მოხტოდა.

— ერიჰაა! — გავიფიქრე — უჟმური თედო მოდის. ავწრიალდი. კამეჩებს ტაბიკები შევუხსენი და საბალახოდ გავუშვი.

ქეთომ კოკას თავი მიანება და სოფლისაკენ ჩქარი ნაბიჯით გასწია. მე ადგილიდან არ დავძრულვარ. გარინდებული გავცქეროდი კამეჩებს. მანქანა ჩემს უკან გაჩერდა.

— ბიჭო! — მომესმა თედოს მჭექარე ხმა — რა ყეინივით დამდგარხარ და შუა გზაზე გაგიჩხერია ურემი!

შემოვბრუნდი და ვუთხარი:

— ჯერ გამარჯობა თქვი, ძია თედო.

— ერთი ამას დამიხედეთ.

მანქანიდან გადმოვიდა და ჩემს წინ დოინჯშემოყრილი გაჩერდა. მე რატომღაც უკან დავიხიე.

თედოს დიდი ჯიბეებიანი ხალათი, გალიფე შარვალი და კარგად ამოსხმული ჩექმები ეცვა. ჩექმის ყელში, აჭრელებულ ტარიანი მათრახი გაერჭო. უნებურად თვალი მათრახზე შემიჩერდა, გამეღიმა, მანქანაში ეგ რაღათ უნდა-მეთქი გავიფიქრე.

— რას იცინი, ბიჭო? ე, კამეჩები ხრიოკზე რომ მიგიშვია, რას ფიქრობ?

კამეჩებს გავხედე. ბრაზი მომერია ჩემს თავზე, განა არ ვიცოდი, აქ რიყის მეტი არაფერი იყო. ახლა თედოს წინაშე შემრცხვა და აფწითლდი.

— სოფელს რათ გაურბიხარ? როდემდის გინდა ეგრე იარო! თუ, შენზე ნაკლები ბიჭები მუშაობენ მინდორში?

— თბილისში მივდივარ. — ჩავილუღლუღე.

— რაო, მინისტრად გნიშნავენ თუ იმის მოადგილედ?

— ინსტიტუტში მინდა ჩავაბარო! — ავიცდინე მისი გადმოკრული სიტყვა.

— აბა, შენ იცი! — მითხრა და მხარზე ღონივრად დამარტყა ხელი. მერე სავსე კოკას გახედა. მგონი იცნო; მანქანის კარი გამოაღო და ჩაილაპარაკა.

— დამიხედეთ ერთი, სად დაუტოვებია კოკა?!

მეორე დღეს თბილისს მივაშურე. ინსტიტუტში ჩავირიცხე.

ერთხელ გავბედე და ქეთოს წერილი მივწერე. მას მერე ერთი კვირა არ იყო გასული, ინსტიტუტის ჭიშკართან თედო დავლანდე; იდგა და აქეთ-იქით იცქირებოდა. წავხდი კაცი, უკან დავიხიე და ჭადრის ხეს ამოვეფარე.

მაინც შემნიშნა, ყურება დამიწყო. მერე მძიმედ გამოსწია ჩემსკენ.

— ბიჭო, რათ იმალები, თუ შენ კარგი კაცი ხარ!

— ოჰ, გამარჯობა ძია თედო! — ხელი გავუწოდე ჩამოსართმევად. ხელი ჩამომართვა და მკაცრად მითხრა:

— წერილების ჯღაბნას თავი დაანებე, გახსოვს, რომ გითხარი არ გადამირჩები-მეთქი.

— სოფლიდან ამის გულისთვის ჩამოხველ?

— მეტი საქმე არა მქონდა! თათბირზე ჩამოვედი და აქეთ შემთხვევით გამოვიარე და აჰა, შენ შემომხვდი.

ასე დავცილდით ერთმანეთს. ინსტიტუტის დამთავრებამდე თედო აღარ მინახავს. სამუშაოდ რომ გვამწესებდნენ, მოვითხოვე ჩემს სოფელში გამიშვით-მეთქი, დამთანხმდნენ.

სადგურიდან პირდაპირ კოლმეურნეობის კანტორას მივაშურე.

თავმჯდომარე ვიკითხე. თავის კაბინეტშიაო, მითხრეს. ბარგი აივანზე კუთხეში მივდე და ოთახში დაუკითხავად შევედი. თედო ვიღაცას ეკამათებოდა. გამარჯობა-მეთქი ვთქვი.

თედომ გაკვირვებით შემომხედა. ფეხზე წამოდგა და მკითხა:

— რა გინდა?

— თქვენი კარგად ყოფნა, — გავიღიმე, — დღეიდან თქვენი აგრონომი ვიქნები.

— რატომ მე არ მეკითხებიან, მჭირდება აგრონომი თუ არა?

— რახან გამომგზავნეს...

— მე არ მითხოვნია! — მითხრა და თანამოსაუბრეს მიუბრუნდა.

მეც აღარაფერი მითქვამს. წამით სიჩუმე ჩამოვარდა. უხმოდ გამოვბრუნდი.

— უშენოდაც იოლად გავალთ! — გავიგონე კარებში გასვლისას.

ორი დღე მუნჯივით დავიარებოდი ეზოში. აყალ-მაყალის ატეხვას მოვერიდე. ყველაფერს ლოდინი ვარჩიე.

მესამე დღეს სათონედ ფიჩხს ვჭრიდი ეზოში. დედაჩემი ეზოში ფუსფუსებდა. შემომხედა და მითხრა:

— წუხელ თედოს დიდი წვეულება ჰქონია:

— რა წვეულება?

— გოგომ ტექნიკუმი დაამთავრა, მასწავლებლად აქეთ გამოუგზავნიათ. ახლა კიდევ საქორწილოდ ამზადებს, — თქვა დედაჩემმა და ისე გადმომხედა, თითქოს მეუბნებოდა, ადე საქმეს მიხედე, თორემ ყველაფერს დაკარგავო.

— ვისზე ათხოვებენ? — ვკითხე დედას და სიტყვა ყელში გამიწყდა.

— აი, კლუბის მშენებლობაზე რომ ინჟინერი მუშაობს.

გული დამეხურა. ხასიათი წამიხდა. ნალდი ფიჩხზე მივაგდე და აივანზე ავედი. მოაჯირს დავეყუდე და ეზოს გადმოვხედე.

— ჰო, მართლა! — შემობრუნდა დედაჩემი — სულ გადამავიწყდა, ამ დილით თედო შემომხვდა.

— რაო, რა მინდაო?

— გაბრაზებულია შენზე, რაშია საქმე, რატომ სამუშაოზე არ ცხადდებაო.

„რანაირი კაცია, — გავიფიქრე — ეტყობა მაგისი ნათქვამი ყველაფერი უკუღმა უნდა გაიგო“

მეორე დღეს ადრე ავდექი. შემოდგომის ნისლიანი დილა იყო. ვისაუზმე და ორღობეს გავყევი. გზაში მანქანა წამომეწია.

— ქალაქელო! — ვიცანი თედოს ხმა—რა დილაადრიანად ამდგარხარ? მოდი დაჯექი!

უხმოდ შევტრიალდი და მანქანას მივაშურე. კანტორას გვერდი ავუარეთ და შარაგზას დავადექით.

— მაშ ჩემთან გამოგგზავნეს, ჰა? -- დაარღვია სიჩუმე თედომ.

— აკი გითხარი!

—მერე და კოფელში, რომ ტალახები იცის?

— სოფელში არ გავიზარდე, განა ტალახი შემაშინებს?

— მაშ შენ იცი! — დამარტყა მხარზე ხელი, — ჰა ბურთი და ჰა მოედანი!

მე გულიანად შევეჭიდე საქმეს. დღედაღამ მინდორში ვათენ-ვაღამებდი. ვგრძნობდი, თედო ჩემით კმაყოფილი იყო, მაგრამ რა გინდა? ერთი საკეთილო სიტყვა არ დასცდენია. არა და რა ტკბილია, მშრომელ კაცს, საქმეს რომ შეუქებ!

ხუთ თვეში თბილისელმა ინჟინერმა კლუბის მშენებლობა დაამთავრა, კოლმეურნეობას ჩააბარა და თავის გზას ეწია. თუმცა, არც იმ ინჟინრის წასვლამ მიშველა რაიმე. რა ხანია სოფელში ვარ და ქეთოს სულ ორჯერ მოვკარი თვალი; მაშინაც მამამისს პატარა ბალღივით მიჰყვებოდა გვერდში.

ასე მიდიოდნენ დღეები. ბოლოს გადავწყვიტე მენახა თედო და სერიოზულად მოვლაპარაკებოდი.

მაგრამ იმ ზაფხულს მოულოდნელი რამ მოხდა.

ჩვენი ცხვარი ზაფხულის საძოვრებზე გაეშურა. ფარას თედოც გაჰყვა — დავაბინავებ და მალე ჩამოვბრუნდებიო. ერთი კვირის შემდეგ სოფელში მძიმე ამბავი მოვიდა. თავმჯდომარე ხევში გადაიჩეხა და მოგვეშველეთო. იმ ღამესვე შევკაზმეთ ცხენები და მე და ჩვენი სოფლის ექიმი გზას გავუდექით. მეორე დღეს, შებინდებისას მთაში ვიყავით.

თედო კარავში, საკაცეზე მოეთავსებინათ და თავს დასტრიალებდნენ. ექიმმა გასინჯა, მერე გარეთ გამოვიდა, თავი უიმედოდ გადააქნია და თქვა:

— ხერხემალი აქვს გადატეხილი. ვერაფერს ვუშველი!

დავღონდი. ექიმი გარეთ დავტოვე და კარავში მარტოდ შევედი.

თედო უძრავად იწვა. სახეზე მკვდრის ფერი ედო. ერთი ხელი მკერდზე ედო, მეორე კი, ისე მაგრად მოეკუმა, გეგონებოდა დარჩენილი სიცოცხლე მუჭაში მოუმწყვდევია და ეშინია, არ გამეპაროსო.

— როგორა ხარ, ძია თედო? — ვკითხე და გვერდით მივუჯექი. მწარედ ჩაიღიმა, მერე თავს ძალა დაატანა და ყრუდ, ოდნავ გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა:

— როდის იყო, თედო რამეს უჩიოდა?

წამით გაირინდა. თვალები მოხუჭა. მერე კვლავ გაახილა. ფართოდ გახელილ თვალებში ორად ორი ცრემლი შევნიშნე, რომელიც თვალის უპეებს მოწყდა, ღაწვებზე ჩამოგორდა და ზედ მშრალი კვალი დატოვა.

გონებაში სანუგეშო სიტყვას დავუწყე ძებნა, მაგრამ გადავიფიქრე, ვიცოდი ახლა ნუგეში ზედმეტი იქნებოდა. თედო დაჟინებით მიცქეროდა, ვგრძნობდი რაღაცის თქმა სურდა.

ბოლოს თავს ძალა დაატანა და მითხრა:

— გიორგი! სათქმელი მაქვს — ველარ განაგრძო, ტკივილებმა დაუარეს, გაუძალიანდა, მკერდი ზემოთ ამოსწია და აღმართამოვლილ კაცივით ღრმად ამოიხვნეშა. მერე მარცხენა ხელი მძიმედ ასწია და კალთაზე დამადო.

— ქვეყანაზე არაფერს ვნაღვლობ. ყველაფერს მოევლება, ყველა თავის გზას იპოვის. მხოლოდ აი... იმ გოგოს დარდი მიმდევს, ჩემგან განებივრებულს, უჩემოდ გაუჭირდება. ჰოდა, შენს მეტი იმას ვერავინ გაუგებს. მაპატიე, თუ ოდესმე გაწყენინე! ვიცი, გიყვართ ერთმანეთი, ღმერთმა ბედნიერად გაცხოვროთ.

გათენებისას დალია სული, წლის თავზე დავქორწილდი. ოჯახს მოვეკიდე, მალე ბიჭიც გვეყოლა.

მერე კი... ეს... დასაქცევი ომი დაიწყო...

* * *

გიორგის მკერდში რალაცამ მწარედ გაჰკრა, ფიქრი გაუწყვიტა. ხროტინი იწყო. მეზობელმა უმალ შენიშნა, ზეზე წამოიჭრა, დერეფანში გავარდა და დაიძახა — ჩქარა ექიმიო!

ექიმიც და მოწყალების დაიც სირბილით შემოვიდნენ პალატაში. ექიმმა დაკვირვებით გასინჯა დაჭრილი, მერე მოწყალების დას გადახედა და თქვა:

— რისიც მეშინოდა, სწორედ ის მოხდა. ჭრილობა გაეხსნა ფილტვში და სისხლი ჩაექცა. ახლავე საოპერაციოში!

გიორგი საკაცით გაიყვანეს. მეზობელმა ზღურბლთან შეაჩერა ექიმი და ჰკითხა:

— ექიმო, იცოცხლებს?

ექიმი მძიმედ შემობრუნდა, დაჭრილს ისე შეხედა თითქოს ვერ ხედავსო და კარებში გაუჩინარდა.



# «ქართული ჟურნალისტიკა»

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრამ მეტად კარგი თაოსნობა გამოიჩინა — ინტენსიური მუშაობა დაიწყო ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის შესასწავლად. ახლახან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა კიდევ ერთი ნაშრომი — პროფესორ იოსებ ბოცვაძის „ქართული ჟურნალისტიკა“.

ამ წიგნის პირველ ნაწილში ავტორს განხილული აქვს აკაკი წერეთლის ჟურნალისტური მოღვაწეობა და მისი რედაქტორობით გამოსული ჟურნალები. დასაწყისში იგი ეხება აკაკის თანამშრომლობას ჟურნალ „ცისკარში“, გაზეთ „დროებასა“ და ჟურნალ „კვალში“. მას მოჰყავს მეტად საინტერესო მასალები, რომლებიც მკაფიოდ მოწმობენ აკაკის, როგორც ბრწყინვალე ნიჭის პოეტისა და პუბლიცისტის უდიდეს პოპულარობას; ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციები მუდამ დიდი სიამოვნებით აქვეყნებდნენ აკაკის ნაწერებს, თუმცა ამის გამო მათ არა ერთხელ განუცდიათ ცენზურისა და, საერთოდ, ხელისუფლების მძაფრი თავდასხმა. დამახასიათებელია, რომ 1906 წელს კ. მესხის რედაქტორობით გამომავალი „პატარა გაზეთის“ დახურვის ერთ-ერთი მიზეზი მასში აკაკის მიერ თარგმნილი „ინტერნაციონალის“ დაბეჭდვა გახდა.

შემდეგ ავტორი ფართოდ განიხილავს „აკაკის თვიურ კრებულს“, რომელიც 1897-1900 წლებში გამოდიოდა. აქ ავტორი იძლევა აკაკის „კრებულში“ გამოქვეყნებული მასალების მეტად საყურადღებო დახასიათებას. იგი დაწვრილებით არჩევს რომანოზ ფანცხავას (ხომლელი) და ვასილ წერეთლის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს, გარკვევით მიუთითებს ამ წერილების ღირსება-ნაკლოვანებებზე, მათში წამოყენებული დებულებების ავკარგიანობაზე.

ი. ბოცვაძე იძლევა აკაკის მიერ 1907 წელს გამოცემული „ხუმარას“, როგორც პირველი ქართული სატირულ-იუმორისტული ჟურნალის. საინტერესო დახასიათებას. ჟურნალი მკვეთრად დაუპირისპირდა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მახინჯ მოვლენებს. მან სასტიკად გაამათრახა ცარიზმის ერთგული ლაქია, თბილისის გუბერნატორი, ქარაფშუტა, ლოთი და თავხედი რაუში; ამასთანავე, მოურიდებლად ამხილა პირველი სახელმწიფო სათათბიროს მთელი სიყალბე და ქართველ სოციალ-ფედერალისტთა უსუსურობა. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურმა ხელისუფლებამ აკაკის „ხუმარა“ პირველი ნომრის გამოსვლისთანავე დახურა და რედაქტორს ერთი ღამე მეტეხის ციხეში გაათევინა, ამ ჟურნალმა გარკვეული როლი შეასრულა ქართული იუმორისტული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

წიგნის მეორე ნაწილში პროფ. ი. ბოცვაძეს განხილული აქვს ქართული საბავშვო ჟურნალისტიკის განვითარების გზა. იგი აღნიშნავს, რომ ქართული საბავშვო პერიოდიკის ჩასახვა იწყება პოლიტიკური რეაქციის იმ შავბნელ წლებში, როცა ნაროდოვოლცების ტერორისტული აქტების საპასუხოდ მეფის ხელისუფლებამ მძაფრი იერიში მიიტანა არა მარტო პროგრესული საზოგადოებრივი მოძრაობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, არამედ რუსეთის იმპერიაში შემავალი არარუსი ხალხების ეროვნული არსებობის წინააღმდეგაც. ასეთ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ანთიმოზ ჯუღელის მიერ 1881 წელს საბავშვო ჟურნალ „წყაროს“ გამოცემას. მკვლევარი საფუძვლიანად იხილავს ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებს, რომლებიც ბავშვებს მოუთხრობდა ცხოვრებაში გაბატონებულ სოციალურ უსამართლობაზე, უნერგავდა მეგობრობისა და სიმამაცის გრძნობას, აცნობდა მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, უხსნიდა სწავლის მნიშვნელობას, ულვიძებდა სკოლისა და წიგნის სიყვარულს.

„წყაროს“ დახურვის შემდეგ მოზარდი თაობა კვლავ უჟურნალოდ დარჩა. ამ ხარვეზის შევსება სცადა ზაქარია ჭიჭინაძემ, რომელმაც 1888 წელს გამოსცა „საყმაწვილო ბაღი“. ი. ბოცვაძე აღნიშნავს, რომ ეს იყო მეორე ქართული საბავშვო პერიოდული გამოცემა, რომელსაც ალმანახის სახე ჰქონდა, მაგრამ მისი გამოცემა პირველსავე ნომერზე შეწყდა.

პროფ. ი. ბოცვაძის წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჟურნალ „ნობათის“ განხილვას. ავტორი დაწვრილებით არჩევს „ნობათის“ შინაარსს, აგრეთვე იაკობ გოგებაშვილისა და მიხეილ ნასიძის კრიტიკულ წერილებს ამ ჟურნალზე. იგი აღნიშნავს, რომ ჟურნალის რედაქტორი ანდრია ღულაძე დიდი გატაცებით ემსახურებოდა „ნობათის“ გამოცემის საქმეს, არაფერს იშურებდა მისი წარმატებისათვის. მაგრამ მიუხედავად რედაქტორის შეუნელებელი მეცადინეობისა, ჟურნალი არ იცავდა გარკვეულ მიმართულებას ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ცხოვრების ასახვაში, მის ფურცლებზე არ იგრძნობოდა ეპოქის მაჯისცემა. როგორც ავტორი ამბობს, „ნობათის“ რედაქციამ ვერ შეასრულა ვერც ერთი მოთხოვნილება, რომელიც მას პრინციპულმა კრიტიკამ წამოუყენა“ (გვ. 180).

„ნობათის“ დახურვის შემდეგ რამდენჯერმე იყო საბავშვო ჟურნალის დაარსების ცდა, მაგრამ მთელი ოთხი წლის მანძილზე ამას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია.

ავტორი დიდ ადგილს უთმობს ჟურნალ „ჯეჯილის“ განხილვას. იგი, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს იმ დაბრკოლებაზე, რასაც მძიმე

## ნელი გაბრიჩიძე

# სექტემბრის ზმანებანი

1

იისფერ ლოდზე იდგა ნათია,
იისფერ თმებში ძლივსღა მოსჩანდა,
იისფერ შუქში იდგა ხატივით
და მხოლოდ სახეს შერჩენოდა ფერი შროშანთა.

და იზრდებოდა ჩემს თვალწინ შვილი,
აგერ, თანდათან გახდა ცხრამეტის,
მაღალი ყელი, მკლავები თლილი,
თვალებში — ჩრდილი მწვანე ხავერდის;

კაბაზე ნაზი ნათელი მარტის,
გაცოცხლებულა ქანდაკება თითქოს ბერძნული,
და გაზაფხულთან ასე შერწყმული
ჩემი ასული ლურჯ მთაზე ადის.

2

ჩვენ ჩავუარეთ მწუხარე სიონს,
ჩვენ მივდიოდით მტკვრისკენ მარტონი,
და მე ვტიროდი, — ბატონო სიმონ!
და ვიცინოდი, — სიმონ, ბატონო!

ვეფერებით თბილისს ფესვებით,
შემდეგ დამტუქსა თუ დამარიგა,
— ბატონო სიმონ, თქვენი ლექსები!
— ბატონო სიმონ, თქვენი მარიკა!

მეც მომკალ შენი ფერიცვალებით,
ჩამოწყვეტილო ულმერთოდ სიმო,
გასაოცარი თქვენი თვალები,
საით ვეძებო, ბატონო სიმონ!

მხარზე პეპელა თუ შეგაფრინდათ,
თუ თქორი გვარგო სექტემბრის სიომ,
წვიმა კი არა, ეს სერაფიტის,
ნაზი ცრემლია, ბატონო სიმონ!

და ის კოცნიდა ვენახებს მაღლარს,
ხარობდა მტევნის ქარვით მძიმეთი,
და არ მიკვირდა, რომ იყო მაღლა,
ქართლში ვინ ნახა ციხე მცირედი.

და არ მიკვირდა, რომ იყო ახლოს,
ჩემს ზმანებაში მოსული დღისით,
მე ისე მახსოვს, მე ისე მახსოვს,
მე ისე მახსოვს ღიმილი მისი.

3

უცხო ტრფიალმა ინათა სულში
და ელვარებენ სტალაგმიტები —
ბრდღვიალა ლომი, ვერძი, ჩიტები...
ჩამომტვრეული ვარსკვლავის ქიმი,
უსაყვარლესი მწერლის ღიმილი,
და რომელიღაც ლამაზი ღამე,
რომლის შეხებას სულ ვერიდები,
რადგან უეცრად, ხომ შეიძლება,
გათენდეს იგი..

როგორც ჯიბეში ონავარ ბიჭის,
სულში იმდენი რამ განათდა,
ჩამოთვლა მიჭირს:

ჩამონატეხი ბოლნისის ქვების,
რაღაც ფესვები ქართულ ბალახთა,
როგორც ხევსურთა სალოცავში —
ირმების რქები.

და მოხატული ჭრელი დოქები,
მთელი სიმდიდრე უძველესთა
ჩვენთა სამარხთა.

რაღაც კენჭები,
რაღაც დროშები,
რაღაც ეჟვები,
თეთრი აფრები
და საოცრად ტკბილი ზღაპრები.
როგორც ჯიბეში ონავარ ბიჭის,
სულში იმდენი რამ განათდა,
თვითონვე მიკვირს.

და ბრდღვიალებენ სტალაგმიტები,
მწუხარე ლომი, ვერძი, ჩიტები,
და ყოველ წუთში ეცვლებათ ფერი:
წითელი, მწვანე, ლურჯი, ყვითელი...

4

დღეს საოცარი ფერები მეფობს,
შეზავებული ზაფრანით, ღვინით,
ეს რა გიქნიათ, ძვირფასო მთებო,
სულ შეღებილხართ წუხელის ინით.

სულ დათხუპნულხართ, დაუდევრებო,
სად იყო თქვენი ლამაზი დედა,
დაბრუნდებიან სახლში დევები,
და რას გეტყვიან, ვიცოდე ნეტავ.

მეც ამირიეთ ფიქრი უზადო
და ზმანებათა ლაშქარი მარბევს,
ვწერო, ვიბრძოლო, თუ მას ვუცადო,
როდის დაგსჯიან ესოდენ კარგებს.

ასე დიდებს და სასაცილოებს,
თუთიყუშივით ჭრელად მორთულებს,
თქვენ ახლა ისე გავხართ სპილოებს,
და ხევში მალავთ წითელ ხორთუმებს.

მე კი ვერ ვმალავ თითებს მელნიანს,
იქნებ ამაოდ ვხარჯე მელანი,
თეთრი წვიმები ნიდთან მელიან,
და ეჟვით სავსე ღამის თევანი...

# კოჭრის იები

იქნებ სიმღერის დამთავრდა ჟამი,
მაისს ამაოდ ვეალერსები,
და დაფარული ყვითელი შლამით
ფსკერს ეხებიან ჩემი ლექსები.

ქარში მიხმობენ იები კოჯრის
და ბეთანიის თეთრი თალები,
ამდევნებია რითმები კოჭლი,
ვით გაცრეცილი ბაირაღები.

ის შარშანდელი ფოთლები გახმა,
და თვალწინ ჩუმი სევდა მინთია,
რომ ისევ მთაა სხვა მთების გაღმა
და ყველაფერი პირობითია.

და სულერთია, სად გაშლი აფრას,
ღრუბელს დასტოვებ გზაზე თუ შროშანს,
ბოლოსდაბოლოს ოთხკუთხედ საფლავს
დაფარავს მწვანე ბალახის დროშა...

იქნებ სიმღერის დამთავრდა ჟამი,
მტკვარს სულ ამაოდ ვეალერსები,
და დაფარული ფიქრით და შლამით
მიწაზე ყრია ჩემი ლექსები.

* * *

ღმერთო, ნუ აქცევ სიყვარულად
ამ ლამაზ განცდას,
რომელმაც ასე გამაოცა და დამაბნია.
მე ვერ ავიგებ ჩუქურთმებით მოხატულ
ტაძარს,
და ფეხშიშველა ვერ ჩავაღწევ თუნდაც მცხეთამდე.
მაგრამ ისმინე თხოვნა ჩემი, ყოვლად ძლიერო,
ო, ნუ აანთებ სიყვარულად
ამ ლამაზ განცდას.
ნუთუ იმისთვის გაგვაჩინა მიწამ კოლხეთის,
ნუთუ იმისთვის დაივიწყა ყველა ჭრილობა,
რომ შევხვედროდით ჩვენ ერთმანეთს...
ღმერთო, მოგვხედე
და შეგვასწავლე სიძულვილი ან გულგრილობა.

საცენზურო პირობები და მატერიალური სახსრების სიმცირე უქმნიდა ჟურნალის გამოცემას. „ჯეჯილის“ რედაქტორი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი შეუპოვრად სძლევდა ყოველგვარ დაბრკოლებას და მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მხარდაჭერით 32 წლის მანძილზე (1890-1921 წ. წ.) უძღვებოდა საბავშვო ჟურნალის გამოცემას.

„ჯეჯილის“ რედაქციამ თავიდანვე მიზნად დაისახა ღრმად ჩაენერგა მოზარდ თაობაში სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, აემხედრებინა იგი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ამ მხრივ „ჯეჯილი“ აგრძელებდა ქართული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციას. მეორე მხრივ, ჟურნალი არ ივიწყებდა ზნეობრივი აღზრდის ისეთ მნიშვნელოვან მხარეებს, როგორიც არის ბავშვებში სიმართლის, პირდაპირობის, დახმარების, გამბედაობის, შრომისმოყვარეობისა და სხვა მაღალი გრძნობების გამომუშავება.

„ჯეჯილმა“ დიდი როლი შეასრულა ქართული საბავშვო ჟურნალისტიკის ისტორიაში. პროფ. ი. ბოცვაძის შეფასებით, „ჯეჯილის“ მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან „მოზარდ თაობას შეაყვარა სამშობლო და მშობლიური ენა, დააინტერესა პატარა მკითხველი წიგნით, გაამდიდრა მისი გონება საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ხასიათის ცნობებით და სხვადასხვა სახის სავარჯიშოებით, გაამახვილა ბავშვის აზროვნება. იმ აუარებელმა ზღაპარმა, ლეგენდამ და საერთოდ ხალხური შემოქმედების ნიმუშებმა, რომლებმაც საკმაო ადგილი დაიჭირა ჟურნალის ფურცლებზე, აამოძრავა და გაამდიდრა ბავშვის ფანტაზია“.

პროფ. ი. ბოცვაძე ფართოდ განიხილავს ჟურნალ „ნაკადულს“, რომელიც 1904-1927 წლებში გამოდიოდა ჯერ მარიამ დემურიას, ხოლო შემდეგ ნინო ნაკაშიძის რედაქტორობით. იგი სწორად აღნიშნავს, რომ რედაქტორებთან ერთად, მოწინავე ქართველი მწერლების, პედაგოგებისა და საზოგადო მოღვაწეების დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად „ნაკადულმა“ მალე მიიღო ნამდვილი საბავშვო პერიოდული გამოცემის სახე, რაც ნაკლებად ან სულ ვერ მოახერხეს მანამდე არსებულმა საბავშვო ჟურნალებმა. „ნაკადულმა“ მკაცრად გაილაშქრა ძველი წყობილების წინააღმდეგ. მან პატარა მკითხველებს თვალწინ გადაუშალა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ცხოვრების შავბნელი სურათი, რომელიც მათ გულში კლასობრივი ბრძოლის ნაპერწკალს აღვივებდა.

უდავოდ სწორია პროფ. ი. ბოცვაძის დასკვნა, რომ „თავისი უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობით „ნაკადულმა“ დიდი ამაგი დასდო მოზარდი თაობის აღზრდა-განათლებისა და საბავშვო ჟურნალისტიკის განვითარების საქმეს. მან ქართული საბავშვო პერიოდული პრესის ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა“ (გვ. 211).

დასასრულ, პროფ. ი. ბოცვაძე იძლევა ქართული საბავშვო ჟურნალების ზოგად დახასიათებას იმ თვალსაზრისით, თუ რედაქციები რამდენად ითვალისწინებდნენ ასაკობრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ბავშვის აზროვნებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს და როგორ იცავდნენ პედაგოგიურ პრინციპებს მასალების შერჩევისა და განლაგების დროს.

პროფ. ი. ბოცვაძის ნაშრომი განკუთვნილია ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტებისათვის, მაგრამ იგი დიდ სარგებლობას მოუტანს იმათაც, ვინც საერთოდ დაინტერესებულია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის შესწავლით.

ზ. მეზვევიშვილი

ფოტო ოთარ თურქიასი





ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსთავის პეიზაჟები





შეყვარებულნი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი.

# ფრანს მაზერეელი



მოგონებანი.

„ფრანს მაზერეელს ბალზაკის მაგიური თვალი აქვს... მისი გრავიურები — ესაა რომანები, ნოველები, პატარა მოთხრობები, დაწერილი უსიტყვოდ“, — ასე წერდა სტეფან ცვაიგი გამოჩენილი ბელგიელი მხატვრის შემოქმედებაზე; და მართლაც, ამ დიდმა შემოქმედმა თავის ათი ათასობით გრავიურებში შესძლო ახლებურად დაენახა ქვეყანა მის მრავალფეროვნებაში და გადმოეცა იგი მაღალი ოსტატობით.

იმ ძალებს, რომლებიც ადამიანს სჩაგრავენ, მაზერეელის სახით უძლიერესი მოპირდაპირე ჰყავთ. „ჰა, კაცი იგი“ — ასე ეწოდება მის ერთ ადრინდელ გრავიურას. აქ უკვე ნათლად ჩანს მხატვრის მგზნებარე სული, აქ თითქოს მისი ხმაც გვესმის — ეს კაცია, ადამის ძეა. აკმარეთ მას სატანჯველიო! უფრო გვიან მაზერეელი კვლავ დაუბრუნდა ამ თემას „ეს მოხდა ერთხელ“ — ასე ჰქვია მის გრავიურას. ეს მოხდა ერთხელ, ოდესღაც, ძველ იერუსალიმში, გოლგოთას მთაზე. ერთხელ? ოდესღაც? არა, გვეუბნება მხატვარი. მიმოიხედეთ ირგვლივ, ადამიანი ისევ ჯვარზეა გაკრული, მისი ხელისგულები ლურსმნებითაა მიჭედილი ფიცარზე და წვეთ-წვეთად ეცემა მისი სისხლი დიდი ქალაქების ცათამბჯენებს

მაზერეელი ეკუთვნის დასავლეთის იმ მოწინავე შემოქმედთა რიცხვს, რომლებიც მთელი არსებით, მთელი სულითა და გულით ებრძვიან კაპიტალიზმს, ებრძვიან იმ სამყაროს, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრაზე, სისხლზე, ცრემლზე, იმ სამყაროს, რომელმაც, მხატვრის სიცოცხლეში ორჯერ მოაწყო მსოფლიო სასაკლაო, ორჯერ წაუკიდა ცეცხლი ჩვენს ბებერ დედამიწას.

მაზერეელი ძალიან პოეტურია. მის ნახატში მუდამ მჭიდროდ არის შერწყმული უნაზესი ლირიზმი და უმძაფრესი ტრაგიკული მსოფლშეგრძნობა. აი მისი „შეყვარებულნი“. მათ სახეებზე თითქოს ნეტარებაა აღბეჭდილი. ირგვლივ კი ჯოჯოხეთის ცეცხლი და გეენია დუღს და ბობოქრობს.

მაზერეელის ენა — მუდამ გასაგებია, მუდამ მისაწვდომი აი მისი უაღრესად ლირიკული „მოგონებანი“. ზის მოხუცი ქალი ლამპასთან. და ფიქრში



ნაღველი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰა, კაცი იგი.

სიკვდილი.



ხედავს თავის თავს, ხედავს ჯერ პაწია გოგონას, მერე ქალიშვილს, პირველი გაცნობა სატრფოსი, პირველი პაემანი, პირველი კოცნა... მთელი ცხოვრება უცებ გაიელვებს მის თვალწინ, რათა მარტო მძიმე დარდი და ნაღველი, თვალებში შავი სევდა და შუბლზე მძიმე ნაოჭები დატოვოს.

მაზერეელს აქვს ერთი ასეთი ნახატი: ფურცელზე, მთელ სიგრძეზე ნაჩვენებია გზა, რომელიც შორს, პერსპექტივაში იკარგება. გზა სავსეა მოკლულთა გვამებით წვანან დახოცილნი, უმწეოდ გადაუყრიათ აქეთ-იქით ხელები, და გაყინული თვალებით შესცქერიან ზეცას. გზის ორივე მხარეს კი ჩანან მინდვრის ლამაზი ყვავილები. ამ ნახატს ეწოდება „მშვიდობისაკენ მიმავალი გზა“ იგი შესრულებულია 1954 წელს და მასში ნაჩვენებია, თუ რა იყო მეორე მსოფლიო ომი, რა ძვირად, რაოდენი სისხლის ფასად დაუჯდა კაცობრიობას საქვეყნო მშვიდობის დამკვიდრება.

მაზერეელი — ესაა მხატვარი-მებრძოლი, მხატვარი-ტრიბუნი. მთელი მისი შემოქმედება გამსჭვალულია ჰუმანიზმის კეთილშობილური იდეალებით. შესანიშნავ გერმანელ გრაფიკოს კეტე კოლვიცთან ერთად მან შესძლო დასავლეთ ევროპის სახვით ხელოვნებაში გაეკეთებია ის, რაც დასავლეთის ლიტერატურაში გააკეთეს რომენ როლანმა და ბერნარდ შოუმ. მაზერეელის მთელი შემოქმედება — ეს არის უმნიშვნელოვანესი ფურცლები დასავლეთის მხატვრული ინტელიგენციის ბრძოლისა სამართლიანობის და მშვიდობის დასაცავად

მაზერეელი თუმცა მონუმენტურ და დაზგურ ფერწერაშიც მუშაობს, მაგრამ მსოფლიო სახელი მას გრაფიკის ჟანრში შესრულებულმა ნაწარმოებებმა მოუხვეჭეს. მაზერეელისათვის, როგორც მხატვრისათვის დამახასიათებელია კონტრასტების სიმკვეთრე, გამოსახვითი ხერხების ლაკონიურობა და მკაფიობა. მან კოლოსალური ენერგია შეალია თანამედროვე მხატვრობაში რეალიზმის პრინციპების, ხალხურობისა და ბრძნული სისადავის დამკვიდრებას

გ. ნატროშვილი



ეს იყო ერთხელ.



კეცხოველისა და ჯორჯაძის ქუჩის კუთხეში, ერთ წყნარ სახლში ცხოვრობს ხანდაზმული ქალი; მუდამ შრომაშია გართული, მუდამ ფუნჯი უჭირავს ხელში, არავინ იცის როდის ისვენებს იგი. მის სახელოსნოში დიდი სივიწროვეა, ერთი-მეორეზე მიწყობილან ფართო ტილოები, უმთავრესად ზღვის პეიზაჟები. ეს ალექსანდრა სინიცინა-ბაბაევას სახელოსნოა.

ალექსანდრა სინიცინა ბავშვობის წლებიდან გაიტაცა მხატვრობამ, მაგრამ მოხდა ისე, რომ მან სამხატვრო განათლება ვერ მიიღო; ნიჭმა და ხელოვნების დიდმა სიყვარულმა მაინც თავისი გაიტანა. მხატვარმა ქალმა დამოუკიდებლად, ყოველგვარი დახმარების გარეშე გაიკვლია გზა; იგი ორ ათეულ წელზე მეტია თბილისში ცხოვრობს. ამ წლების მანძილზე ორასზე მეტი ნაწარმოები შექმნა. იგი მდიდარი ფერებით გადმოგვცემს ზღვის სტიქიის მთელ მშვენიერებას. ამას გარდა, სინიცინა-ბაბაევა ავტორია მთელი რიგი პორტრეტებისა.

სინიცინა-ბაბაევას სახელოსნოს ხშირი სტუმრები არიან ჩვენი მხატვრები, ხელოვნებისმცოდნენი და პრესის მუშაკები. შთაბეჭდილებათა წიგნში ისინი გულთბილად ლაპარაკობენ მხატვრის ნაწარმოებებზე.

# ფაქტები • მოვლენები • კომენტარები



## დღიურის უკანასკნელი სტრიქონები

თხუთმეტი წლის ასაკში კარლა კორბუსი ჯანსაღი, სახემლიმარი, თამამი და ხალისიანი გოგონა იყო. იგი კარგად სწავლობდა და გრამფირფიტების კოლექციასაც აგროვებდა. კატასტროფა რომ მოხდა, მან დღიურის წერას მიჰყო ხელი.

თვითმფრინავი, რომლითაც კარლა დედასთან და მამინაცვალთან ერთად მიფრინავდა, დაეცა ჩრდილოეთ კალიფორნიის დათოვლილი მთის ფერდობზე, როგორც კი თავი დააღწია თვითმფრინავის ნამსხვრევებს, გოგონამ უმალ ფანქარს მოჰკიდა ხელი, დაიწყო აღწერა სიცოცხლისათვის ბრძოლის ყველა ეპიზოდისა. პირველი ჩანაწერი მან გააკეთა 1967 წლის 11 მარტს, შუადღის 12 საათსა და 15 წუთზე, მათი ერთმოტორიანი თვითმფრინავის ჩამოვარდნიდან ნახევარი საათის შემდეგ.

მან აღწერა, თუ როგორ გამოიყურებიან თოვლში სანახევროდ ჩაფლული მანქანის ნამსხვრევები, მისი დამტვრეული ფუზელაჟი, ჩამოვარდნილი კარი და დალეწილი მინები. თავისი თითქმის ბეჭდური ხელწერით კარლამ ჩამოთვალა დედისა და მამინაცვლის ნაჭრილობევები და ნაკაწრები. თვითონ გოგონა ყველაზე ნაკლებად დაზიანდა და უკვე ორი დღის შემდეგ შეძლო კიდეც მშველელთა საძებნელად წასვლა. მაგრამ ყინვამ და თოვლიანმა ქარმა ორჯერვე უკან დააბრუნა. „ფეხსაცმელები თოვლში დავკარგე, ფეხები გამეყინა“, — წერდა იგი. ბოლოს გზას გაუდგა მისი მამინაცვალი. დედა-შვილიც შედარებით უკეთ გრძნობდნენ თავს, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ კარლამ დღიურში ჩაწერა: „ჩვენ მხოლოდ ერთი ჭიქა რძე დაგვრჩა. ძალღონე გველევა“.

დრო რომ მალე გასულიყო, დედა-შვილი თამაშობდნენ ბანქოს, რომელიც თვითონ გააკეთეს, ან ადგენდნენ გრძელ სიას კერძებისას, რომელთა ჭამა მათ ენატრებოდათ; მაგრამ 11 აპრილს, კატასტროფიდან ზუსტად ერთი თვის შემდეგ, კარლამ დღიურში ჩაწერა: „სულ უფრო ნაკლები იმედი გვაქვს. მოდის თოვლი. თითქმის სულ დაგვფარა. იქნებ ვერც დავაღწიოთ აქაურობას თავი.“ 30 აპრილს გოგონამ ჩაწერა: „დღეს მე თექვსმეტი წელი შემისრულდა. კარგი იქნებოდა დღეს რომ გადავერჩინე ვინმეს“.

მაგრამ მშველელმა რაზმებმა უკვე თვე იყო, რაც შეწყვიტეს ჩამოვარდნილი თვითმფრინავის ძებნა ამ ტყით დაფარულ, თოვლიან რაიონში. მათ კატასტროფის კვალსაც ვერ მიაგნეს. მხოლოდ სულ ცოტა ხნის წინათ მონადირე შემთხვევით წააწყდა თვითმფრინავის ნამსხვრევებსა და კარლასა და დედამისის ჩონჩხებს. მანვე იპოვა დღიურიც. ჩანაწერები დღიურში წყდებოდა 4 მაისს. არავინ იცის ამის შემდეგ კიდევ რამდენ ხანს ფეთქავდა ამ ადამიანებში სიცოცხლე.




## ყველაზე ღატაკი მეფე

ნიდერლანდების მთავრობამ წამოაყენა წინადადება იმ თანხის ორჯერ გადიდების თაობაზე, რომელიც დადგენილი წესის მიხედვით ეძლევა დედოფალ იულიანას. თუ ეს წინადადება განხორციელდა, ჰოლანდიის დედოფალი ყოველწლიურად მიიღებს 8 მილიონ კრონს.

პირადი ქონების ღირებულების მიხედვით იულიანა და მთელი მისი სამეფო ოჯახი თითქმის ყველაზე მდიდრები არიან ევროპაში. ხოლო თუ მისი შემოსავალი გადიდდება 8 მილიონ კრონამდე წელიწადში, მაშინ დედოფალი იულიანა პირველ ადგილზე იქნება ევროპის სახელმწიფოთა ყველაზე მაღალი გასამრჯელოს მქონე მესვეურებს შორის.

იულიანას შემდეგ პირადი ქონების ღირებულების მიხედვით დგას ინგლისის დედოფალი ელიზაბეტი (50 მილიონი გირვანქა სტერლინგი), რომლის მუდმივი გასამრჯელო არ არის დადგენილი. მის მაგივრად იგი იღებს ერთ-ერთი საჰერცოგოს ყოველწლიურ შემოსავალს. ასევე უხდიან მემკვიდრე პრინცს ჩარლზსაც.

შვეციის მეფე, რომელიც ყოველწლიურად იღებს 3,4 მილიონ კრონს (100 შვედური კრონი — 17 მანეთი და 40 კაპიკია), ისეთი მდიდარი როდია, როგორც მისი კოლეგები სხვა ქვეყნებში. მაგრამ მასაც აქვს ცოტაოდენი რამ: სამ მილიონამდე ყოველწლიური შემოსავალი პროცენტების სახით, 10 მილიონი პირადი დანაზოგი და სამეფო ოჯახის 11 მილიონად შეფასებული მიწები.

შვეციის მეფის სიძე, დანიის მეფე ფრედერიკი სიმამრზე უფრო მეტ გასამრჯელოს იღებს. დედოფალთან ერთად მას წელიწადში უხდიან 5,2 მილიონ კრონს; ტახტის მემკვიდრე პრინცესა მარგარიტა, მეუღლესთან ერთად ღებულობს 1 მილიონ კრონს.

ამგვარად, შვეციის მეფე ყველაზე ცოტას იღებს — ამ კომპანიაში იგი ისე ჩანს, როგორც „მოხუცებულობის გამო პენსიაზე გადასული კაცი“.



## მოკლე კაბა და მარგალიტის ყელსაბამი

იაპონიაში მარგალიტი ჩაწოლილ საქონლად იქცა. სულ უფრო და უფრო იზრდება მარაგი მარგალიტისა, რომელსაც მუშტარი აღარა ჰყავს; ორიოდე წლის წინ გაუსაღებელი მარგალიტის მარაგი შეფასებული იყო 5 მილიარდ იენად, გასულ წელს კვლავ ვერ გაყიდეს 7 ტონა მარგალიტი.

დანამდვილებით არავინ იცის, თუ რა მოხდა. მარგალიტის ბიზნესი ყოველთვის იდუმალებით იყო მოცული; მაგრამ იაპონურ გაზეთებში დროდადრო მაინც გამოჟონავს ხოლმე ცნობები, რომლებიც მსოფლიოს ბირჟაზე საოცარ პანიკას იწვევენ. ცნობილია, მაგალითად, რომ მიეს პრეფექტურაში — ქვეყნის უდიდეს მარგალიტის პლანტაციაში — ამ ძვირფასეულის წარმოება ერთი მესამედით შემცირდა.

რა უთხრის ძირს ამ „მარგალიტის იმპერიას“, რომელიც 75 წლის წინათ დააარსა ყველასათვის უცნობმა მებალემ კოკიტი მიკიმოტომ? ლეგენდით არის მოცული სახელი ამ იაპონელისა, რომელმაც ამოიცნო მარგალიტის ხელოვნურად წარმოქმნის საიდუმლოება. მან თავისი საქმიანობა დაიწყო ქალაქ ნაგოიას ახლოს მდებარე ზღვის პატარა ყურეში, მერე კი თავისი პლანტაციებით მოჰფინა იაპონიის აღმოსავლეთ სანაპიროს უთვალავი კუნძული. აუწერელი სიმდიდრე დარჩათ მიკიმოტოს მემკვიდრეებს.

ფირმა „მიკიმოტო პეარლზის“ რეკლამა შეგხვდებათ ლონდონსა და ნიუ-იორკში, კალკუტასა და სიდნეიში. თითქოს და მართლაც უნდა ახდენილიყო „მარგალიტის იმპერიის“ მფლობელის ფანტასტიკური და სრულიადაც არა უანგარო ოცნება — „დავამშვენოთ მსოფლიოში ყველა ქალის ყელი მარგალიტების მძივებით“.

მაგრამ საქმე ისაა, რომ იაპონური მარგალიტის ძირითადი მომხმარებლები — ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთ გერმანია — ეკონომიურ სიძნელეებს განიცდიან, და ათასობით მამაკაცს აქ ახლა იმისთვის როდი სცალია ძვირფასი საჩუქრები მიართვან შეყვარებულებს, საცოლეებსა თუ მეუღლეებს. გარდა ამისა, მარგალიტების იმპერიას დიდი ზარალი მოუტანა მეტისმეტად მოკლე კაბების მოდამ; მოკლე კაბა, ამ მოდის დამამკვიდრებელთა აზრით, თურმე მოითხოვს მაღალ, ღია ყელს, და, მაშასადამე, მარგალიტების ყელსაბამი აღარავის სჭირდება.

## ინგლისური სანქციები და ბისკვიტები ძაღლებისათვის

ამ ცოტა ხნის წინათ ლონდონიდან სოლსბერიში ჩაბრძანდა ვიღაც ქალბატონი. გზაში მისი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახლდათ საყვარელი ბოლონური ძაღლი. სოლსბერიში რომ მოხვდა, ქალბატონი შეშფოთდა.

— რა მოუვა ჩემს სოფის? იგი მიჩვეულია ლონდონურ ბისკვიტებს...

— ნუ სწუხართ, გენაცვალე, — ამშვიდებდა მას როდეზიელი მეგობარი ქალი, — ჩემი ჯიმი ყოველდღიურად შეექცევა ლონდონურ პროდუქტებს.

ბისკვიტები ძაღლებისათვის — ეს გამოგონილი ამბავი როდია. ორი წლის წინათ, როცა როდეზიამ ცალმხრივად გამოაცხადა „დამოუკიდებლობა“, ოფიციალურმა ლონდონმა მთელს ქვეყანას შეატყობინა, რომ „რამდენიმე კვირის შემდეგ წამოაჩოქებს“ სმიტის რეჟიმს. როდეზიის წინააღმდეგ გამოყენებული იქნა ეკონომიური სანქციები. გათვალისწინებული იყო, რომ ინგლისი პირველ რიგში შეწყვეტს როდეზიისათვის რაიმე საქონლის მიწოდებას და როდეზიული ნედლეულის შესყიდვას. სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარად გამოვიდა.

ინგლისურმა ბიზნესმა აინუნშიც არ ჩააგდო ოფიციალური აკრძალვა. მსხვილი ინგლისური ფირმები როდეზიაში ისევე გზავნიან საქონელს, როგორც წინათ. ინგლისური გაზეთი „დეილი ექსპრესი“ აღნიშნავს, რომ როდეზიაში „ინგლისური ექსპორტის სფერო მეტად ფართოა — აქ ყოველგვარი საქონელი შეგხვდებათ, დაწყებული ავტომანქანებითა და საავიაციო მოწყობილობებით, დამთავრებული „ბისკვიტებით ძაღლებისათვის“.





— როგორ თვალსა და ხელს შუა გარბიან წლები! თითქოს გუშინ იყო, ნიკოლოზ კახიანის ოჯახში ამ ბავშვს რომ ვეფერებოდით,—ამბობს აკად. კონსტანტინე ერისთავი,—დღეს კი ჩვენი ზაზა უკვე მედიცინის დოქტორია, კათედრის გამგე...

მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთ სიყვარული ძალზე ფაქიზი გრძნობაა. იმავე დროს, დიდად თავისებურიც: რამდენი წლისაც უნდა იყო, რაგინდ დიდი ცოდნა და გამოცდილება შეიძინო, გამზრდელის ნახვა და მისი რჩევა-დარიგება მუდამ გჭირია. (ფოტო 1).



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეთრხალათიანი ხალხი

ფოტო ოთარ თურქიასი





•••

ხუთი საათი... ხუთი საათი საოპერაციო მაგიდასთან... ხუთი საათი შემოგცქერის ადამიანი მუდარის თვალებით, როგორც ღმერთს და ხსნას შენგან ელის. უნდა გაუმართლო იმედი. აი, ოპერაცია დამთავრდა. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა... ახლა ერთი ცალი პაპიროსი, ოღონდაც ერთი ნაფასი, მარტო ერთი ნაფასი... (ფოტო 2).

•••

ამ რამდენიმე საათის წინ პროფესორ ზაალ კახიანს თეთრი ხალათი ეცვა და სიკვდილს ებრძოდა, ებრძოდა და დაამარცხა კიდეც. ექვი აღარ არის, ავადმყოფი იცოცხლებს. ასეთ დროს კაცს მარტო სიმღერის კი არა, ცეკვის სურვილიც რომ დაეუფლოს, აღარ უნდა გაგიკვირდეს. ახლა გულდამშვიდებით შეგიძლია მიუჯდე ფორტეპიანოს (ფოტო 3).







***

მხატვრობა ზაალ კახიანის მეორე გატაცებაა. ახალგაზრდა დასტაქარს თავისი ბინის ერთი ოთახი სახელოსნოსათვის დაუთმია. მართალია, ბოლო ხანებში დრო აღარ ჰყოფნის, მაგრამ მაინც გული სულ ამ სახელოსნოსაკენ მიუწევს. მას ბევრი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი აქვს. კარიკატურების ხატვამ კი ისე გაიტაცა ზაალ კახიანი, რომ თავისი საყვარელი მასწავლებელი კონსტანტინე ერისთავიც კი არ დაინდო.

აქვე ვათავსებთ ამ კარიკატურებს. ზემოდან ქვემოთ: კონსტანტინე ერისთავი, ნიკოლოზ ანთელავა, დავით მამამთავრიშვილი.

***

სახელოვან დასტაქარს სახელოსნოში ორასზე მეტი მხატვრის ნამუშევარი აქვს გამოფენილი. აქ ნახავთ როგორც ქართველი, ისე რუსი და უცხოელი ოსტატების ნაწარმოებებსაც. სულ უფრო და უფრო მრავლდება დასტაქრის კოლექცია, საჭიროა იფიქრო ექსპოზიციაზე, თუ როგორ განალაგო სურათები.



# მოდი როცა გავიდი

მოთხრობა

სანატორიუმში, ერთ ოთახში სამნი ვართ. ოცდასამი-ოცდაოთხი წლის მასწავლებელი ქალი ნატო, ექიმი და მე. ექიმს სახელად თამარი ჰქვია, ლამაზი ქალიშვილია, ცოცხალი, მხიარული მოსაუბრე. მასწავლებელი კი დინჯია, თავის ასაკთან შედარებით საოცრად დინჯი. ჩვენს საუბარში იშვიათად ერევა, ისიც მაშინ, როცა რაიმეში არ გვეთანხმება.

ზაფხულის წვიმიანი დღეა. სახლში ვართ ჩაკეტილები, ზღვაზე ვერ გავსულვართ. მე და ნატო საწოლზე წამოწოლილები ვისვენებთ, თამარი ფანჯარასთან ზის და წიგნს კითხულობს.

თამარმა უცებ დახურა წიგნი, გადმოგვხედა და გვითხრა: ქალიშვილს ხუთი წელია ვაჟი უყვარს, ვერ იქნა და ვერ მოახერხა მისი გაცნობა.

— რატომაც არა, შეიძლება მოხდეს, — მივუგე მე, — ზოგს ადვილად გამოიცნობ, ზოგის გამოცნობა გაგიჭირდება. შეცდომისაგან დაზღვეული ვინ არის!

— მე არ შევცდები! — მტკიცედ განაცხადა თამარმა, — როგორც კი დაველაპარაკები ადამიანს, მაშინვე შემიძლია ვთქვა როგორია, რა ასულდგმულებს!

ნატო ჩუმად გვისმენდა. მერე უცებ წამოჯდა საწოლზე და თამარს მიმართა.

— შენ არასოდეს შემცდარხარ?

— არასოდეს.

— იღბლიანი ჰყოფილხარ, — ღიმილით მიუგო მან, — მე კი ეგ არ მეთქმის, თუმცა ადრე შენსავით ვფიქრობდი.

მე გამეცინა.

— ადრე... ამ სიტყვას ისე ამბობ, თითქოს მოხუცი იყო.

—მოხუცი არა ვარ, მაგრამ... თუ თავს არ მოგაწყენთ, პატარა ამბავს მოგიყვებით.

ორივე მისი საწოლის ახლოს, სკამებზე ჩამოვსხედით.

ნატო ერთხანს გაჩუმებული იჯდა, მერე დაიწყო:

— არც თუ ისე დიდი ხნის ამბავია, მეხუთე კურსზე ვიყავი. სასწავლო წლის დასაწყისში ჯარიდან დაბრუნებული ვაჟი მოგვემატა. როგორც კი აუდიტორიაში ფეხი შემოდგა, ყველას მოეწონა. მაღალი, თმახუჭუჭა ვაჟკაცი იყო, ერთი შეხედვით, ძალზე მიმზიდველი, თავს ისე იჭერდა, თითქოს არავის ამჩნევსო. ქალიშვილები ხომ იცით რა ცნობისმოყვარენი არიან. მცირე ხნის შემდეგ ყველამ დაასკვნა, რომ თემურს მე მოვწონდი, ამაში მეც მალე დავრწმუნდი. ის ძალიან თავდაჭერილად და ტაქტიანად მაგრძნობინებდა, რომ ჩემდამი გულგრილი არ იყო.

ლექციაზე ვსხედვართ. თან ვუსმენთ და თანაც რვეულებში ვინიშნავთ. თემური ჩვეულებისამებრ ჩემს გვერდით ზის. მან ფურცელი ამოხია, რაღაც დაწერა და ჩემკენ გამოაცურა. ზედ ლამაზი გაკრული ხელით იყო გამოყვანილი:

„ნატო, დღეს ლექციების შემდეგ კინოში წავიდეთ; თანახმა ხარ?“

გული უჩვეულოდ ამიჩქროლდა. ალბათ გავწითლდი. არც კი დავფიქრებულვარ. „წავიდეთ-მეთქი“ — წავაწერე.

თემურმა ფურცელი გააცურა. წაიკითხა, გაიღიმა.

ამხანაგების შემრცხვა, ლექციების შემდეგ მოვიმიზეზე, ნაცნობი უნდა ვნახო-მეთქი, ზედა სართულზე ავედი, ცოტა შევიცადე, ვიდრე ისინი წავიდოდნენ. თემური გარეთ მიცდიდა.

— ტაქსით წავიდეთ! — მითხრა მან.

მე მომერიდა და ვთხოვე ტროლეიბუსით წავსულიყავით. ის იყო ათი ნომერიც მოვიდა. ერთმანეთის გვერდით, ხმაამოუღებლად დავსხედით.

აპრილის ბოლო რიცხვები იყო. პროსპექტზე ჩამწკრივებული ჭადრის ხეები მწვანე სამოსელში გამოწყობილიყვნენ, ირგვლივ სიცოცხლის ხალისი იგრძნობოდა.. მეც სიხარულით ვიყავი სავსე, გული გასაფრენად მიიწევდა.

მთავრობის სასახლის წინ ჩამოვედით. პროსპექტს ფეხით გავყევით. შორიდანვე შევნიშნეთ კინო „რუსთაველის“ თავზე ლამაზად გაფორმებული რეკლამა. ახალ ქართულ ფილმს უჩვენებდნენ.

თემურმა ბილეთები იყიდა. ფილმის დაწყებას ჯერ კიდევ თხუთმეტი წუთი აკლდა. ფოიეში ახალი წიგნების გამოფენა მოეწყოთ. — დავათვალიეროთ, შეიძლება საინტერესო რამ შეგვხვდეს! — მივმართე თემურს.

სახეზე უსიამოვნება გამოეხატა.

— რათ გინდა, ჯერ ბუფეტში წავიდეთ! — მომიგო და მკლავზე ხელი მომკიდა.

— ამას ერთი წუთი ეყოფა, ბუფეტშიც მოვასწრებთ! — ვუთხარი მე.

ხათრი აღარ გამიტეხა და მომყვა, მაგრამ აქეთ, შორიახლოს გაჩერდა. გაშლილ წიგნებს თვალი გადავავლე და თემურთან დავბრუნდი.

— რა წიგნი გინდოდა?

— თომას მანის ახალი რომანი გამოსულა, იმას ვეძებ.

— „უთაო მხედარი“ ხომ არა! ამის წინ დედაჩემმა იყიდა, აქებდა კარგი რამ არისო!

გაკვირვებით შევხედე. მცოდნე და ნაკითხი ყმაწვილის სახელი ჰქონდა. უცებ გამახსენდა მისი მდიდრული ბინა, გაჭედილი ძვირფასი წიგნების კარადებით, ერთხელ ავად იყო თემური და ჩვენ მის სანახავად რომ მივედით, მაშინ დავათვალიერეთ მისი ბიბლიოთეკა.

— წიგნებს დედა ყიდულობს ხოლმე?

— ჰო! მე და მამა სპორტის თაყვანისმცემლები ვართ.

თემური ბევრს მეხვეწა ბუფეტში შევიდეთო, მაგრამ უარი ვუთხარი. ჩვენი ადგილები მოვძებნეთ და დავსხედით.

თემური პალტოს გახდაში მომეხმარა, მერე გამომართვა და მუხლებზე გადაიდო.

სინათლე ჩაქრა. კინოჟურნალი დაიწყო. თემური ჩემკენ გადმოიხარა და მხრით ოდნავ შემეხო. ეკრანზე ერმიტაჟის ძვირფასი ექსპონატები სცვლიდა ერთმანეთს. დარბაზი სულგანაბული მისჩერებოდა სურათს, თემური კი ხან მე შემომხედავდა, ხან აქეთ-იქით იცქირებოდა, ხალხს ათვალიერებდა, უცებ გავიფიქრე, რომ მისი ყურადღების დაფანტვის მიზეზი მე ვიყავი. გულში გავამართლე კიდეც.

შემდეგ ოპერიდან ნაწყვეტი აჩვენეს. მთელს კავშირში ცნობილი ბარიტონი სასიამოვნო ხავერდოვანი ხმით მღეროდა არიას.

— ოპერას ვერ ვიტან! — შემომესმა თემურის ხმა.

შევხედე.

— ოპერაში არ დადიხარ?

— ქუდი რომ შემიგდონ, გამოსატანად არ შევალ. ვაჟკაცები ოპერაში არ დადიან!

„საინტერესოა ნეტავ სად დადიან ვაჟკაცები!“ — გავიფიქრე უნებურად.

უცებ დარბაზს ფეხბურთის მატჩის სასიამოვნო ჟანგები მოეფინა. დიქტორი მატჩის რეპორტაჟს შეუდგა. თემური გამოცოცხლდა. წინ გადაიწია. ეკრანისათვის თვალი არ მოუშორებია. „რას იზამთ, თუ ფეხბურთმა ყველა გადარია, თემური რა გამონაკლისია-მეთქი“ — გავიფიქრე.

კინოჟურნალი დამთავრდა, დაგვიანებულები სწრაფად შემოდიოდნენ და თავიანთ ადგილებზე სხდებოდნენ.

— იცი რა იყო ეს მატჩი? — მომიბრუნდა თემური და გაბრწყინებული თვალებით შემომხედა, — ჩვენმა მეკარემ რომ ბურთი აიღო... ai ეს იყო ნამდვილი კლასიკა. ბილეთში ათი მანეთი მივეცი. მაგრამ თუმანი მარტო ეს ნახტომი ღირდა...

სიმართლე გითხრათ. სპორტი ძალიან მიყვარს. ინსტიტუტის მხატვრული ტანვარჯიშის სექციაში დავდიოდი. ფეხბურთიც მიყვარს, კალათბურთიც. ყველაფერი მიყვარს, რაც კი კარგი და ლამაზია ქვეყანაზე. მიუხედავად ამისა, რატომღაც, გული ჩამწყდა თემურის სიტყვები რომ გავიგონე.

ფილმი დაიწყო. თემურმა უფრო ახლოს მოიწია და ხელზე მისი თბილი ხელის შეხებაც ვიგრძენი. ჩემს ხელს თავის უზარმაზარი, ვაჟკაცური ხელის გულს უსვამდა და ეფერებოდა. მინდოდა გამომეღვიძებინა, გავიწიე, მაგრამ არ გამიშვა ხელი, ნაზად მომიჭირა.

ეკრანზე ლტოლვილები გამოჩნდნენ, ქალები და ბავშვები მატარებელს ესეოდნენ, იყო ერთი ალიაქოთი, თავისიანები ერთი-მეორეს დაეძებდნენ, ისმოდა მოთქმისა და გოდების ხმები.

— ახლა ვიცი დაიწყება სროლა და მეც გადავირევი! — თქვა თემურმა და რატომღაც გაიცინა. ჩვენს უკან მჯდომი ორი ქალიშვილი აჰყვა.

— რა ნახეთ ყმაწვილო, სასაცილო? — ჩამესმა მოხუცის ხმა.

თემურს პასუხი არ გაუცია.

— ფუჰ! რა ტყუილად დავკარგეთ დრო! — შუბლშეჭმუხვნით წარმოთქვა თემურმა და მე მომიბრუნდა, — „სპარტაკში“ „შავი სათვალე“ გადიოდა, არ გვერჩია იქ წავსულიყავით.

თემურის ამ სიტყვებზე მთელს სხეულში სიცივემ დამიარა. ეკრანს გაოგნებული მივჩერებოდი. სურათები ერთმანეთს სცვლიდნენ, რაღაც ხდებოდა, ჩემს ცნობიერებამდე კი ვერაფერი აღწევდა. თავში ერთმანეთში ამერია თემურის მდიდრული ბინა, ოქროსვარაყიანი წიგნებით სავსე კარადები და მისი სიტყვები.

— შვილო, ადამიანის გამოცნობა ძნელია. მის გასაცნობად მისი წონა მარილი უნდა გაათაო! — გამახსენდა დედაჩემის სიტყვები.

„მისი წონა მარილი“ — გავიმეორე გუნებაში, — თურმე სულაც არ არის საჭირო ამდენი მარილი! აი, ასეთების გასაცნობად, ერთი კოვზი მარილიც კი არ არის საჭირო. ყველაფერი ისედაც აშკარად ჩანს!

ლილი ბეჟანიშვილი

მორო მამედოვი

## შენზე ოცნებობს

ჩემი სარკმელი ქუჩას გასცქერის
შენზე ფიქრებით და მოლოდინით.
შენზე ოცნებობს ჩემი სარკმელი
თეთრი სიზმრებით გადათოვლილი.

ციდან ეშვება თოვლი ფარფატით,
თეთრი სიჩუმე თრთის ზამბახურად.
კავკასიონმა თეთრი ნაბადი
ჩემს თბილისს მხრებზე წამოასხურა.

სარკმელთან ზოგჯერ ქარი იწივლებს,
ავდრის ლრუბელი ცად მიიჩქარის.
მე შენზე ფიქრებს ვერ შემიცვლებს,
ყინვა იქნება თუ ქარიშხალი.

გზები ნამქერით ჩახერგილია,
გზა ბილიკები დაწყდნენ ლვედებად.
სიყვარულის გზა კი გახსნილია,
სიყვარულის გზა არ იკეტება.

ამ გზაზე მუდამ გაზაფხულია
და არ არსებობს მისთვის ზამთარი,
თავზე მაისის ცა მახურია,
შენი თვალების შუქით გამთბარი.

შორსა ხარ, მაგრამ დამიბრუნდები,
გზები შეხვედრებს ისევ გვპირდება.
კვლავ გვიწვევიან თრობის წუთები,
შეეხევიან ხეებს კვირტებად.

ქერთულიდან თარგმნა
შოთა ნიშნიანიძემ



# როცა გაიღო კარი





ეს მარტო სასტუმრო კი არა, ხელოვნების ბრწყინვალე ნაწარმოებია. ამას უმალ გრძნობთ ამ უზარმაზარი შენობის ყველა სართულზე, ყველა კუთხეში, დერეფნებსა თუ კიბეებთან (ფოტო 1).

დილით მივადექით „ივერიის“ ფართო შესასვლელს.

ამ დღეს პირველად გაიღო სასტუმროს კარი. უზარმაზარი, ნათელი ვესტიბიული სავსე იყო ხალხით: ვის არ ნახავდით აქ, საიდან სად ჩამოსულებს, სადაურ ენაზე მოლაპარაკეს! აგერ თბილ ქურთუკში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი (ფოტო №2); როგორც შემდეგ გავიგეთ, ის პირველად ჩამოსულა ევროპიდან საქართველოში და მგონებია კავკასიონის თოვლიან-ყინულიან მწვერვალებზე მოუხდებოდა ცხოვრება. აქ კი, ჩვენებური თბილი ზამთარი რომ დაუხვდა, მეტი რა გზა ჰქონდა, თვითონ ვე დაიწყო თავისთავზე ხუმრობა.

— რა ტყუილ-უბრალოდ ჩამიარა მკაცრი ზამთრისათვის მზადებამ...

— რა ნიშნები გუავდა ბავშვობისას გეოგრაფიაში? — მეგობრულად გაკენწლა იგი თავისმა თანამგზავრმა.



2

ხეული კიბის გვერდით რბილ სავარძლებში უცხოელი სტუმრები სხედან; იქვე დავინახეთ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი გურამ რამიშვილი და უნივერსიტეტის ლექტორი ნათელა ხუციშვილი. მათ გაგვაცნეს სტუმრები: ევა-ურსულა პეტერაიტი, ვალტერ დოცაუერი და მაინც ფირიხი; ისინი გერმანელი ჟურნალისტები არიან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დეკადის მონაწილენი.

ჩვენ მათ სასტუმროს ქვემო სართულში სახინკლის დათვალიერება შევთავაზეთ. სიტყვა „სახინკლე“ მუდამ დაკავშირებული იყო რაღაც ვიწრო, კვამლითა და ორთქლით გატენილ, ჩაშავებულ სარდაფთან; აქ კი ხის პანელებითა და მარმარილოთი მოპირკეთებული კედლები და იატაკი, კედლებზე ჰედური ბარელიეფები, კედლების გასწვრივ—მუხის დაბალი მაგიდები და მუხისვე სკამები, ჭერზე გადებული სქელი კოჭები, რომელთა უხილავ კუთხეებიდან დღის სინათლეები იღვრქვევა.

გავრცელებულია თქმა — ადვილი მარტო ხინკლის ჭამააო. მაგრამ დახეთ (ფოტო №3), რა ტანჯვით ეცნობა ამ უცხო კერძს უცხოელი ჟურნალისტი.

ვესტიბიულში რომ დავბრუნდით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე ჰორსტ ბრაში დავინახეთ, სუვენირების ვიტრინასთან დახრილიყო და ქართველ ოსტატთა ნამუშევრებს ათვალიერებდა (ფოტო №4).

— მშვენიერი სუვენირებია,—გვითხრა მან აღტაცებით, — საუცხოო ოსტატები გყოლიათ. სასტუმროზე ხომ რაღა მოგახსენოთ, სიტყვა არ მყოფნის





3



4

მის შესაქებად. რომ შეიძლებოდეს, სიამოვნებით წავიღებდი და დავდგამდი ბერლინში ქართულ სუვენირად...

გამოთხოვებისას ევა-ურსულამ ჩემს უბის წიგნაკში ჩაწერა:

„გულითადი სალამი ჟურნალ „დროშის“ ყველ მკითხველს. თქვენი მეგობრები!—ევა-ურსულა პეტერაიტი, მაინც ფირიხი, ვალტერ დოცაუერი“.

ოთარ თურქია



## კლემენტი XI-ის ორი ეპისტოლეს გამო

### აკაკი გაწერელია

1714 წლის 29 ივნისს სულხან-საბა ორბელიანი, ირანის შაჰის სულთან-ჰუსეინის მიერ ირანში დაკავებული (და ამ დროისათვის უკვე ქერმანში პატიმრად მყოფი) ვახტანგ VI-ის ელჩი, საფრანგეთიდან რომში მივიდა. პაპმა მას მდინარე ტიბროსთან ორი ეტლი და თავისი ძმისწული კარდინალი ალბან* შეაგება („მოგზაურობა ევროპაში“, თბ., 1940, გვ. 17). სულხან-საბა წმ. ლაზარეს მონასტერში დაუბინავებიათ (იქვე). ქართველ დიპლომატს რომში დახვდა აგრეთვე საფრანგეთიდან ადრე გამომგზავრებული ფრანგი აბატი ჟან რიშარი („მუსუ რიშარი“), მისი მუდმივი თანმხლები, ევროპაში საბას ელჩობის ყველაზე აქტიური მონაწილე.

რომის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერების შემდეგ სულხან-საბა პირველად 5 ივლისს წარუდგა ვატიკანში კლემენტი XI-ეს. შეხვედრა ასეა აღწერილი „მოგზაურობაში“ (გვ. 19-20):

„ხუთს მკათათვეს წმინდა პაპასთან წამიყვანეს, საზაფხულო სახლებში იდგა... თავზე მომეხვია. დაჩოქებით ჯდომა წესია, არ დამაჩოქა. ფეხზე დამაყენა. მე ბოლოს ვდგებოდი, გვერდს ახლო მომიყენა. მომიკითხა, მიალერსა. მე მოვახსენე: წმინდავ მამავ, მეთქი, რა შენმა შვილმა, მტკიცე ქრისტიანმა, თავისი საქმე შენზე მოაგდო, მაშინვე გულსავსე შევიქენ, ყველა გამირიგდება მეთქი. მაგრამ სიგვიანე ვახტანგ მეფეს არას არგებს. ავს ალაგს არის მეთქი. მიბრძანა: ჩემი სისხლი რომ მთხოვო ვახტანგისა და შენის ქვეყნის სასარგებლოდ, იმასაც დასაქცევლად მოგცემო. მადლი გარდვიხადე და მოვახსენე: მე ვხედავ, ვახტანგის მოუსვლელობით ქრისტიანობას დააკლდება ჩემს ქვეყანაში და მოსვლით მართლმადიდებლობას (აქ საბა კათოლიკობას გულისხმობს. ა. გ.) მოემატება მეთქი. თუ არა, მე სხუა საქმე არა მაქვსრა. მოხუცებულს სიმეონნსავით გეხვეწები: აწ განმიტევე მეთქი. გამიცინა, მიბრძანა: მე შენთვის ღმერთს ვეხვეწებიო, დიდი დღე მოგცესო, შენით მრავალი საქმე მინდა გავაკეთოო. წამოველ“.

იმავე წლის 31 ივლისს სულხან-საბას მეორე აუდიენცია აქვს პაპთან, რომელმაც მას საჩუქრები მიართვა. „მოგზაურობაში“ ავტორი ჰყვება (გვ. 60-61):

„წმიდა პაპას ებრძანა, ვიახელით... მიბძანა: მიხარიან რომში დიდი ხმა დაგივარდაო, კარგად იქცევიო და ჰკვიანადო. მრავალი მიალერსა, ნაწილებსა და ჩემს საჯდომს ეტლს გამოგიგზავნიო და ისე წადი ეტლით, წმინდა შვიდი ეკლესია მოილოცეო, ცოდვათ შესანდობელი... მე თავათ ბერი კაცი ვიყავი და სნეული და ავი დრო იყო. სიცხე. პაპამ დასტური არ დამცა ქვეითობის, ჩემის ეტლით წადიო. სადილს უკან წაველით“.

ფლიდი პაპი რომის ეკლესიების მოხილვას სთავაზობდა იმჟამად სხვა, უფრო დიდი საქმისათვის ვატიკანში მისულ ქართველ დესპანს!

მესამედ და უკანასკნელად სულხან-საბა რომის პაპთანაა 17 აგვისტოს. აი ამ აუდიენციის აღწერის ნაწყვეტები („მოგზ.“ 83-85):

„წმიდას პაპასთან წაველით. მის პატარა სამწირველოში ხუცესმა წირა ჟამი... წირვას უკან მოვიდა. მიალერსა... ჩემთვის ულირსი სიტყვა მიბრძანა: რაც გინდა მთხოვეო. მადლი გარდავიხადე. ჩემი სათხოვარი ყველა უთხოვრად აღმისრულდა-მეთქი. მომეხვია, მაკოცა. ფეხზე ვაკოცე. გზის საქმეები დაგვარიგა. გამომისტუმრა, მიბრძანა: ასე მალე არ გაგიშვებდიო, მაგრამ ვახტანგ მეფის უკითხავად წამოსულხარო, რომ დამეჭირე იმას გულს დააკლდებაო და წადი მისი საქმე მოიჭირვეო“ (გვ. 85).

სულხან-საბას მიზანი იყო რომის პაპს ეშუამდგომლა ლუი XIV-სთან სპარსელების ტყვეობისაგან ვახტანგ VI-ის გამოხსნის თაობაზე, რისთვისაც საფრანგეთის მეფეს 800.000 ეკიუ უნდა გაეღო. მართალია, კლემენტი XI-ემ რამდენიმე ბარათი მისწერა ლუი XIV-ეს, მაგრამ მათში არაფერია ნათქვამი ვახტანგისათვის მატერიალურ დახმარებაზე. კათოლიკეთა მეთაურმა კი საბა რომიდან გაისტუმრა უკანასკნელი აუდიენციის მეორე დღეს (18 აგვისტოს), „ქათმის ყიულობისას“, მაგრამ... ცარიელი ლოცვა-კურთხევით...

სულხან-საბა გაემართა კონსტანტინეპოლისაკენ, გზად მან გაიარა ფლორენცია, ქ. პიზა, სიცილია (უნახავს პალერმო), მესინის სრუტის გავლით. 16 ოქტომბერს, იგი იონიის ზღვით ჩადის „ანაპოლის (ნეაპოლის, ა. გ.) ქვეყნის თემში“. 25 ოქტომბერს სულხან-საბა მალთაშია, სადაც 1714 წლის 5 დეკემბრამდე დაჰყო. 1715 წლის 17 იანვარს იგი ხომალდით კონსტანტინეპოლში ჩადის, სადაც ძალიან დიდხანს უცდიდა საფრანგეთის სამეფო კარის მიერ აღთქმულ დაპირებათა შესრულებას. მაგრამ სწორედ ამ ხანებში (1715 წ. 1 სექტემბერი) გარდაიცვალა ლუი XIV, რომელმაც ხანგრძლივი ომებით სისხლისაგან დაცლილი და ვალებით დატვირთული სახელმწიფო დასტოვა. იმედგაცრუებული, სასოწარკვეთილი დიდი ქართველი მწერალი-დიპლომატი მეორე წლის გაზაფხულზე (1716 წლის 18 მაისს) სტოვებს კონსტანტინეპოლს და ხომალდით მოემართება სამშობლოსაკენ. სულხან-საბა დაწვრილებით აგვიწერს მგზავრობის სიძნელეებს. მრავალი ფათერაკის გადამკიდე, იგი დიდის ვაი-ვაგლახითა და ერთი ბურსელი ვაჭრის ვალებით სავსე ძლივს-ღა აღწევს ქართლს (1716 წ., ივლისი), სადაც ამ დროს ტახტზე იჯდა ვახტანგ VI-ის ძმა, გამაჰმადიანებული იესე.

ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ზოგი დეტალი რომში საბას ყოფნისა და მასთან დაკავშირებული რამდენიმე ეპისტოლარული მასალის ქართველი მკითხველისათვის გაცნობა.

მ. თამარაშვილს თავის წიგნში „ისტორია კათოლიკობისა საქართველოში“ (თბ., 1902) დასახელებული არ აქვს ერთი წიგნი, რომელსაც ჩვენ ბევრი ძიების შემდეგ მივაკვლიეთ ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის წიგნთსაცავში. ესაა თვითონ კლემენტი XI-ის „სრული თხზულებანი“ („Opera omnia“) ლათინურ ენაზე, გამოცემული 1729 წელს ფრანკფურტში. იგი შეიცავს კლემენტი XI-ის ერთ წერილს ლუი XIV-სადმი ვახტანგ VI-ისათვის დახმარების თაობაზე, რომელიც მას სულხან-საბას თხოვნითა და შთაგონებით მიუწერია საფრანგეთის მეფისათვის, და ორ წერილს ვახტანგ VI-სადმი. წიგნის მთელი სათაურის სურათი ასეთია:

CLEMENTIS XI.
PONT. MAX.
OPERA OMNIA
IN
QVIBVS CONTINENTVR
I. EIVS ORATIONES CONSISTORIALES. II. HOMILIAE. III. EPISTOLAE
ET BREVIA SELECTIORA.
IV. BVLLARIVM.
*SECVNDVM EXEMPLA ROMANA*
*FIDELITER REPETITA.*
ACCEDIT
VITA CLEMENTIS XI.
A PRAESVLE QVODAM ROMANO
PERSCRIPTA.



*FRANCOFURTI,*
SVMPTIBVS SOCIETATIS,
M DCC XXIX.

აი სათაურის თარგმანიც (იგი ჩვენი თხოვნით შეასრულა ფილოლ. მეცნ. კანდიდატმა ალ. გამყრელიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ. მანვე გვითარგმნა კლემენტი XI-ის წერილები, რომელთა მოკლე შინაარსს ქვემოთ გადმოვცემთ):

პაპ კლემენტი XI-ის
სრული თხზულებანი.

რომელშიაც შედის:

I. მისი სიტყვები, წარმოთქმული კარდინალთა კონსისტორიაში. II. ქადაგებანი. III. ეპისტოლენი და მოკლე რჩეული ნაწერები. IV. ბულები.

რომაული გამოცემის მიხედვით ზუსტად განმეორებული. ახლავს კლემენტი XI-ის ცხოვრება, დაწერილი ვინმე რომაელი ეპისკოპოსის მიერ.

ფრანკფურტი. ამხანაგობის გამოცემა.

წიგნში, ტექსტის წინ, დაბეჭდილია რამდენიმე ერთნაირი პორტრეტი თვითონ კლემენტი XI-ისა, ოვალურ წრეებში მოთავსებული. აი ისიც. ჩვენს წინაშეა იეზუიტური გარეგნობის პაპი, ტიპიური



შესამოსელით და თავზე ტიარით; მასთან სამი აუდიენცია ჰქონდა სულხან-საბას, და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ პაპმა ფარისევლური სიტყვებით დააჩქარა ქართველი დიპლომატის რომიდან გამომგზავრება („გამომისტუმრა. მიბრძანა: ასე მალე არ გაგიშვებდი, მაგრამ ვახტანგ მეფის უკითხავად წამოსულხარო, რომ დამეჭირე, იმას გულს დააკლდებაო და წადი მისი საქმე მოიჭირვეო“ — გვიყვება თვითონ საბა).

ცნობილია, რომ არც ერთ კათოლიკეთა მწყემსმთავარს არ აღმოუჩენია რეალური დახმარება ქართველი მეფეებისათვის. ვახტანგ VI-ის ბიძაც, განთქმული გიორგი XI, ამაოდ ემუდარებოდა დახმარებისა და ფაქტიური თანამშრომლობისათვის (მუსლიმანი სახელმწიფოების აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით) არა მარტო ლუი XIV-ეს, არამედ რომის პაპსაც (იხ. გიორგი XI-ის ბარათები პაპისადმი მ. თამარაშვილის წიგნში), რის სანაცვლოდ ქართლის მეფე (ისევე, როგორც უფრო გვიან ვახტანგ VI და სულხან-საბა) მათ მთელი საქართველოს გაკათოლიკებასა და ფრანგი ვაჭრებისა და იტალიელი მისიონერებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს სთავაზობდა.

კლემენტი XI-ის მთელი გარეგნობა თითქოს ტიპიური განსახიერებაა ვატიკანის ხელისუფალთა ფარისევლობისა. „სიბრძნე სიცრუის“ ავტორი ამაოდ იყო მოხიბლული ამ პერსონის მიერ „ბრწყინვალე“ მიღებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სულხან-საბა საბოლოოდ დარწმუნდა ამაში, როცა საქართველოში დაბრუნებულმა გადააფასა ძველი ილუზიები და ბოლოს ისევ მართლმადიდებლობის წიაღს დაუბრუნდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ თვითონ კლემენტი XI-ის „რჩეულ თხზულებებს“.

წიგნის 1987-1988 სვეტები შეიცავენ პაპის წერილს (უეჭველია — ზუსტ ასლს) ლუი XIV-სადმი 1714 წლის 26 ივლისის თარიღით (სულხან-საბა ამ დროს რომშია). ეპისტოლე წარმოადგენს თხოვნას ირანში ტყვედ მყოფ ვახტანგ VI-ისათვის დახმარების აღმოჩენაზე; პაპის აზრით, ამით მოიგებდა

* თვითონ კლემენტი XI-ის ნამდვილი სახელი და გვარი იყო: ჯიოვანი ფრანჩესკო ალბანი; საბას სწორედ აქვს მოყვანილი კარდინალის გვარი.

სპარსეთსა და საქართველოში მოღვაწე ფრანგი და იტალიელი მისიონერების საქმიანობა. ამ მიმართვაში კლემენტი XI, სხვათაშორის, აღნიშნავს, რომ „იქიდან, რაც ჩვენ პირადად წმინდა ბასილის ორდენის მონაზონმა, აზიის იბერიის ნათესავმა, საყვარელმა მორწმუნე შვილმა სულხან-საბა ორბელიანმა (... Solkan Saba Orbelus Monachus Ordinis Sancti Basilii...) და ჟან რიშარმა („Ioaneo Riciardus), კონგრეგაციის მისიონის მღვდელმა, ახლახან მოგვახსენეს, ნათლად დავინახეთ, რომ იმავე მისიონების სასარგებლოდ შეიძლება ფრიად ბევრის გაკეთება, თუ ხსენებულ მეფეს (იგულ. ვახტანგ VI. ა. გ.), რომელიც ახლა თავისდაუნებურად სპარსეთის მეფის კარზეა დაკავებული, თავის ქვეყანაში დაბრუნების შესაძლებლობა მიეცემა".

ეტყობა, ბარათის სრული ტექსტი ჟან რიშარს წაუღია საფრანგეთში (ეს ჩანს თვითონ ეპისტოლედანაც); ამასთან, ცნობილია, რომ საბას იგი არ გაჰყოლია კონსტანტინეპოლში. ჩვენ ისიც ვიცით, რომ რიშარმა საფრანგეთის მთავრობის ბარათები ჩაიტანა სპარსეთში 1717 წელს. (იხ. ნარკვევი რიშარზე).

მაგრამ ლუი XIV-ემ ყური არ ათხოვა არც კლემენტი XI-ის მაღალფარდოვანი სტილით დაწერილ მიმართვას. და როცა სულხან-საბა 1716 წლის გაზაფხულს დაბრუნდა ქართლში, იმედდაკარგული ვახტანგ VI სწორედ ამ წლის გაზაფხულს გამამგზავრებული ... იხ. 

კლემენტი XI-ის „ოპერა ომნია-ს" 1998-1994 სვეტები უპირავს პაპის წერილს ვახტანგ VI-სადმი, 1714 წ. 17 აგვისტოს თარიღით (ესაა დღე პაპთან საბას უკანასკნელი, მესამე აუდიენციისა). კლემენტი XI აიმედებს „იბერიის მეფეს", რომ ის თავის ქვეყანას დაუბრუნდება და მაშინ ვახტანგ VI შეასრულებს დადებულ ფიცს — დარჩება კათოლიკური სარწმუნოების ერთგული და ყოველგვარ დახმარებას გაუწევს მისიონერებს. აღსანიშნავია, რომ ეპისტოლეს დასაწყისში ჩვეულებრივ მთელი წერილის შინაარსია მოკლედ გადმოცემული („არგუმენტუმ"). თვით წერილის დასაწყისში კი პაპი ასე მიმართავს ქართლის მბრძანებელს, მაშინ ირანში დაპატიმრებულს: „დიდებულ და ძლევამოსილ ვახტანგს, აზიის იბერიის მეფეს". ამ ეპისტოლეშიაც არის მოხსენებული სულხან-საბა ორბელიანი, ბევრია ნუგეშინის ცემა, ამასთან პაპი გახარებულია: „შეტყობილი გვაქვს, რომ შენი უმაღლესობა ამ წმინდა რომის ეკლესიის სარწმუნოებასთან შეერთების ფრიად მოსურნეაო" და მოითხოვს მისგან, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ „აღუსრულოს დაპირება უზენაესს."

ერთი სიტყვით, საკუთარი სამწყსოს გაფართოების სურვილი წარმოადგენს პაპის ამ ბარათის ლეიტმოტივს.

ეპისტოლეს მთლად არა ზუსტი (და არც სულ მთლიანი) თარგმანი დაბეჭდილი აქვს მ. თამარაშვილს, რომელსაც ის უპოვია კონგრეგაციის არქივში. როგორც ვთქვით, კლემენტი XI-ის „სრულ თხზულებებს" იგი არ იცნობს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მ. თამარაშვილს არ მოჰყავს კლემენტი XI-ის წერილი ლუი XIV-სადმი 1714 წ. 25 ივლისის თარიღით, რომელიც აღნიშნულ გამოცემაშია დაბეჭდილი.

მ. თამარაშვილის წიგნში არ გვხვდება კიდევ ერთი ეპისტოლე ვახტანგ VI-ისადმი 1720 წლის 14 სექტემბრის თარიღით („ოპერა ომნია-ს" სვეტები 2409-2410). ვახტანგი ამ დროს უკვე ქართლშია: 1716-1719 წლებში იგი, მართალია, აღიარებული იყო „საქართველოს ვალად (მეფედ)", მაგრამ შაჰმა სულთან-ჰუსეინმა ისპაჰანში დასტოვა ირანის ჯარების სარდლად და ვახტანგიც უგერიებდა მას გარეშე მტრებს (ქართლში იგი 1719 წელს მოვიდა). ამ წერილში კლემენტი XI სთხოვს ვახტანგს — დახმარება გაუწიოს იმ კათოლიკე მისიონერებს, რომელთაც ეჩმიაძინის პატრიარქი სასტიკად მოპყრობია და მათთვის ზარალი მიუყენებია.

კლემენტი XI-ის ორ ბარათს (ლუი XIV-სადმი 1714 წ. 26 ივლისის თარიღით და ვახტანგ VI-სადმი 1720 წ. 14 სექტ. თარიღით), რომლებიც პაპის „სრული თხზულებების" (1729) წიგნში აღმოჩნდა, მთლიანი სახით მომავალში გამოვაქვეყნებთ (ეს დოკუმენტები რომ დიდი ხანია ჩვენს ხელთაა, აღნიშნულია მელიტა ჯილაურის წიგნში „სულხან-საბა ორბელიანი". ანოტირებული ბიბლიოგრაფია (1648-1958 წ. წ. თბ., 1960, გვ. 86).

ქართველი მკითხველი ამჟამად მხოლოდ ზოგადად ეცნობა ჩვენი ისტორიულ-იკონოგრაფიული ძიების შედეგს.

# ბოტვინიკის ელექსირი

როდესაც მოჭადრაკე 57 წლის ასაკში მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს დიდოსტატად რჩება, ეს მეტყველებს არა მარტო დიდ ნიჭზე და გამძლეობაზე, არამედ მომზადების ისეთ მეთოდებზე, რომელიც შესაძლოა, მხოლოდ მისთვის არის ცნობილი. საჭადრაკო მიმომხილველები ყოველთვის განსაკუთრებით აკვირდებოდნენ ბოტვინიკს — მათ აინტერესებდათ, თუ როგორ მოხდა, რომ ასეთი უმძაფრესი კონკურენციის პირობებში ამ გამოჩენილმა დიდოსტატმა არა მარტო მოიხვეჭა უამრავი პირველი ჯილდო, არამედ ორჯერ დაიბრუნა დაკარგული მსოფლიო ჩემპიონობა! ეს ხომ დღემდე ერთადერთი შემთხვევაა ჭადრაკის ისტორიაში. ერთხანს ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ მას ტურნირებზე და ჰქონდა თერმოსი და პარტიის მსვლელობის დროს სვამდა რაღაც განსაკუთრებულ „ელექსირს". როდესაც ჟურნალისტების თხოვნის შემდეგ ბოტვინიკმა ფარდა ახადა ამ „საიდუმლოებას", აღმოჩნდა რომ თერმოსში ესხა... ჩვეულებრივი ყავა! ბოტვინიკმა ისიც დასძინა, რომ ადრე ბოთლით ატარებდა ლიმონათს, მაგრამ შემდეგ იგი ყავით შეცვალა. რაც შეეხება ასეთ დიდ მიღწევებს, მათი მიზეზი, ბოტვინიკის დიდი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის გარდა, უნდა ვეძებოთ სამაგალითო სპორტულ რეჟიმშიც, რომელმაც მას საშუალება მისცა ძალა დღემდე შემოენახა.

დღეს გთავაზობთ ბოტვინიკის ინტერვიუს, სადაც მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ლაპარაკობს თანამედროვე ჭადრაკის აქტუალურ პრობლემებზე და, ამასთან, ეხება თავის განვლილ გზასაც.

* * *

**რას იტყვით მსოფლიოს პირველობის გათამაშების დღევანდელ სისტემაზე?**

პრინციპულად იგი, შესაძლოა, სწორია, მაგრამ ყველაფერი როდია ბოლომდე მოფიქრებული და დაზუსტებული. არასწორია, მაგალითად, ის გარემოება, რომ 30 პარტია მაინც უნდა ითამაშო მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტებთან, სანამ მსოფლიო ჩემპიონამდე მიაღწევდე. ანდა რატომ არ უნდა ჰქონდეს მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს პერსონალური უფლება ითამაშოს საზონათშორისო ასპარეზობაში?! ზოგი წამყვანი დიდოსტატი პრეტენდენტთა შორის მატჩების მომხრეა, ზოგი კი ტურნირის მოწყობას ამჯობინებს. აქ არსებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი: საჭიროა ყველა იმ დიდოსტატის თავმოყრა, რომელთაც პრეტენზია აქვთ მსოფლიოს პირველობაზე, რათა მათ გამოიმუშავონ საერთო თვალსაზრისი: 1947 წლამდე საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია არ ერეოდა მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლის საქმეში. მსოფლიო ჩემპიონები ისე იქცეოდნენ, როგორც სურდათ. თამაშობდნენ ვისთანაც უნდოდათ და როგორც უნდოდათ. ეს, რა თქმა უნდა, დიდი უსამართლობა იყო.

**სწორად მიგაჩნიათ თუ არა ფიდეს გადაწყვეტილება დამარცხებულ მსოფლიო ჩემპიონისათვის მატჩ-რევანშის უფლების ჩამორთმევის შესახებ?**

ეს გადაწყვეტილება მე არასწორად მიმაჩნია.

**ხომ ვერ დაგვისახელებთ პარტიას, რომელიც საუკეთესოა თქვენს მიერ გათამაშებულთა შორის?**

ასეთად მიმაჩნია ჩემი შეხვედრა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ხოსე რაულ კაპაბლანკასთან 1938 წელს, ამსტერდამში.

**რომელმა პარტიამ მოგანიჭათ ყველაზე მეტი სიხარული?**

ეს იყო მიხეილ ტალთან მატჩ-რევანშის 21-ე პარტია. მის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონობა დავიბრუნე.

**რას იტყვით მ. ტალზე, ბ. სპასკისა და ვ. კორჩნოიზე?**

სპასკი საბრძოლო თვისებებით ორივეს ჩამოუვარდება, მაგრამ იგი მრავალმხრივი ტალანტია. კორჩნოი თანაბრად ძლიერად ატარებს საჭადრაკო პარტიის ყველა სტადიას. ტალი ფენომენალურია მაშინ, როდესაც ბრძოლა მწვავდება. მწვავე პოზიციებში მას ტოლი არა ჰყავს.

**თქვენ არა ერთხელ შეხვედრიხართ მსოფლიოს ადრინდელ ჩემპიონებს— ლასკერს, კაპაბლანკას, ალიოხინს, ეივეს. რომლის თამაშმა დასტოვა თქვენზე ყველაზე უკეთესი შთაბეჭდილება?**

ძნელი სათქმელია, რომელი იყო უძლიერესი მსოფლიოს ადრინდელ ჩემპიონებს შორის. ჩემზე კი, პირად შეხვედრებში ყველაზე უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებდა კაპაბლანკას თამაში. ამასთან საწყენია ისიც, რომ გენიალური კუბელი დიდოსტატი ასეთ ცოტა დროს უთმობდა ჭადრაკს.

**ვინ არის საბჭოთა მოჭადრაკეების უპირველესი მეტოქე?**

რ. ფიშერი.

**გახდება თუ არა იგი მსოფლიო ჩემპიონი?**

მე ამას არ ვამტკიცებ, მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ფიშერი უძლიერესია უცხოელ მოჭადრაკეებს შორის.

* * *

ასეთია მ. ბოტვინიკი. პირდაპირი და ამასთან, თავდაჯერილი, ობიექტური მოაზროვნე, რომლისათვისაც არც რომანტიკული გატაცებებია უცხო. „ჩვენ ყველანი თამაშს ბოტვინიკისაგან ვსწავლობდით" — განაცხადა ერთხელ სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონმა ლ. შტეინმა. გაივლის კიდევ დიდი დრო და მოჭადრაკეთა ახალი თაობებიც ისწავლიან თამაშს ბოტვინიკისაგან, თანამედროვე ჭადრაკის ამ სახელოვანი პატრიარქისაგან!

**გ. გამრეკელი**

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# ხუმრობა იქით იყოს

რას აკეთებს ადამიანი, როცა მის სახელსა და გვარს ჟურნალ-გაზეთებში დამახინჯებით დასწერენ ხოლმე? ის უმალ იწყებს წერილის წერას, რათა ამცნოს ყველას, თუ ნამდვილად როგორ უნდა იწერებოდეს მისი სახელი და გვარი.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ასეთი განაწყენებული ადამიანების წერილებს ზოგი წერილი გამოგზავნილია საიქიოდან, ზოგიც სააქაოშია დაწერილი.

***

**ლუი** — (I-დან XVIII-მდე) ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, საფრანგეთის მეფენი ამით ვადასტურებთ, რომ არც ერთი ჩვენთაგანი არასოდეს არ ყოფილა ლუდოვიკო. ეს სახელი რუსულ ენაზე მას ჟამსა შინა ალბათ მისი გერმანული შესატყვისიდან,—ლუდვიგიდან გადმოიღეს, თანაც იტალიურად გაახმოვანეს, მერე კი ტრადიციად იქცა. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს თანამემამულე მეფეებზე—ფრანსუებზე და შარლებზე, ისინიც კარგა ბლომად გახლდნენ და არც ისინი ყოფილან ფრანცისკები და კარლოსები. ხოლო საფრანგეთის შორეულ წარსულს თუ გადავწვდებით, უნდა კვლავ ფრანგად ვაქციოთ ჩვენი სახელოვანი წინაპარი ვერსინჟეტორიკსი, რომელიც რუსულ და ქართულ ისტორიოგრაფიაში ვერცინგეტორიკსადაა მონათლული (რატომ უნდა იწერებოდეს, სწორედ ვერსინჟეტორიკსი, ამის შესახებ ჰკითხეთ ფრანგული ენის შემსწავლელი მეხამე კლასის მოწაფეს); ჰო, მართლა, გაგვახსენდა: ერთადერთი შემთხვევა, როცა ჩვენი საერთო სახელი სწორად მოიხსენიეთ, ეს იყო კარლ მარქსის ცნობილი შრომის „ლუი ბონაპარტეს 18 ბრიუმერის“ გამოცემის დროს. მაშასადამე, თურმე შესაძლებელი ყოფილა ამ სახელის სწორად დაწერა.

**მოცარტი** — ერთ-ერთ, რომ იტყვიან, სოლიდურ ლიტერატურულ (მადლობა ღმერთს,—არა მუსიკალურ) მონოგრაფიაში, სხვებთან ერთად, მეც მომიხსენიეს. ხოლო წიგნზე დართულ საკუთარ სახელთა საძიებელში ასე წარმადგინეს მკითხველთა წინაშე: „მოცარტი, იოჰან ამადეუს (1756-1791) —გერმანელი კომპოზიტორი“. თუ თარიღებისა და გვარის მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს ნამდვილად მე უნდა ვიყო. ვერ გამიგია, მხოლოდ, იოჰანი რად მიწოდეს ვოლფგანგის ნაცვლად, ან კიდევ ჩემი სადაურობა — ავსტრიელობა, რად დამაკარგვინეს!

**ბეთჰოვენი**—არც მე მხვდა სახარბიელო ხვედრი. ჯერ იყო და ჩემი მეექვსე პასტორალური სიმფონია ერთ-ერთმა ქართველმა მუსიკისმცოდნემ გმირულად ჩამითვალა (სწორედ ასე დაბეჭდა გაზეთში); ეს კიდევ არაფერი: საქართველოს რადიო ხშირად გადასცემს ხოლმე რადიოკომპოზიციას ჩემს შესახებ და ქართველ რადიომსმენელებს ჰგონიათ, რომ თითქოს მე მართლაც დამეწეროს გეილიგენშტადტის ანდერძი (ასეთი ქალაქი საერთოდ არ არსებობს); მე მხოლოდ ჰაილიგენშტადტის გამო ვწერდი. საკვირველია, რომ ამ ბოლო დროს თქვენში რატომღაც დიდ მიდრეკილებას ამჟღავნებენ ჰაესადმი და ლამობენ ამ ასოთი შესცვალონ გან-ი და ხან-ი (მომიტევეთ ეს ლინგვისტური ოპუსი, მე ხომ ფილოლოგი არა ვარ).

**გერჰარდსენი**—ამ რამდენიმე წლის წინათ საბჭოთა კავშირის ვესტუმრე, როგორც იტყვიან, ოფიციალური ვიზიტით, და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც გახლდით. ძალზე გამიკვირდა, როცა ქართულ გაზეთებში წავიკითხე, რომ თურმე მე ჰერჰარდსენი ვყოფილვარ. ამრიგად, თურმე აქამდე არ მცოდნია ჩემი გვარი.

**ბერტოლტ ბრეხტი**—ჩემო ქართველო მეგობრებო, ალბათ სამაგიეროს თუ მიხდით. ჩემს „კავკასიის ცარცის წრეში“ თურმე ქართული გვარები დამიმახინჯებია. ეს ალბათ მომეტევება, რადგან საქართველოს არც ისე კარგად ვიცნობ, ხოლო ქართული, წარმოიდგინეთ, სულ არ ვიცი. თქვენში კი აუარებელი გერმანისტია, გერმანიის და გერმანული ენის კარგი მცოდნე; მათ კარგად მოეხსენებათ, რომ ჩვენს ანბანს გააჩნია ხან-იც და ჰაე-ც. ბოლოს, მინდა მოგახსენოთ, რომ ჩემი გვარია ბრეხტი (არა ბრეჰტი), ხოლო სახელი (ესეც გერევათ ხანდისხან) ბერტოლტი და არა ბერტოლდი.

**ლიონ ფოიხტვანგერი**—თუ ჩემს ცოდნას და ერუდიციას დაეჯერება, მეც ნამდვილად ფოიხტვანგერი ვარ და არა ფოიჰტვანგერი.

**გენერალი მონტგომერი**—პატიებას ვითხოვ, რომ ჯარისკაცი ვერევი მწერლებისა და საერთოდ ხელოვანთა მარაქაში, მაგრამ მაქვს პატივი მოგახსენოთ: მე მონტგომერი ვარ და არა ვიღაც თვითმარქვია მონტჰომერი.

**ჯუზეპე გარიბალდი**—მე აბა ვინ არ მიცნობს, მით უმეტეს საქართველოში (თქვენი დიდი ილიას მეოხებითა და შემწეობით). გარდა იმისა, რომ სარდლად და იტალიის განთავისუფლებისათვის თავდადებულ გმირად მიცნობენ, საკმაოდ ცნობილი მწერალიც გახლდით თავის დროზე. ჰოდა, პირდაპირ არ მესმის, რატომ დასჭირდა ერთ ქართველ მწერალს თავისი ნაწარმოების ასე დასათაურება: „ჰარიბალდის ვოლონტერი“? აქვე მინდა ვუსაყვედურო რადიოს საბავშვო გადაცემათა რედაქციას, რომელმაც ერთ გადაცემაში ჰარიბალდი მიწოდა.

**ვიქტორ ჰიუგო**—იქნებ ამიხსნათ, საიდან აიღეთ ჩემი რომანის „საბრალონის“ მიხედვით დადგმული ფილმის სათაურად „განკიცხულნი“? ალბათ რუსული „Отверженные“-დან თარგმნეთ, თანაც არც თუ ისე სწორად, რომ არაფერი ვთქვათ იმის შესახებ, რომ თვით რუსული თარგმანიც როდია ზუსტი. ყოველ შემთხვევაში, „განკიცხულნი“ და „Отверженные“, რომ ჩემს ენაზე თარგმნოთ, „ლე მიზერაბლს“ ვერასგზით ვერ მიიღებთ. რაც შეეხება ჩემს გვარს, მე არაფერი მეთქმის, სწორად წერთ, მაგრამ რა დააშავეს ედუარდ ჰერიომ, არტურ ჰონეგერმა, დევიდ ჰიუმმა ან კიდევ გაზეთმა „ჰუმანიტემ?“ რა უყავით მათი პირველი ასოები? მე მახსოვს თქვენი მამები „ჰუმანიტეს“ წერდნენ და დიახაც სწორად. მაშ ახლა რა დაგემართათ? მერე და ჰუმანიზმი და ჰუმანიტარული („ჰუმანიტეს“ მკვიდრი და-ძმანი) არ გაგაჩნდეთ მაინც! ჰოდა, მეც უნდა გავჩუმდე, თორემ ემანდ არ გაბრაზდეთ და იუგო არ მიწოდოთ, მით უმეტეს, რომ (ჩუმად გეუბნებით) ფრანგები სწორედ ასე ამბობენ: ვიქტორ იუგო (ესეც თქვენგან მოწონებული ფონეტიკური პრინციპი!).

**ბარონი ლე რუა** — ამ ორიოდე წლის წინათ საქართველოში გახლდით. მომხიბლა თქვენმა ქვეყანამ და მისმა იგავმიუწვდომელმა (ეს სიტყვა ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას დავესესხე) სტუმართმოყვარეობამ. თქვენებურმა ღვინოებმა სამართლიანად დაიმსახურეს ათეულობით ოქროს მედლები. მე თქვენებურ შამპანურსაც კარგად ვიცნობ: იგი ჩვენეულს არ ჩამოუვარდება, მაგრამ აქ ყველაზე ცუდი ისაა, რომ მისთვის უცხო სახელი შეგირქმევიათ. მე ამას არ ვაკადრებდი ქართულ ღვინოს. იგი სულ სხვაა და ღირსია საკუთარი, ქართული სახელისა. აბა რა გამოვიდოდა, და, უწინარეს ყოვლისა, რა მოუვიდოდა ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას, „ბორდოსათვის“ მისი თანამოძმის „წინანდალის“ სახელი მიგვეკუთვნებინა. შამპანი საფრანგეთის პროვინციაა და იგი ერთადერთია ქვეყანაზე. ჩემის აზრით, გეოგრაფიული სახელწოდებანი, ისევე როგორც ადამიანთა საკუთარი სახელები და, რაც ამ შემთხვევაში მთავარია, ღვინის ადგილობრივი დასახელება საავტორო ორიგინალის უფლებით უნდა სარგებლობდნენ. ხუმრობაში ნუ ჩამომართმევთ: ჩვენ ცოტა ხანს კიდევ დავიცდით და თუ ეს სახელი არ გადაგირქმევიათ, ვიჩივლებთ ჰააგის საერთაშორისო არბიტრაჟში შამპანის წაგვრისათვის.

**გუტენბერგი**—ყველაზე მეტად მაინც მე დავზარალდი. მერედა, თვითონ მაინც არ ვიყო პირველმბეჭდავი. უწინარეს ყოვლისა, ჩემს ქართველ კოლეგებს, სტამბის მუშებს მინდა ვუსაყვედურო. ბავშვობიდანვე არაერთგზის გსმენიათ ჩემი ნამდვილი გვარი და აბა როგორააწყვეს თქვენმა თითებმა ჰუტენბერგი? რედაქტორებზე კი აბა რა ვთქვა. ჯუზეპე გარიბალდი მართალს ბრძანებს: ტყუილად როდი ამბობენ, რომ ზოგიერთი ამ დალოცვილთაგანი არც კი კითხულობს ტექსტს და ისე აწერს ხელს. ასე რომ არ იყოს, როგორ შეიძლება დაიბეჭდოს „ჰაკენკრეიცერი“ „ჰაკენკროიცის“ ნაცვლად.

**დევიდ ლენგი**—ჩვენ რომ აქ სიტყვა ყველა „დაზარალებულისთვის“ მიგვეცა და ყველა ლაფსუსი აგვენუსხა, ამისთვის ალბათ ათი ოზმა ქაღალდიც არ იკმარებდა. ამიტომ ნება მიბოძეთ კერძო გამოსვლები ამით შევწყვიტო და ჩემის მხრივ ზემოხსენებულს რამდენიმე მაგალითი დავურთო და ორიოდე სიტყვა ვთქვა: ხომ ვწერთ ქართულად. ბახი, ლიბკნეხტი, ლიხტენშტეინი, ბლაიხშტაინერი, ბიუხნერი, ბლიუხერი. მაშ რაღად გვინდა: ბეჰერი, ბრეჰტი, გენრი, გეიზერი, ჰებელსი, ფოიჰტვანგერი, მიუნჰენი, ჰალიცია, ზაჰრები, ინჰრიდი, რაიჰსვერი, რაიჰსკანცლერი და მსგავსი ხეიბრები? მეორეს მხრივ, სადაც ჰაე ნამდვილად საჭიროა, იქ ხშირად გან-ს ვხვდებით: ქ. გესენი, ტანგეიზერი (ჰესენისა და ტანჰეიზერის ნაცვლად).

ახლა ჩემს შესახებ მინდა მოგახსენოთ. მიმდინარე წლის აგვისტოში ერთ ქართულ ჟურნალში წავიკითხე. თითქოს მე, ლონდონში, სახელგანთქმული ქართული ანსამბლისათვის ასე მიმემართოს: „მეგობრებო, ნება მიბოძეთ დიდი ბრიტანეთის რესპუბლიკის სახელით“...

ნუ თუ უკანასკნელი სამი სიტყვა მართლაც მე წარმოვთქვი?

წერილები რედაქციას გადმოსცა
**გიორგი ჩიმაკაძემ.**







### პოეტური სახელი

შვილის შეძენა დიდი ბედნიერებაა ოჯახისათვის. გახარებული მშობლები ცდილობენ, რაც შეიძლება ლამაზი, მოხდენილი, პოეტური სახელი შეურჩიონ თავიანთ ბავშვს. იშვიათი როდია შემთხვევა, როცა მშობლები ახლად შეძენილ პატარას არქმევენ „იას“, „ნარგიზს“, „თოლიას“, „მთვარისას“, „მზიას“, „ირმას“...

შემთხვევა, რომელზეც ჩვენ გვინდა მოგითხროთ, ჰავაის კუნძულებზე მოხდა. ერთ-ერთმა იქაურმა მკვიდრმა თავის შვილს ისეთი სახელი შეურჩია, რომ, თავისუფლად შეიძლება ითქვას, აქამდე არსებული ყველა „პოეტურ სახელს“ გადააჭარბა.

ამ კაცის გოგონა ჰონოლულუს ერთ-ერთ სკოლაში სწავლობს. ბავშვი უკვე მეორე კლასში გადავიდა, მაგრამ მისი სახელი ჯერ კიდევ არ შეუტანიათ საკლასო ჟურნალში. მიზეზი? გოგონას სახელი ისეთი გრძელია, რომ იგი საკლასო ჟურნალის გრაფაზე არ ეტევა. ამ მოსწავლის სახელი 102 ასოსაგან შედგება და ადგილობრივ ენაზე დაახლოებით ასე ჟღერს: ნაპუამოხლაონაონაოეკაევეხივეხიონაკუახივეახენავავაეხოონკაკეხაალეკეაონანაინანანიაკეაკეოაოგავაიიიკავანაო.

ქართულ ენაზე იგი დაახლოებით ნიშნავს შემდეგს: „მთებისა და ველმინდვრების უთვალავი და უმშვენიერესი ყვავილები თავიდან ბოლომდე ავსებენ ჰავაის თავიანთი კეთილსურნელებით“.

მასწავლებელი თავისი მოსწავლისათვის ამჟამად იგონებს შემოკლებულ სახელს, რომელშიც დაცული იქნება (ასეთია ბავშვის მამის — იქაური რესტორანის მფლობელის სურვილი) მთლიანი სახელის დედააზრი.



### სალათი „ა ლა ესნერ“

ჭეშმარიტმა სიყვარულმა დაბრკოლება არ იცის, მით უმეტეს თუ ეს სიყვარული ფეხბურთს შეეხება.

თრაუდლ ესნერმა, ბავარიის ერთ-ერთი კაფეს ოფიციანტმა ქალმა, თავისი გული მიუძღვნა ადგილობრივი ფეხბურთის გუნდს—„მიუნხენ 1860“, უფრო სწორედ, მთელ გუნდს კი არა, არამედ მის ცენტრალურ თავდამსხმელს რუდი ბრუნენმაიერს.

„შალკე 4“-თან მისი საყვარელი გუნდის მატჩის დაწყების წინ თავგამოდებულმა გულშემატკივარმა ესნერმა საზეიმოდ დაიფიცა:

— იმ შემთხვევაში, თუ რუდი ბრუნენმაიერი ამ მატჩში გაიტანს თუნდაც ერთ ბურთს, მაშინ მე სახალხოდ შევჭამ რუდის გადიდებულ ფოტოსურათს.

რუდიმ მართლაც გაიტანა ბურთი, საღამო ხანს კაფე ხალხით აივსო, ოფიციანტი თავისი სიტყვის პატრონი აღმოჩნდა. მან საჯაროდ მაკრატლით დასჭრა ცენტრფორვარდის გადიდებული ფოტოსურათი, სალათში შეურია, საწებლით შეკაზმა და... ჭამა დაიწყო. როცა ოფიციანტმა უკანასკნელი ლუკმა გადაყლაპა, კაფეში ტაშმა იქუხა.

ღამით ახალგაზრდა ოფიციანტი საავადმყოფოში მიიყვანეს. ექიმებმა დაადგინეს, რომ იგი მოწამლული იყო ფოტოქიმიკალებით.

ესნერი სამართლიანად დაისაჯა: მართლაც და დაუსჯელად როგორ შეიძლება ასეთი რამ ჩაიდინო, ფეხბურთელის შეჭმა ვინ გაიგონა!



### მშვიდობაში მოგახმაროთ

პოლონეთში, ქ. ჟეშოვის მკვიდრმა ირენა ლოპენსკამ მოულოდნელად ფოსტით მიიღო ფული, რომელიც გამოგზავნილი იყო მისთვის სრულიად უცნობი პიროვნებისაგან. თანხა საკმაოდ დიდი იყო — 3.000 ზლოტი. ირენას, ამ ფულმა, რომ იტყვიან, სწორედ სულზე მიუსწრო, ქმარი ჰყავდა მძიმე ავადმყოფი და ძალიან უჭირდა; მაგრამ ვინ იყო ეს გულკეთილი დამხმარე? ყველაფერი პატარა ბარათმა გაარკვია, რომელიც ირენამ იმავე ხანებში მიიღო; მასში აღნიშნული იყო:

„ქ-ნო ირენა, გთხოვთ მაპატიოთ, რომ ასე დაგვიანებით გიგზავნით თქვენს ფულს. ორი წლის წინ მე იგი ამოგაცალეთ ჯიბიდან, როცა თქვენ ქ. კრაკოვის უნივერმაღში მოდურ ხელჩანთას ყიდულობდით. მე აქამდე სინდისის ქეჯნას განვიცდიდი, მაგრამ საშუალება არ მქონდა დამებრუნებინა ფული. ახლა კი მემკვიდრეობით საკმაოდ დიდი თანხა მივიღე და შემიძლია თქვენი ვალი გადავიხადო. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ“.



### „ცისფერი დუნაი“

1867 წლის 15 თებერვალს ვენაში პირველად შესრულდა „ცისფერი დუნაი“ — იოჰან შტრაუსის უკვდავი ნაწარმოები, რომელმაც მალე უდიდესი პოპულარობა მოიპოვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

გასულ წელს ავსტრიამ ზეიმით აღნიშნა ამ ვალსის შექმნის ასი წლისთავი. მთელი 1967 წელი ვენაში გენიალური კომპოზიტორის იოჰან შტრაუსის იუბილეს ნიშნით მიმდინარეობდა; ამ იუბილესთან დაკავშირებით, ავსტრიის გაზეთებმა მკითხველებს გაახსენეს, თუ როგორ შეასრულა „ცისფერი დუნაი“ მსოფლიოში ყველაზე დიდმა ორკესტრმა ჯერ კიდევ მაშინ, როცა კომპოზიტორი ცოცხალი იყო. ამერიკის შეერთებულ შტატებში იოჰან შტრაუსის ტურნეს დროს ბოსტონში შეადგინეს ორკესტრი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 20.000 მუსიკოსი. ორკესტრს დირიჟორობდა იოჰან შტრაუსი, რომელსაც ასი დირიჟორი ეხმარებოდა.

ვალსის უკანასკნელი აკორდის დამთავრების შემდეგ კომპოზიტორის პატივსაცემად ქვემეხების სალუტმა დაიქუხა.



### ქორწინების სახლი დაკეტილია

ქ. კელცეს (პოლონეთი) ქორწინების სახლს ნეფე-პატარძალი მიადგნენ თავიანთი მეგობრებით; მაგრამ საოცარი ის იყო, რომ კარი დაკეტილი აღმოჩნდა და თანამშრომლებიც იქვე შეშფოთებულნი ტრიალებდნენ. გასაღები დაკარგულიყო, თანაც კარი ისე იყო დაკეტილი, სხვა გასაღები არ მოერგებოდა და საჭირო იყო კარი მთლიანად ჩამოეხსნათ. ეს კი დიდ დროს მოითხოვდა და შეიძლებოდა საქორწინო ცერემონიალი ჩაშლილიყო.

უცებ პატარძალს ისტერიკული ქვითინი აუტყდა, მეგობარი ქალიშვილები შემოეხვივნენ, დამშვიდება დაუწყეს. პატარძალმა ჩუმად უთხრა მეგობრებს, რომ ეს ოინი უეჭველად იმ საძაგელი ედის მოწყობილი იქნებაო. თურმე ეჭვიანმა ჭაბუკმა, რომელსაც აგრეთვე უყვარდა ეს ქალიშვილი, და რომელსაც უარი უთხრეს — დაიქადნა, სულ ერთია, ქორწილს ჩაგიშლით და გაგამწარებთო.

მართლაც, გამოირკვა, რომ გასაღები ედის მოეპარა და ვარშავაში გაქცეულიყო.



### აქვს თუ არა ფულს სუნი?

რომის იმპერატორი ვესპასიანი (ჩვენი წელთაღრიც. პირველი საუკუნე), როგორც მისი დროის მემატიანეები მოგვითხრობენ, იყო ძალზე გონებამახვილი და ხუმარა კაცი, ამავე დროს, დიდად მომჭირნე; იგი იგონებდა ყოვლად უცნაურ გადასახადებს, რათა სახელმწიფო სალარო გაემდიდრებინა. ამ მიზნით ვინ მოსთვლის რა ოინებს მიმართავდა. ერთხელ, ერთმა დიდმა მოხელემ მოახსენა — ჩემი ძმა მოვიყვანე, აქვე, სასახლეში იცდის, უსამსახუროდ არის და ძლიერ გთხოვთ რომელიმე პროვინციის მმართველად დანიშნოთო. ვესპასიანმა იცოდა, რომ ამ მოხელეს ძმა არ ჰყავდა. ამიტომ უთხრა — შენ ცოტა ხანს გარეთ გადი, შენი ძმა შემოვიდეს და მერე დაგიძახებო. როგორც კი უცნობი შევიდა კაბინეტში, ვესპასიანმა უთხრა: „რამდენსაც დაჰპირდი მაგ მოხელეს ადგილისთვის, მე მომეცი ის ფული და დაგნიშნავ მაგ ადგილზეო“. მთხოვნელმა იქვე ჩაუთვალა ფული იმპერატორს და მანაც მაშინვე გასცა სათანადო განკარგულება. შემდეგ დაუძახა თავის მოხელეს და უთხრა: „ის კაცი ჩემი ძმა გამოდგა, შენ სხვა ძმა მოძებნეო“.

მატიანე მოგვითხრობს კიდევ ასეთ შემთხვევას: ერთხელ, როცა ვესპასიანი ეტლით მიემგზავრებოდა, უცებ მეეტლემ მოიმიზეზა — ცხენს ნალი აძვრა და ხელახლა უნდა დავჭედოო. იმპერატორმა შეატყო, რომ მეეტლემ ეს ტყუილად მოიმიზეზა. იმავე წუთს ეტლის გაჩერებით ისარგებლა ვიღაც რომაელმა მოქალაქემ, წარუდგა იმპერატორს და თხოვნა გადასცა. როცა ეტლი კვლავ დაიძრა, ვესპასიანმა ჰკითხა მეეტლეს — რამდენი აიღე ამ კაცისაგანო. მეეტლემ თანხა დაუსახელა. იმპერატორმა იქვე წაართვა იმ ფულის ნახევარი.

ამავე მიზნით, ვესპასიანმა რომში საზოგადოებრივ საპირფარეშოებზე გადასახადი დააწესა. ეს რომ მისმა შვილმა ტიტუსმა, რომის მომავალმა იმპერატორმა გაიგო, მამას უსაყვედურა — „სირცხვილია, ამ გზით ნაშოვნი ფული ხელში როგორ უნდა აიღოს კაცმაო“. ვესპასიანი სწორედ ამ დროს საპირფარეშოებიდან შემოსულ ფულს ითვლიდა. მან მოხვეტა მაგიდაზე ერთი ბლუჯა ფული, ცხვირთან მიუტანა ტიტუსს და უთხრა: „აბა ნახე, უდის შარდის სუნი?“ არაო, უპასუხა ტიტუსმა. „მაშ დაიხსომე, რომ ფულს სუნი არა აქვს“.

ასე დაიბადა საყოველთაოდ გავრცელებული ანდაზა: ფულს სუნი არ ასდის, **деньги не пахнут.**

ახლა კი, აგერ თითქმის ორი ათასი წლის შემდეგ ინგლისის პოლიციამ თავისი აზრი დაუკარგა ამ ანდაზას. საქმე შემდეგშია: იმ მიზნით, რომ ადვილად იპოვნონ მძარცველები, ინგლისში გადაწყვიტეს მსხვილ ბანკნოტებს მისცენ სპეციფიკური სუნი. ფულს ამ სუნს აძლევს განსაკუთრებული ნივთიერება, რომელიც აცეტონს ჩამოჰგავს.

ასეთი ეშმაკობა რომ სამიოდე წლით ადრე მოეფიქრებინათ. მაშინ ინგლისში, საქვეყნოდ გახმაურებული საფოსტო მატარებლის გაძარცვის მონაწილეები ალბათ ველარ მოახერხებდნენ პოლიციისათვის ასე დიდხანს დაემალათ თავიანთი კვალი.

# ვინ როგორ იწერს ხელს

გრაფოლოგია — ვინ მოსთვლის რამდენი რამ დაწერილა მის შესახებ; პირველი ნაშრომი გრაფოლოგიაზე გამოაქვეყნა იტალიელმა ბალდომ მე-17 საუკუნეში; მისი წიგნის სახელწოდება ასეთი იყო: „მსჯელობა იმაზე, თუ როგორ ამოვიცნოთ ადამიანის ჩვეულებები და თვისებები მისი ხელნაწერის მიხედვით“.

გრაფოლოგია ხალხში ძველი დროიდან იყო ცნობილი. ასე, მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში იყო ჩვეულება, რომ ქალ-ვაჟს, თუ ისინი წერა-კითხვის მცოდნენი იყვნენ, აუცილებლად უნდა წარედგინათ ქურუმის წინაშე თავიანთი ხელწერის ნიმუშები და ქურუმი მათ ქორწინების ნებას აძლევდა მხოლოდ ამ ხელწერათა შესწავლის შემდეგ; როგორც ამბობენ, ეს ჩვეულება აქამდე არსებობს სამხრეთ აზიის ხალხებში.

მე-18 საუკუნეში ცალკეული ავტორები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, თითქოს ადამიანის ხელმოწერის მიხედვით შეიძლება ამოვიცნოთ მისი ხასიათის თავისებურებანი, სიმაღლე, ხმა, თვალებისა და თმის ფერი. გამოჩენილი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი ლაიბნიცი ამბობდა, რომ ადამიანის ხასიათი ყველაზე მეტად ვლინდება მის ხელწერაში, ხოლო ანტროპოლოგი ტარდი წერდა: „რათ მინდა ამა თუ იმ ადამიანის ფოტოსურათი, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია ქაღალდის ნაგლეჯი, დაწერილი მისი ხელით, ვინაიდან მასში გამოხატულია ადამიანის სიხარულიც, სევდაც, გაბოროტებაც, სიმკაცრეც, სულიერი განწყობილებაც და ისიც — დანაშაულებრივი ბუნებისაა იგი, თუ არა“.

ცხადია, ასეთმა მცდარმა მოსაზრებებმა ეჭვქვეშ დააყენეს გრაფოლოგიის, როგორც მეცნიერების პრესტიჟი; მაგრამ ის კი აღსანიშნავია, რომ ხელწერის საიდუმლოებების ამოხსნას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო ექსპერტიზის დროს; ამასთან, ხელწერის ანალიზის გზით იმასაც



თამარ მეფის ხელმოწერა

ადგენენ აღელვებული იყო ადამიანი წერის დროს, თუ დამშვიდებული და ა. შ.

ერთი სიტყვით, თუ ამ გადაჭარბებას და გაზვიადებას ყურადღებას არ მივაქცევთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანის ხელწერის შესწავლას აქვს თავისი აზრი და ამ სფეროში შეიძლება მომავალში ბევრი ახალი რამ გაირკვეს. მით უმეტეს, რომ გრაფოლოგიას თანაგრძნობით ეკიდებოდა წარსულის მრავალი სახელოვანი ადამიანი. ასე მაგალითად, გოეთემ, 1820 წელს, ლაფატერისადმი მიწერილ წერილში მოუწონა მას ეს თაოსნობა—შეეგროვებინა გამოჩენილ ადამიანთა ავტოგრაფები. გოეთეს გადაჭრით არაფერი უთქვამს, მაგრამ იმედოვნებდა — შესაძლებელია ამ სფეროში მკვლევარმა საინტერესო დასკვნებს მიაღწიოსო. როცა გორკის ავტოგრაფთა მდიდარი კოლექციის პატრონმა ზუევ-ინსაროვმა წერილი გაუგზავნა, დიდმა მწერალმა ასე უპასუხა:

„გრაფოლოგიის, როგორც მეცნიერების მნიშვნელობაზე მე ჩემი აზრი არა მაქვს, ვინაიდან მე არ ვიცნობ ამ მეცნიერების არც კანონებს და არც მეთოდებს. მაგრამ ეჭვს ვერ შევიტან, რომ ცალკეულ სუბიექტებს აქვთ განსაცვიფრებელი ნიჭი განსაზღვრონ ხელწერის მიხედვით „სულიერი სტრუქტურა“ იმ ადამიანებისა, რომლებსაც არ იცნობენ და არასოდეს არ უნახავთ. აგარაკზე ჩემთან ერთად ცხოვრობს მხატვარი ი. ნ. რაკიტსკი, რომელსაც ეს უნარი განვითარებული აქვს პირდაპირ სასწაულებრივად. თქვენს კითხვაზე გიპასუხებთ, რომ მე არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს, თუ გამოაქვეყნებთ ჩემი პიროვნების შემსწავლელ გრაფოლოგიურ ნარკვევს, რომელიც თქვენ დაგიწერიათ“.

ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ ღიად რჩება საკითხი — ცალკეული ადამიანების უნარი და ინტუიციაა ეს, თუ მეცნიერება, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ინტერესი გრაფოლოგიისადმი მაინც რჩება და აქ გადამწყვეტ სიტყვას მომავალი იტყვის, მით უმეტეს, ახლა როცა ესოდენ დიდ წარმატებებს მიაღწია ადამიანის სულიერი სამყაროს შესწავლის საქმემ.

გრაფოლოგიის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ ყოველივე ეს არის მისტიკა, „ზებუნებრივი განჭვრეტის“ და ჯადოქრული უნარის რწმენა. მაგრამ ხომ ცხადია, რომ ხელს, რომელსაც ქაღალდზე ასოები გამოჰყავს, თავის ნებას კარნახობს ტვინი ადამიანისა და რამდენად ზუსტად გადაეცემა კარნახი, ეს ადამიანის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური სტრუქტურის საიდუმლოა, სადაც ჯერ კიდევ ბოლომდე არ შეუღწევია მეცნიერულ აზრს. ვნახოთ რას გვეტყვის მომავალი. ჩვენ ხომ გვახსოვს, რომ კიბერნეტიკასაც ერთ დროს მოცლილი ადამიანების ფანტაზიად სთვლიდნენ, ახლა კი ყველა ხედავს, თუ რა საოცარ წარმატებებს მიაღწია ამ მეცნიერებამ. ვინ იცის, იქნებ ამ სფეროშიც ასე მოხდეს?



და ბოლოს კიდევ ერთი რამ: მთელ კვლევას გრაფოლოგიაზე დღემდე აწარმოებდნენ მკვლევარები ისე, რომ ამ საქმეში არ აბამდნენ გამოჩენილ სპეციალისტებს, რომელთაც, როგორც ადამიანის თავის ტვინისა და ნერვული სისტემის ყველა საიდუმლოებათა ამომხსნელებს, შეეძლოთ ეთქვათ თავიანთი ავტორიტეტული სიტყვა. და რაკი-და ეს სფერო საიდუმლოების ბურუსით იყო მოცული, ამით სარგებლობდნენ სხვადასხვა ჯურის გაიძვერები, რომელნიც ზერელედ იცნობდნენ გრაფოლოგიას, უცქეროდნენ მას, როგორც იოლი საშოვრის წყაროს, ასაღებდნენ თავს მისნებად, ჯადოქრებად, ხოლო გრაფოლოგიას აქცევდნენ რაღაც მკითხაობის მსგავს ხელობად. ყოველივე ამან დიდი ზიანი მიაყენა ადამიანის ხელწერის მეცნიერული შესწავლის საქმეს, დასცა გრაფოლოგიის ავტორიტეტი.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ საკითხების მეცნიერული შესწავლის შემდეგ ეს გაუგებრობაც გაფანტული იქნება.

ჩვენ შედგენილი გვაქვს ხელმოწერათა უმდიდრესი კოლექცია, ცალკეულ ნიმუშებს მკითხველი გაეცნობა აქვე.

მ. ვადბოლსკი



კათალიკოს დომენტის ხელმოწერა (მე-18 ს.)



ერეკლე მეფის ხელმოწერა

**რედაქციისაგან**

ჩვენი ჟურნალის გასული წლის მე-9 ნომერში დაბეჭდილ წერილში „გავუფრთხილდეთ ამ სილამაზეს“ შეცდომით მოხსენებული იყო წყალსადენის მუშაკის ნუნუ ჭელიძის გვარი. წერილის ავტორს ცნობა აღებული ჰქონდა მილიციის განყოფილების ჩანაწერიდან. როგორც გამოირკვა, ნუნუ ჭელიძის სახელი, გვარი და მუშაობის ადგილი დაასახელა უცნობმა პირმა, რომელიც ნარგავების დამტვრევისა და დაზიანებისათვის დააჯარიმეს ბოტანიკურ ბაღში.

გარეკანის პირველ გვერდზე: პატარძლები. ნახატი ლადო გუდიაშვილისა. მეოთხე გვერდზე. — საქართველოს სამხედრო გზაზე. ფოტო ოთარ თურქიასი.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/I-68 წ. გამომც. № 294 ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო ფორმატთა რაოდ. 4,79. პირობით ფორმატთა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმატთა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 41.400. შეკვ. № 4828 უე 01904

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურისტები ვარძიაში. ფოტო ზ. რუსიასი.



ИНДЕКС 76056

ეროვნული
ბიბლიოთეკა